

ფისკალური სტატისტიკა

მარინა მუჩიაშვილი

დამხმარე სახელმძღვანელო

თბილისი

2018

მარინა მუჩიაშვილი. ფისკალური სტატისტიკა, დამხმარე
სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, _ გვ.

მოცემული დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ფისკალური
სტატისტიკის სფეროში უახლოესი მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო
სტანდარტების სასწავლო პროცესში დანერგვის ადაპტაციას.
განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის
სტუდენტების, მაგისტრანტებისა და ფისკალური სფეროს შესწავლთ
დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: სიმონ გელაშვილი

ე.მ.დ. თსუ სრული პროფესორი

რეცენზენტი: ზამირა შონია

ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

შინაარსი

შესავალი.....	
თავი 1. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა.....	
სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	
ფისკალური სტატისტიკის საკანონმდებლო ბაზა-საქართველოს	
საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები.....	
ძირითადი ტერმინები.....	
საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები.....	
ფისკალური წესები საქართველოში.....	
თავი 2.....	
ფისკალური სფეროს რეფორმები საქართველოში.....	
სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა.....	
ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა- BDDD.....	
ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.....	
2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები.....	
თავი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.....	
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კლასიფიკაცია (სტრუქტურა).....	
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაცია (სტრუქტურა).....	
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების სტრუქტურა.....	
ფინანსური და არაფინანსური აქტივების სტრუქტურა.....	

თავი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....

ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი კლასიფიკაციები.....

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია.....

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილების ფუნქციონალური
კლასიფიკაცია.....

ხარჯების ორგანიზაციული კლასიფიკაცია.....

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობი გადასახდელების სტრუქტურა.....

თავი 5. პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები.....

პროგრამაზე დაფუძნებული ბიუჯეტირება.....

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის არსი და პრინციპები.....

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიური საფუძვლები.....

პროგრამის შესრულების შეფასების კრიტერიუმები.....

კაპიტალური ბიუჯეტი.....

თავი 6. საქართველოს სახელმწიფო ვალი და ვალის მდგრადობის
ანალიზი.....

სახელმწიფო ვალი.....

ფისკალური მდგრადობა და მისი შეფასების ინდიკატორები.....

ფისკალური რისკების გამოვლენა და მართვა.....

სახელმწიფო ვალის მდგრადობის სტატისტიკური ანალიზი.....

გამოყენებული ლიტერატურის სია.....

შესავალი

მსოფლიო ფინანსური კრიზისების დროს გამოვლენილმა პრობლემებმა აჩვენა, რომ საჯარო ფინანსების მდგრადობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში არსებული სუსტი მხარეების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა და მაკორექტირებელი ღონისძიებების დროული გატარება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის მიერ საჯარო ფინანსებში ყველა ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით გამოთვლა და მათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. სსფ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებულია მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის მონაცემების შესადგენად უნდა იქნეს გამოყენებული. საქართველოში საჯარო ფინანსების სტატისტიკა საერთაშორისო მეთოდოლოგია ინერგება ეტაპობრივად, დღეისათვის ამ სფეროში განხორციელებული თანმიმდევრული რეფორმების შედეგად მიღწეულია ის, რომ საჯარო ფინანსების სტატისტიკა ქვეყანაში ჰარმონიზებულია 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან, რაც სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მაკროეკონომიკური სტატისტიკის ჩარჩოებში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა .

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა ფისკალური ანალიზის მნიშვნელოვანი კომპონენტია და დიდ როლს ასრულებს საიმედო ფინანსური პროგრამების (პროექტების) შედგენასა და მათზე მონიტორინგის განხორციელებაში, ასევე, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებაში.

სახელმწიფო ფინანსები ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სახელმწიფო ახდენს ფულადი რესურსების მობილიზებას, რათა ისინი გარკვეული ვალდებულებების და ფუნქციების შესასრულებლად გამოიყენოს.

სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს. იგი პირდაპირ ან ირიბად ახდენს გავლენას ყველა მოქალაქის კეთილდღეობაზე. მოსახლეობის ცხოვრების დონე დიდად არის დამოკიდებული ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროების დაფინანსებას.

ბიუჯეტი უშუალოდ საზოგადოებრივი ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. საბიუჯეტო პროცესში კი ძირითადად სახელისუფლო ორგანოები არიან ჩართულნი, შესაბამისად არსებობს რისკი, რომ საბიუჯეტო პოლიტიკა სრულყოფილად ვერ ასახავდეს საზოგადოების პრიორიტეტულ საჭიროებებს. საბიუჯეტო პროცესი და სისტემა ქვეყნის დემოკრატიულობისა და გახსნილობის ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას-მედიის წარმომადგენლებმა იმუშაონ აღნიშნული ფაქტორების გამოვლენის კუთხით და ხელი შეუწყონ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და გავრცელებას საზოგადოებაში.

ბიუჯეტის გამჭირვალობის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმი არის საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპის საზოგადოებრივი მონიტორინგი.

წინამდებარე სახელმძღვანელო სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ბაკავავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, ფისკალური ანალიტიკოსებისა და ფისკალური ინფორმაციის სხვა მომხმარებლებისთვისაა განკუთვნილი. მან შესაძლოა დახმარება გაუწიოს სხვა მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების შემდგენლებსა და მომხმარებლებს სხვადასხვა სტატისტიკურ კრებულს შორის ურტიერთკავშირის გაგების თვალსაზრისით. იგი განსაკუთრებით დაეხმარება ეროვნული ანგარიშების შემდგენლებს, რომლებიც მას საქმიანობის დროს საწყის ინფორმაციად გამოიყენებენ. აღნიშნულ სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განსაზღვრებებს, კლასიფიკაციებსა და სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის წარდგენის სახეებს.

ფისკალური სტატისტიკის (სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის(სფს)) სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია ნებისმიერი ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის, განსაკუთრებით სახელმწიფო მმართველობის სექტორის და უფრო ფართო, საჯარო სექტორის საქმიანობის შედეგების გაანალიზებისა და შეფასებისათვის ყოვლისმომცველი საფუძვლების ჩამოყალიბება. სახელმწიფო მმართველობის სექტორი მოიცავს იმ დაწესებულებებს, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკას ძირითადად არასაბაზრო მომსახურების უზრუნველყოფითა და შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებით ახორციელებენ. ორივე საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა უმთავრესად სხვა სექტორებისათვის დაწესებული სავალდებულო გადასახადებით ხორციელდება.

სახელმწიფო ფინანსების ანალიტიკოსები ფისკალურ სტატისტიკასტრადიციულად იყენებდნენ საჯარო სექტორის მასშტაბის, ერთობლივ მოთხოვნაში, ინვესტიციებსა და დანაზოგში მისი წილის, ეკონომიკაზე, მ.შ. რესურსების გამოყენებაზე, მონეტარულ მდგომარეობასა და სახელმწიფო ვალზე ფისკალური პოლიტიკის ზეგავლენის, საგადასახადო ტვირთის და სოციალური დაცვის ანალიზისათვის. დღეისათვის ასევე აქტუალური გახდა სიღარიბის დასაძლევად დახარჯული თანხების ეფექტურობის შეფასება და ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის საკითხებიც.

ქვეყნის ხელისუფლება თავისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად განსაზღვრული რაოდენობის ფინანსურ რესურსს საჭიროებს, რაც საქართველოში განისაზღვრება ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ტვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. რესურსების მობილიზება ყველა წყაროს მიხედვით აისახება ბიუჯეტის შემოსულობების მთლიან მოცულობაში.

თავი 1. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები(GFSM 2001)

ფისკალური სტატისტიკის საკანონმდებლო ბაზა-საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები

ძირითადი ტერმინები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

ფისკალური წესები საქართველოში

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები(1)

ეკონომისტები და სტატისტიკოსები სახელმწიფოს საქმიანობებს გამოყოფენ დანარჩენი ეკონომიკისაგან, რადგან სახელმწიფოს მოტივაცია და ფუნქციები ეკონომიკის სხვა სექტორებისაგან განსხვავებულია. სახელმწიფო კრეფს გადასახადებსა და სხვა სავალდებულო შენატანებს და იღებს კანონებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ სხვა ეკონომიკური ერთეულების ქცევაზე. მათი ყურადღების ცენტრშია სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და ანალიზი მოგების მაქსიმიზაციის ნაცვლად.

საჯარო სექტორი შედგება სახელმწიფო მმართველობის სექტორისა და სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მიერ კონტროლირებადი დაწესებულებებისაგან, რომლებიც საჯარო კორპორაციების-კვაზი კორპორაციების სახეკლითაა ცნობილი.

სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციებია:

1. საზოგადოებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება არასაბაზრო საფუძველზე, ან კოლექტიური მოხმარების (რიგორიცაა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება და სხვა) ან , ინდივიდუალური მოხმარების განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და სხვა) დაკმაყოფილების მიზნით.

2. შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება.

(1)IMF , The system of macroeconomic accounts statistics,An overview. 2007. pp.76-89.

ორივე საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა უმთავრესად სხვა სხვა სექტორებისათვის დაწესებული სავალდებულო გადასახადებით ხორციელდება.

სახელმწიფო სექტორი მოიცავს ასევე, სახელმწიფო, საჯარო კორპორაციებს, რადგან სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად ხშირად გამოიყენება ეს ორგანიზაციები, რადგან არსებობს ეკონომიკის გარკვეული სფეროები, სადაც კერძო სექტორი მიაწვდის იმაზე ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას, ვიდრე ეს საზოგადოებას ესაჭიროება ან საერთოდ არ აწარმოებს მას. ამის მიღწევა ხორციელდება სუბსიდიებით ან სესხის დაბალი საპროცენტო განაკვეთით გაცემის გზით. როგორც შედეგი, სახელმწიფო კორპორაცია მუშაობს უფრო დაბალი მოგების ან დანაკარგების პირობებში. ასეთი სახის სახელმწიფო პოლიტიკის ოპერაციები ცნობილია კვაზი-ფისკალური საქმიანობების სახელით.

ფისკალური სტატისტიკის სახელმძღვანელო ფისკალური სტატისტიკის შედგენისა და წარდგენის სტანდარტების შემუშავებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ემსახურება სახელმწიფო აღრიცხვიანობისა და ოპერაციების გამჭვირვალობის ზრდას.

სახელმწიფო ფინანსების ანალიტიკოსები ფისკალურ სტატისტიკას ტრადიციულად იყენებდნენ საჯარო სექტორის მასშტაბის, ერთობლივ მოთხოვნაში, ინვესტიციებსა და დანაზოგში მისი წილის განსაზღვრის, ეკონომიკაზე, მათ შორის რესურსების გამოყენებაზე, მონეტარული აგრეგატების და ეროვნული დავალიანების ფისკალური პოლიტიკის ზეგავლენის, ასევე საგადასახადო ტვირთის, ტარიფების დაცვისა და სოციალური დაცვისა და დაზღვევის სისტემის ანალიზისათვის. თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია სიღარიბის დასაძლევად დახარჯული თანხების ეფექტიანობის, ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის, წმინდა დავალიანებების, სახელმწიფოს მიმართ არსებული პირობითი ვალდებულებების (საპენსიო ვალდებულებების ჩათვლით) შეფასების საკითხები. ამ ანალიტიკური მიზნების მიღწევა მთლიანად საჯარო სექტორის და არა მხოლოდ მმართველობითი სექტორის სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას მოითხოვს. როგორც არაფინანსურ, ასევე ფინანსურ საჯარო კორპორაციებს სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის განხორციელება სხვადასხვა გზით შეუძლიათ.

წინამდებარე სახელმძღვანელო ფისკალური ანალიზისათვის საჭირო სტატისტიკური მაჩვენებლების შედგენისათვის ძირითადად სსფ-ის 2001 წლის „სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს“ ეყრდნობა, რაც სსფ-ის 1986 წლის იმავე სახელმძღვანელოთი დამკვიდრებული და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების განახლებული ვარიანტია. იგი ჰარმონიზებულია საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სხვა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შესაბამის სტანდარტებთან, რაც მოიცავს: ეას 1993 წლის ყოვლისმომცველ სისტემას და ორ სხვა სპეციალიზებულ სისტემას, რომლებიც

ფოკუსირებული არიან საგადახდელო ბალანსისა და მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკებზე.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მიზანია ისეთი სტატისტიკური მონაცემების შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემმუშავებლებს და ანალიტიკოსებს თანმიმდევრულად და სისტემურად შეისწავლონ ფინანსური ოპერაციების დინამიკა, სახელმწიფო მმართველობისა ან მთლიანად საჯარო სექტორის ფინანსური მდგომარეობა და ლიკვიდობა. ერთ-ერთი მეთოდი ამ მიზნის მისაღწევად ისეთი დამაბალანსებელი მუხლების გამოყენებას ითვალისწინებს, როგორცაა წმინდა საოპერაციო სალდო, წმინდა დაკრედიტება/სესხია აღება და წმინდა ღირებულების ცვლილება.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სისტემის სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან ჰარმონიზაცია ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მმართველობის ან საჯარო სექტორის დანარჩენ ეკონომიკასთან მიმართების შესაფასებლად, სფს-ის მონაცემები შესაძლებელია გაერთიანდეს სხვა სექტორების მონაცემებთან. ასევე, ის საშუალებას იძლევა სფს გამოყენებულ იქნეს ქვეყნებს სორის სახელმწიფო ოპერაციების ანალიზისათვის. მაგალითად, გადასახადები/მშპ-ში ან გადასახდელები/მშპ-ში შეფარდებების შედარების მიზნით.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სისტემაში აღირიცხება ორი სახის ნაკადი: ოპერაციები და სხვა ეკონომიკური ნაკადები.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ოპერაციების ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ყველა ოპერაციის შედეგებს ასახავს. ეს ოპერაციები კლასიფიცირებულია როგორც: შემოსულობები, გადასახდელები, არაფინანსური აქტივების წმინდა მიღება, ფინანსური აქტივების წმინდა მიღება, ან ვალდებულებების წმინდა აღება. ის ოპერაციები, რომლითაც შემოსულობები ან გადასახდელები წარმოიქმნება, წმინდა ღირებულების შეცვლას იწვევს. სხვა სახის ოპერაციები აქტივებსა და ვალდებულებებში თანაბარ ცვლილებებს განაპირობებს და არ იწვევს წმინდა ღირებულების შეცვლას.

სხვა ეკონომიკური ნაკადები მოიცავს ფასის ცვლილებებს და სხვა ეკონომიკურ მოვლენებს, რაც გავლენას ახდენს აქტივებსა და ვალდებულებებზე. მაგალითად, ასეთია ვალის ჩამოწერა, სტიქიის შედეგად გამოწვეული დანაკარგები. სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიშგებაში იკრიბება აქტივებში, ვალდებულებებსა და წმინდა ღირებულებაში აღნისნული სახის ცვლილებები.

სახელმწიფო მმართველობის ან საჯარო სექტორის ბალანსი წარმოადგენს ანგარიშგებას, რომელშიც მოცემულია სექტორის საკუთრებასი არსებული ფინანსური და არაფინანსური აქტივების მარაგები, სხვა ერთეულების მოთხოვნების მარაგი ამ აქტივების ვალდებულებების სახით მფლობელთა მიმართ და სექტორის წმინდა ღირებულება, რომელიც ყველა აქტივის მთლიან ღირებულებასა და ყველა ვალდებულების მთლიან ღირებულებას შორის სხვაობის ტოლია.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სისტემაში ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების კომპლექსური განხილვა საწყის და საბოლოო ბალანსებს შორის სრული შესაბამისობის დაცვის შესაძლებლობას იძლევა. მოცემული სახის

აქტივის თუ ვალდებულების მარაგს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში დამატებული ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შედეგად ამ მარაგებში მომხდარი ცვლილებები უდრის ამავე პერიოდის ბოლოს დარჩენილ მარაგებს. ამგვარი ინტეგრირებული სტატისტიკური სისტემა საშუალებას იძლევა სრულად აღიწეროს და გაანალიზდეს სახელმწიფო პოლიტიკისა და განსაკუთრებული ეკონომიკური მოვლენების შედეგები.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სისტემასი აღრიცხული ნაკადებისა და მარაგების მიმართ სხვადასხვა კლასიფიკაცია გამოიყენებს. მაგალითად, თითოეული შემოსავლის ოპერაცია კლასიფიცირებულია იმის მიხედვით, ის გადასახადია თუ სხვა სახის შემოსავალი. ხარჯების ოპერაციები კლასიფიცირებულია ეკონომიკური და ფუნქციონალური სახეების მიხედვით, ხოლო აქტივები, იმის მიხედვით, ფინანსურია თუ არაფინანსური.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 1993 წლის ეას-თან ჰარმონიზაციის მიუხედავად, ამ ორ სისტემას შორის მაინც არსებობს განსხვავებები. მ. შ. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა ფოკუსირებულია ფინანსურ ოპერაციებზე, დაბეგვრაზე, ხარჯებზე, სესხის აღებასა და დაკრედიტებაზე, მაშინ როდესაც 1993 წლის ეას-ში დიდი ყურადღება ეთმობა საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და მოხმარებასაც.

ხშირად სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის შედგენა ეროვნულ ანგარიშებში სახელმწიფო მმართველობის სექტორის სტატისტიკის შედგენისათვის პირველი ნაბიჯია.

დამოუკიდებლობის მიღწევის დღიდან საქართველოში სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა ეტაპობრივად ხორციელდებოდა და რეფორმები ამ სფეროში დღემდე გრძელდება.

ცენტრალური ხელისუფლებისა და სახელმწიფო სექტორის სტატისტიკების შედგენისა და ანალიზის საერთაშორისო მეთოდოლოგია- GFSM 2001;(IMF, 2001)(ჩარჩო)

ეს მეთოდოლოგია საკმაოდ მაღალი ის საკმაოდ მაღალი ხარისხით არის ჰარმონიზებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1993-თან.

განვიხილოთ ცენტრალური ხელისუფლების მოქმედების სფერო არსი, ჩანაწერების საფუძვლები, ანალიზური ჩარჩოები და GFSM 2001-ის ძირითადი კლასიფიკაციები.

ისევე, როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკის სხვა სექტორები, ცენტრალური ხელისუფლების მოქმედების სფეროს სექტორიც ემყარება რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაციას. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ის არის კერძო სექტორში შემავალი ერთეული.

თუ ერთეული საქონლისა და მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს ყიდის ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად, ის არის საბაზრო მწარმოებელი და კლასიფიკაში მოხვდება, როგორც სახელმწიფო კორპორაცია.

თუ ერთეული არ ყიდის საქონლისა და მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად, ის არის თუ ერთეული არ ყიდის საქონელსა და მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად, ის არის საქონლისა და მომსახურების არასაბაზრო მწარმოებელი და შედის ცენტრალური ხელისუფლების სექტორის კლასიფიკაციაში.

შედის ცენტრალური ხელისუფლების სექტორიფარავს ყველა ინსტიტუციურ ერთეულს ცენტრალური მთავრობის, შტატის მთავრობისა და ლოკალური მთავრობების დონეზე. ის ასევე ფარავს ადმინისტრაციულ ერთეულებს (საბიუჯეტო და ბიუჯეტგარეშე) სოციალური დაცვის ფონდებს და არასაბაზრო, არამომგებიან ინსტიტუტებს, რომელსაც აკონტროლებს და ძირითადად აფინანსებს მთავრობა.

ჩანაწერების სახეები

ტრადიციულად, მთავრობები თავიანთ ანგარიშებს ადგენენ საკასო ბაზაზე. ეს აისახა GFSM 1986 –ის წელიწადწილში. მხოლოდ ფულად შემოსავლებსა და ხარჯებზე ყურადღების გამახვილებას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი მთავრობის ყურადღებას ამახვილებს ლიკვიდურობის შეზღუდვაზე. მიუხედავად ამისა, ფისკალური პოლიტიკის შესაფასებლად მისი, როგორც ერთადერთი ბაზის განხილვა არასაკმარისია. მხოლოდ ფულადი ტრანსაქციები ადექვატურად ვერ ასახავენ ფისკალური პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო დროსა და განხორციელებული ტრანსაქციების ზემოქმედებას ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, GFSM 2001 აფართოებს ჩარჩოებს და გულისხმობს მონაცემთა წარმოდგენას დარიცხვის მეთოდით. რაც გულისხმობს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას ოპერაციის განხორციელების დროს, ანუ საბუღალტო ჩანაწერები კეთდება მაშინ. როცა მოხდა ტრანსაქცია, და არა მაშინ, როცა ადგილი აქვს ფულად ნაკადს. ეს იძლევა სახელმწიფო საქმიანობების გაფართოებულ სურათს, ასახავს ისეთ არაფულად ტრანსაქციებს, როგორცაა ბარტერი ან ნატურით დახმარება. ის იძლევა ასევე, შიდა ტრანსაქციების, სხვა ეკონომიკური ნაკადებისა და სხვა დაგროვილი დავალიანებების ჩაწერის შესაძლებლობებს.

GFSM 2001 მოითხოვს შემოსავლებში მხოლოდ იმ გადასახადების ჩაწერას, რის შემოსვლასაც მოველით გონივრულ ფარგლებში.

ანალიტიკური ჩარჩო

GFSM 2001 –ის ანალიტიკური ჩარჩო ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებისათვის ითვალისწინებს საბალანსო მიდგომას.

ქვემოთ მოცემულია ამ მიდგომის თავისებურება. ფისკალური მონაცემების ინტეგრირებული ჩარჩოს სახით წარმოდგენა ფისკალური მდგრადობის შეფასების სასუალებას იძლევა, რაც ნიშნავს იმის შეფასებას, თუ როგორ იცვლება საკუთარი კაპიტალი ბალანსების მიხედვით დროში. ურო მეტიც, GFSM 2001 –ის ჩარჩოში მოცემული სახელმწიფო დაზოგვის, ინვესტიციებისა და მოხმარების სიდიდეები მჭიდროდაა ჰარმონიზებული ის ჩარჩოში მოცემული სახელმწიფო დაზოგვის, ეროვნულ ანგარისთა სისტემასთან.

ანალიტიკური ჩარჩო მოიცავს ოთხ ანალიზურ ანგარიშს: სახელმწიფო ოპერაციების ანგარიშს, სხვა ეკონომიკური ოპერაციების ანგარიშს, ბალანსს, ფულის მიღების წყაროებსა და გამოყენებას.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია სისტემის ოთხი ძირითადი ბალანსი:

წმინდა საოპერაციო სალდო,

წმინდა სესხები /კრედიტები,

წმინდა საკუთარი კაპიტალი,

სულის სიჭარბე/ დეფიციტი.

ცხრილი 1. GFSM 2001 –ის ანალიტიკური ჩარჩო

საწყისი ბალანსი

წმინდა აქტივები

=

არაფინანსური აქტივები

+

წმინდა ფინანსური აქტივები

=

ფინანსური აქტივები

-

ვალდებულებები

მარაგები

+

სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების ოპერაციების ანგარიში

შემოსავლები

-

ხარჯები

=

საოპერაციო სალდო-

=

არაფინანსური აქტივები

+

წმინდა სესხები/კრედიტები

=

ფინანსურ აქტივებს

-

ვალდებულებები

ტრანსაქციები

+

სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში

სხვა ეკონომიკური ნაკადებით გამოწვეული წმინდა აქტივების ცვლილება

=

არაფინანსური აქტივები

+

ცვლილებები წმინდა ფინანსურ კაპიტალში OEF

=

ფინანსურ აქტივებს

-

ვალდებულებები-

სხვა ნაკადები

=

<p>საბოლოო ბალანსი</p> <p>წმინდა ღირებულება</p> <p style="text-align: center;">=</p> <p>არაფინანსური აქტივები</p> <p style="text-align: center;">+</p> <p>წმინდა ფინანსური აქტივები</p> <p style="text-align: center;">=</p> <p>ფინანსურ აქტივებს</p> <p style="text-align: center;">-</p> <p>ვალდებულებები</p>
--

- მარაგები

წმინდა საოპერაციო სალდო= წმინდა კაპიტალში ტრანსაქციებით გამოწვეული ცვლილებები.

სისტემის ძირითადი ბალანსების გარდა **GFSM 2001** იძლევა ანალიზისათვის საჭირო სხვა საზომებსაც: სრულ თავდაპირველ ბალანსს მთლიანი ვალის მაჩვენებელს. (ყველა ვალდებულებას, გარდა აქციებისა და სხვა კაპიტალის და ფინანსური წარმოებულებისა).

GFSM 2001 –ის ანალიზური ანგარიშები

GFSM 2001 ანალიზური ჩარჩოს ოთხი ანალიზური ანგარიშიდან სამი ტრანსაქციებისათვის დარიცხვის მეთოდით მიღებულ მონაცემებს, სხვა ეკონომიკურ ნაკადებსა და ბალანსებს, ხოლო მეოთხე-საკასო მეთოდს ემყარება.

სახელმწიფო ოპერაციების ანგარიში აჯამებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ყველა ტრანსაქცია და ითვლის საოპერაციო და მთლიან სალდოებს.

წმინდა საოპერაციო სალდო ითვლის სახელმწიფო ტრანსაქციების წმინდა ღირებულებას და არის შემოსავლებსა და ხარჯებზე ზემომქმედი სახელმწიფო პოლიტიკის მდგრადობის საზომი. საოპერაციო სალდო კონცეპტუალურად ტოლია დაგროვებისა და კაპიტალური ტრანსფერების ჯამისა. თუ ბალანსი დადებითია, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ მისი მიმდინარე ოპერაციებიდან მოახდინა წარბი შემოსავლების გენერირება, რაც განაპირობებს მისი წმინდა ღირებულების ზრდას. სახელმწიფოს შეუძლია ამ სიჭარბის გამოყენება აქტივების შესაძენად და/ან ვალდებულებების შესამცირებლად. თუ ბალანსი უარყოფითია, ის გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიმდინარე ოპერაციებს სჭირდებათ დამატებითი რესურსები, რაც იწვევს ან აქტივების გაყიდვას ან ვალდებულებების ზრდას დეფიციტის დასაფინანსებლად.

თუ საოპერაციო სალდოს გამოვაკლებთ არაფინანსური აქტივების წმინდა შექმნას, მივიღებთ მთლიან სალდოს. თუ ის დადებითია, სახელმწიფო ფინანსურ რესურსებს უტოვებს ეკონომიკის სხვა სექტორებს და თუ უარყოფითი, პირიქით, იყენებს სხვა სექტორების მიერ გენერირებულ ფინანსურ რესურსებს. ამიტომ, ბალანსი შეიძლება განხილული იქნას, როგორც სახელმწიფო საქმიანობის დანარჩენ ეკონომიკაზე ფინანსური ზემოქმედების ინდიკატორი. სხვა სიტყვებით, წმინდა საოპერაციო სალდო ფოკუსირებულია „საქმიანობის ასპექტზე“, მაშინ როდესაც მთლიანი სალდო „ფინანსურ ასპექტებზე“ (იხილავს რა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სფეროში არსებულ ტრანსაქციებს).

სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში წარმოადგენს ინფორმაციას წმინდა ღირებულების ცვლილებას, რომელიც წარმოიშვება ტრანსაქციებისაგან განსხვავებული სხვა ეკონომიკური ნაკადების პირობებში. ეკონომისტები ამ ნაკადების კლასიფიკაციას ან ფასების ცვლილების (რევალვაცია) ან აქტივებისა და ვალდებულებების სიდიდეთა ცვლილებების სახით ახდენენ.

ბალანსი წარმოადგენს აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა ღირებულებების მარაგებს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს.

ფულის მოძრაობის ანგარიში ასახავს ფულის მოძრაობას, რომელიც ასოცირდება შემოსავლებისა და ხარჯების ტრანსაქციებთან, რაც იწვევს ფულის სიჭარბეს /ან დეფიციტს.

ცხრილი 2. სახელმწიფო ოპერაციების ანგარიშგება

1. შემოსავლები

- 1.1. გადასახადები
- 1.2. სოციალური შენატანები
- 1.3. გრანტები
- 1.4. სხვა შემოსავლები

2. ხარჯები

- 2.1. შრომის ანაზღაურება
- 2.2. საქონელი და მომსახურება
- 2.3. ფიქსირებული კაპიტალის მოხმარება
- 2.4. პროცენტი
- 2.5. სუბსიდიები
- 2.6. გრანტები
- 2.7. სოციალური უზრუნველყოფა
- 2.8. სხვა ხარჯები

3. საოპერაციო სალდო (1 მინუს 2)

4. არაფინანსური აქტივების ცვლილება

- 4.1. არაფინანსური აქტივების ზრდა
- 4.2. არაფინანსური აქტივების კლება

5. მთლიანი სალდო (3 მინუს 4) ან (6 მინუს 7)

6. ფინანსური აქტივების ცვლილება

7. ვალდებულებების ცვლილება

ცხრილი 3. ცენტრალური ხელისუფლების ინტეგრირებული ბალანსი -----

წმინდა ღირებულება

ფიქსირებული აქტივები

მარაგები

ფასეულობანი

არაკვლავწარმოებადი აქტივები

-მატერიალური არაკვლავწარმოებადი აქტივები

-არამატერიალური არაკვლავწარმოებადი აქტივები

ფინანსური აქტივები

შიდა და უცხოური ფინანსური აქტივები

მონეტარული ოქრო და SDR-ები

ფული და დეპოზიტები

ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა

სესხები

აქციები და სხვა კაპიტალი

სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები

ფინანსური დერივატივები

სხვა დებიტორული დავალიანებები

ვალდებულებები

შიდა და საგარეო ვალდებულებები

ფული და დეპოზიტები

ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა

სესხები

აქციები და სხვა კაპიტალი

სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები

სხვა კრედიტორული დავალიანებები

GFSM 2001 –ის ძირითადი კლასიფიკაციები ხარჯების მიხედვით:

-ეკონომიკური კლასიფიკაცია იძლევა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ხარჯების ტიპებს;

-ფუნქციონალური კლასიფიკაცია იძლევა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ხარჯებს მიზნების შესაბამისად;

ორგანიზაციული კლასიფიკაცია იძლევა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ხარჯებს მხარჯავი ორგანიზაციების მიხედვით.

წყარო: **GFSM 2001.**

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივითმმართველობის კოდექსი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის, საბიუჯეტო კოდექსის, „ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის,

საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, აგრეთვე, საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რეესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა.

საჯარო ფინანსების ძირითადი ტერმინები განსაზღვრებები

არაფინანსური აქტივების ცვლილება - სხვაობა არაფინანსური აქტივების ზრდასა და კლებას შორის.

არაფინანსური აქტივების კლება - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები;

არაფინანსური აქტივების ზრდა - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები;

არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი), რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას).

ასიგნება - საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება

ადგილობრივი ბიუჯეტი - საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი, რომელიც შედგება შესაბამისი შემოსულობებისა და გადასახდელებისგან.

ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტი - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მათ შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, რაიონული დაქვემდებარების ქალაქი და ქალაქი) ბიუჯეტებს.

არაპირდაპირი გადასახადი - დაბეგვრის ისეთი ფორმა, როდესაც კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას იხდის მომხმარებელი. ამ

ტიპის გადასახადები შედიან საქონლის ფასში ან მომსახურების ტარიფში და საქონლის მფლობელს მისი (საქონლის) რეალიზაციიდან მიღებული გადასახადის ოდენობა შეაქვს ბიუჯეტში.

არასაგადასახადო შემოსავლები - მიმდინარე დანიშნულების ყველა საბიუჯეტო შემოსავალი, გარდა საგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებისა.

ასიგნება - ბიუჯეტიდან განსაზღვრული ფულადი თანხის გამოყოფა დამტკიცებული ხარჯების გასაწევად.

ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებებისშესაბამისი ორგანოების მიერ.

ბიუჯეტის დეფიციტი - ბიუჯეტის ხარჯებისა და დაკრედიტების გადამეტება შემოსავლებსა და ფულად გრანტებზე.

ბიუჯეტის პროფიციტი - ბიუჯეტის შემოსავლებისა და ფულადი გრანტების გადამეტება ხარჯებსა და დაკრედიტებაზე.

ბიუჯეტის შემოსულობები - ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა.

ბიუჯეტის შემოსავლები - კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტების ანგარიშებზე მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაბრუნება და ანაზღაურება არ ხდება.

ბიუჯეტის გადასახდელები - საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს: ხარჯებს, არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრებს, ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრებს (ნაშთის დაგროვების გარდა), ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრებს.

ბიუჯეტის შემოსულობები - საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს: შემოსავლებს, არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებსა (ნაშთის გამოყენების გარდა) დავალდებულებების აღების შედეგად მიღებულ სახსრებს;

გადასახადი - საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადების ადმინისტრირება – გადასახადების გამომანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში;

გადახდაზე ვალდებულების აღება – საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელ გადახდებზე სახელმწიფო ხაზინაში ან საფინანსო ორგანოში დადგენილი წესით ვალდებულების რეგისტრაცია;

ბიუჯეტის ხარჯები - ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.

ბიუჯეტის განწერა – ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველთვიურად ან/და ყოველკვარტალურად განაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით.

გრანტი - ოფიციალური უსასყიდლო ტრანსფერტი, რომელიც მოიცავს როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალურ ტრანსფერტებს და გააჩნიათ მიზნობრივი ხასიათი.

ვალდებულებების ცვლილება - წარმოადგენს სხვაობას ვალდებულებების ზრდასა და კლებას შორის;

ვალდებულებების ზრდა - ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები;

ვალდებულებების კლება – ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისთვის მიმართული სახსრები;

კაპიტალური შემოსავლები - წარმოადგენს სახელმწიფო ქონების, მათ შორის არამატერიალური აქტივების გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს.

მხარჯავი დაწესებულება - ბიუჯეტის ხარჯების ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის დაწესებულება, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება ან საშემოსავლო პროგნოზი და იგი პასუხისმგებელია ხარჯებისა და შემოსავლების მართვაზე.

პირდაპირი გადასახადი - გადასახადის ისეთი ტიპი, რომელიც წესდება უშუალოდ შემოსავალზე.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანრიგები:

შემოსავლების კლასიფიკაციაში პირველი თანრიგი გამოისახება ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი – ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – სამციფრიანი კოდით, მეოთხე

თანრიგი – ოთხციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი – ხუთი ან ექვსციფრიანი კოდით, მეექვსე თანრიგი – ექვსი ან შვიდციფრიანი კოდით, მეშვიდე თანრიგი – შვიდციფრიანი კოდით და მერვე თანრიგი – რვაციფრიანი კოდით.

ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციაში პირველი თანრიგი გამოისახება ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი – ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – სამ ან ოთხციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი – ოთხ, ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი – ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით.

არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში მეორე თანრიგი გამოისახება ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – სამციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი – ოთხციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი – ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეექვსე თანრიგი – ექვს ან შვიდციფრიანი კოდით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში მეორე თანრიგი გამოისახება ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – სამციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი – ოთხციფრიანი კოდით.

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში კლასიფიკაციის პირველი თანრიგი გამოისახება – ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი – სამციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – ოთხციფრიანი კოდით და მეოთხე თანრიგი – ხუთციფრიანი კოდით.

შენიშვნა*: სიტყვა „კოდის“ ქვეშ იგულისხმება შესაბამისი საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანრიგი.

საბიუჯეტო სისტემა - სახელმწიფო ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ერთობლიობა.

საბიუჯეტო პროცესი - საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

საბიუჯეტო ორგანიზაცია - მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად.

საგადასახადო შემოსავლები - ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების შესაბამისად მობილიზებული საბიუჯეტო თანხების ერთობლიობა.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები - საგადასახადოკოდექსითგათვალისწინებული: საშემოსავლოგადასახადი, მოგებისგადასახადი, დამატებულიღირებულებისგადასახადი, აქციზი, იმპორტისგადასახადი, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტი - ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემოსულობებსა და გადასახდელებს.

სახელმწიფო ვალი – საქართველოს სახელით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა;

სახელმწიფო საშინაო ვალი – ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებით;

სახელმწიფო საგარეო ვალი – უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული თანხებით;

საგანგებო ბიუჯეტი- საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემთხვევების შემთხვევაში საგანგებო ან საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდები - სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი – სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

საქონელი და მომსახურება - ოფისისხარჯები, მივლინებები, შტატგარეშემომუშავეთა შრომისანაზღაურება, წარმომადგენლობითი ხარჯები, კვების ხარჯები, სამედიცინო ხარჯები, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები, დასხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება;

საშემოსავლო გადასახადი - მისი დაბეგვრის ობიექტია და საბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის;

სახელმწიფო ხაზინა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური;

სოციალური უზრუნველყოფა - ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ბორცვიელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;

სუბსიდიები - საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულების მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული ტრანსფერები.

სხვა შემოსავლები - შემოსავლები საკუთრებიდან, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, სანქციები (ჯარიმები და საურავები), ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარდა, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

სხვა ხარჯები - ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა (დივიდენდები; კვაზი-კორპორაციების შემოსავლიდან ამოღებული თანხები; ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება; რენტა) ასევე სხვადასხვა მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები.

ფინანსური აქტივების ცვლილება - სხვაობა ფინანსური აქტივების ზრდასა და კლებას შორის.

ფინანსური აქტივების კლება – ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები;

ფინანსური აქტივების ზრდა – ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები;

ფინანსური ვალდებულების აღება – საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მომავალში ბიუჯეტიდან თანხის გაცემაზე ვალდებულების აღება;

ფულადი სახსრები – სახელმწიფო ხაზინის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ანგარიშებზე არსებული ნაღდი ფული და დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში;

ფულადი სახსრების მოძრაობა – სახელმწიფო ხაზინის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ანგარიშებზე ფულადი სახსრების მიღება და ამ ანგარიშებიდან მათი გასვლა;

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი - ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

შრომის ანაზღაურება - დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემული კომპენსაციები.

(თანამდებობრივისარგო, წოდებრივისარგო, პრემია, დანამატი, ჰონორარი კომპენსაცია...).

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი – სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

ხარჯები - შრომისანაზღაურებაზე, საქონელსადამომსახურებაზე, სუბსიდიებზე, პროცენტზე, გრანტებზე, სოციალურუზრუნველყოფასადასხვახარჯებზემიმართულისახსრები.

ფისკალური პოლიტიკა - სახელმწიფოს მიერ გადასახადების და ხარჯების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობა.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი–საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული

ბიოუჯეტი. იგი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

სახელმწიფო ბიუჯეტი- საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, -საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

მხარჯავი დაწესებულება-ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის საბიუჯეტო ორგანიზაცია.

საბიუჯეტო ორგანიზაცია- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია მისი შესრულებისათვის, იგი ასევე, ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

საბიუჯეტო წელი-კალენდარული წელი.

წლიური ბიუჯეტი- საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შესაბამისი საბიუჯეტო წლისთვის დამტკიცებული ბიუჯეტი.

ნაშთი- შესაბამისი ბიუჯეტის ანგარისზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრები.

თავისუფალი ნაშთი- ნაშთია ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის.

ნაშთის ცვლილება- შესაბამისი ბიუჯეტის ანგარისზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება.

ფულადი სახსრები- სახელმწიფო ხაზინის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ანგარიშებზე არსებული ნაღდი ფული და დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში.

ფულადი სახსრების მოძრაობა- სახელმწიფო ხაზინის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ანგარიშებზე ფულადი სახსრების მიღება და ამ ანგარიშებიდან მათი გასვლა.

პროგრამული ბიუჯეტი-ასიგნებები გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით.

პროგრამა-ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის (outcome) მისაღწევად.

ქვეპროგრამა-(შედეგი-output) მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გასატარებელი ღონისძიებების ერთობლიობა.

ბიუჯეტის განსაზღვრება:

სიტყვა ბიუჯეტი მომდინარეობს ინგლისური სიტყვისგან **budget**, რაც ტომარას ნიშნავს. როდესაც ინგლისის პარლამენტში მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იდო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას. თანამედროვე გაგებით ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანობას წარმოადგენს. იგი სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია; სახელმწიფო ფინანსები თავის მხრივ ქვეყნის ფინანსური სისტემის ძირითადი ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელების ინსტრუმენტია.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

ყოვლისმომცველობა-ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშტის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში.

გამჭვირვალობა- ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის. დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

ანგარიშვალდებულება- საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე.

დამოუკიდებლობა- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ერთიანობა- საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო

კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა.

უნივერსალობა-ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არცერთი შემოსულობა, გატდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირი.

კონსოლიდირება-ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა, გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მარტვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებაში.

საბიუჯეტო პროცესი-არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მოპნაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს: ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

საქართველოს ბიუჯეტის ძირითადი პრინციპები შესაბამისობაშია საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნებთან. თუმცა, 2014 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ შეიმუშავა ახალი რეკომენდაციები, ესენია:

ბიუჯეტის მართვა ფისკალური პოლიტიკის გატარებისთვის საზრისით უნდა იყოს, ნათელი, სანდო და პროგნოზირებადი.

ბიუჯეტი შესაბამისობაში უნდა იყოს მთავრობის საშუალოვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

კაპიტალური ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს ხარჯეფექტიანობის თვალსაზრისით.

ბიუჯეტის დოკუმენტები უნდა აკმაყოფილებდეს გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მოტხოვნებს.

საბიუჯეტო საკითხების განხილვა უნდა მოხდეს საზოგადოების მაღალი ჩართულობის პირობებში.

ბიუჯეტი უნდა იყოს ყოვლისმომცველი, ზუსტი და სანდო სახელმწიფო ფინანსების თვალსაზრისით.

საჭიროა ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის ზრდა.

საჭიროა გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის, ფისკალური რისკები შეფასება და მართვა.

საჭიროა დამოუკიდებელი ექსპერტებისა და გარე აუდიტის მიერ საბიუჯეტო პროგნოზების ხარისხის, ბიუჯეტის შესრულების ეფექტიანობის სიღრმისეული შემოწმებისა და ობიექტური შეფასების დონის ზრდა.

ამ ახალი პრინციპები დღეისათვის საქართველოში გარკვეულწილად დანერგილია, თუმცა ამ მიმართულებით რეფორმები გრძელდება.

ფისკალური წესები ევროკავშირში -მაასტრიხტის კრიტერიუმები

ევროპის ეკონომიკური და მონეტარული კავშირის წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკის მდგრადი ურთიერთთავსებადობის მისაღწევად მაასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ხუთ კრიტერიუმს:


1. ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტს;
2. სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტს;
3. ინფლაცია 1.5 პროცენტზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემებს;
4. უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს ორ პროცენტზე მეტად;
5. უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსების მექანიზმით გათვალისწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში;

კონვერგენციის კრიტერიუმთან მიმართება ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით (2013 წლის იანვრის მდგომარეობით)

	ინფლაციის განაკვეთი-მაქ.- 2.8%	ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ %-ში	ვალი/ განაკვეთი	მშპ	გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი
ევროკავშირის წევრი ქვეყნები					
ბულგარეთი	2,4	1,5	19,5		4,5
ჩეხეთი	3,5	3,5	45,1		2,8
დანია	2,4	3,9	45,4		1,4
ლატვია	2,3	1,7	41,9		4,57
ლიტვა	3,2	3,2	41,6		4,83
უნგრეთი	5,7	2,5	78,4(მცირდება)		7,89
პოლონეთი	3,7	3,4	55,5		5,0

რუმინეთი	3,4	2,8	34,6	6,68
შვედეთი	0,9	0	37,4	1,59
გაერთიანებული სამეფო	2,8	6,2	88,7(იზრდება)	1,74
ევროკავშირის წევრობის კანდიდატები				
ხროატია	3,4	4,4	53,8	6,23
ისლანდია	6,0	3,4	96,8(მცირდება)	6,87
მაკედონია	2,9	3,5	31	მონაცემები არ მოიპოვება
მონტენეგრო	3,9	4,0	52	მონაცემები არ მოიპოვება
სერბეთი	7,3	6,7	58,1	მონაცემები არ მოიპოვება
თურქეთი	9,0	2,4	36,8	8,52

ფისკალური წესები საქართველოში



თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ზღვარს ან ზღვრებს საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდგომი ორი წლის ბიუჯეტების პარამეტრები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ პერიოდში დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმას.

საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ზღვრის ან ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ ზღვრის/ზღვრების შესაბამისი იყო, გარდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა ან/და ეკონომიკური რეცესიისა.

საშუალოვადიანი პერიოდისათვის ფისკალური პარამეტრების დადგენა ეფუძნება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგად წესებს ისე ქვეყანაში და რეგიონში არსებულ მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზს.

სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეთა პასუხისმგებლობა

ბიუჯეტის პროექტის მომზადება, შესრულება და ანგარიშგება

- საქართველოს მთავრობა

ბიუჯეტის პროექტის განხილვა, დამტკიცება და კონტროლი

- საქართველოს პარლამენტი

სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თავი 2. საქართველოს ფისკალური სექტორის სტატისტიკური ანალიზი

ბიუჯეტის დეფიციტი, მისიგაანგარიშების მეთოდოლოგია და მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა

ფისკალური სფეროს რეფორმები საქართველოში

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა- BDDD

ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი

საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები

საქართველოს ფისკალური სექტორის სტატისტიკური ანალიზი

ბიუჯეტის დეფიციტი, მისიგაანგარიშების მეთოდოლოგია და მდგომარეობა საქართველოში

ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი გამოიყენება მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების ძირითადი მიმართულებებისა და ეკონომიკურ გარემოზე გავლენის შესაფასებლად. შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსების არსებული სტატისტიკის საფუძველზე აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფოს ფინანსების სტატისტიკის სისტემა წარმოადგენს რაოდენობრივ ინსტრუმენტს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სახელმწიფოს ფინანსური ოპერაციების კლასიფიცირება და აღრიცხვა და რომელიც საფუძველად უდევს სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის წარმოებას მრავალ ქვეყანაში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის შედეგების იდენტიფიცირება, გაზომვა, მონიტორინგი და წარმოდგენილი მაჩვენებლების

ანალიზის საფუძველზე ფისკალური მდგრადობის შეფასება. აღნიშნული სისტემა ეტაპობრივ დახვეწას განიცდის. დღეისთვის ფართოდ გამოიყენება 1986 წლისა და 2001 წლის სახელმძღვანელოები.

მაკროეკონომიკური ანალიზისათვის GFS სისტემის მიხედვით გაიანგარიშებას ხვადასხვა სახის ბალანსები, რომლებიც ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის შესაფასებლად გამოიყენება. კერძოდ, GFS სისტემის 1986 წლის სახელმძღვანელოს მიხედვით სამთავრობო ოპერაციების უწყისში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სალდო (ბალანსი), ხოლო 2001 წლის სახელმძღვანელოს მიხედვით, ხდება საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს გამიჯვნა. გარდა აღნიშნულისა, GFS სისტემა საშუალებას იძლევა ფისკალური გარემოს ანალიზისათვის გაანგარიშებულ იქნას სხვა ფისკალური ინდიკატორებიც, რომლებიც რეკომენდაციის სახით თავად სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი, მათ შორის:

მთლიანი ფისკალური ბალანსი - ბიუჯეტის მთლიანი სალდო, კორექტირებული აქტივებისა და ვალდებულებების რეკლასიფიკაციით; კერძოდ, პრივატიზაციის მოცულობა გადაიტანება ფინანსური აქტივების კომპონენტში, ხოლო წმინდა გასესხების სახით გაცემული სუბსიდიები აღირიცხება ხარჯებად

კორექტირებული მთლიანი ფისკალური ბალანსი - მთლიანი ფისკალური ბალანსი, კორექტირებული გარკვეული სახის ან მთლიანად გრანტების, ან ცალკეული უჩვეულო/იშვიათი ოპერაციების ამორიცხვით, რომლებმაც შესაძლოა ფისკალურ ანალიზში უზუსტობა შეიტანოს

ციკლურად კორექტირებული მთლიანი ფისკალური ბალანსი- ფისკალური ბალანსი, რომელიც შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობას აკორექტირებს ეკონომიკური ციკლის შესაბამისად.

სტრუქტურული ბალანსი - ფისკალური ბალანსი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებისა და ხარჯების ციკლურ ცვლილებებს და ასევე უჩვეულო/იშვიათი ოპერაციების ეფექტებს.

პირველადი ბალანსი- მთლიან ფისკალურ ბალანსს დამატებული წმინდა საპროცენტო ხარჯი;

ციკლურად კორექტირებული პირველადი ბალანსი- პირველადი ფისკალური ბალანსი, რომელიც შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობას აკორექტირებს ეკონომიკური ციკლის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის სახელმწიფო ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი ისალდო.

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია თავის მხრივ ეყრდნობას აერთაშორისო საგალობლო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სტანდარტებს (GFSM 2001).

აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (სამთავრობო პრაქტიკის უწყისიდან) მიჯნავს სეთს სამთავრობო პრაქტიკას, რომლებსაც გავლენა აქვს შემდეგი კომპონენტების მოცულობაზე: შემოსავლები, ხარჯები, არაფინანსური აქტივების ცვლილება, ფინანსური აქტივების ცვლილება და ვალდებულებების ცვლილება.

შემოსავლები - მოიცავს ყველა იმ ტრანზაქციას, რომელიც ზრდის სამთავრობო სექტორის წმინდა ღირებულებას. ბიუჯეტის ბალანსის შემოსავლების მუხლი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: საგადასახადო შემოსავლები, გრანტები და სხვა შემოსავლები

ხარჯები - მოიცავს ყველა იმ ტრანზაქციას, რომელიც ამცირებს სამთავრობო სექტორის წმინდა ღირებულებას. ბიუჯეტის ბალანსის ხარჯების მუხლი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები

არაფინანსური აქტივების ცვლილება - მოიცავს ყველა იმ ტრანზაქციას, რომელიც ზრდის ან/და ამცირებს სახელმწიფოს მიერ არაფინანსური აქტივების ფლობას.

ფინანსური აქტივების ადავალდებულებების ცვლილება - მოიცავს ყველა იმ ტრანზაქციას, რომელიც ზრდის ან/და ამცირებს სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების ადაფინანსური აქტივების ფლობას.

სამთავრობო ოპერაციების ანგარიშის მიხედვით გაიანგარიშება ორი ძირითადი ანალიტიკური ბალანსი: საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო.

საოპერაციო სალდო განისაზღვრება შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით და წარმოადგენს სამთავრობო ოპერაციების მდგრადობის შეფასების ინდიკატორს. საოპერაციო სალდოს დადებითი მაჩვენებელი, გვიჩვენებს რომ მიმდინარე შემოსავლები აღემატება მიმდინარე ხარჯებს, ხოლო საოპერაციო სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში მიმდინარე შემოსავლების მოცულობა ნაკლებია მიმდინარე ხარჯების მოცულობაზე, რის შედეგადაც ვერ ხდება მიმდინარე დანაზოგის დაგროვება.

მთლიანი სალდო განისაზღვრება საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილების სხვაობით. შესაბამისად, მთლიანი სალდოს მაჩვენებლით შესაძლებელია ფისკალური ღონისძიებების ფინანსური ზეგავლენის შეფასება ეკონომიკაზე.

მთლიანი სალდოს დადებითი მაჩვენებელი = ბიუჯეტის პროფიციტი

მთლიანი სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი = ბიუჯეტის დეფიციტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის ანგარიშობს როგორც 1986 წლის ასევე 2001 წლის კლასიფიკატორის მიხედვით. სახელმწიფო ფინანსებზე სრული წარმოდგენისთვის მნიშვნელოვანია შევხედოთ როგორც 1986 წლის კლასიფიკატორით, ასევე 2001 წლის კლასიფიკატორით დათვლილ დეფიციტს.

მნიშვნელოვან განსხვავებას აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის იძლევა არაფინანსური აქტივების ცვლილება (პრივატიზაცია) და წმინდა დაკრედიტება. აღნიშნული კლასიფიკატორების მუხლები მოცემულია ცხრილში.

GFSM 1986

მთლიანი შემოსავლები და გრანტები

მათგან: არაფინანსური აქტივების გაყიდვა

მთლიანი ხარჯები და წმინდა დაკრედიტება

მიმდინარე ხარჯები

კაპიტალური ხარჯები

კაპიტალური ტრანსფერები

არაფინანსური აქტივების შეძენა

წმინდა დაკრედიტება

მთლიანი ბალანსი

დაფინანსება

შიდა, წმინდა

Δ ვალუტა და დეპოზიტები

შიდა სესხება (წმინდა)

საგარეო, წმინდა

შემოსავლები პრივატიზებიდან

GFSM 2001

შემოსავლები
ხარჯები
მათგან:მიმდინარე ხარჯები GFSM 1986
მათგანკაპიტალური ტრანსფერები GFSM 1986
საოპერაციო სალდო
არაფინანსური აქტივების ცვლილება
არაფინანსური აქტივების ზრდა
არაფინანსური აქტივების კლება
ბალანსი
ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა
შიდა
საგარეო
ვალდებულებების წმინდა ზრდა
შიდა
საგარეო

ბიუჯეტის ბალანსის ფორმა

დასახელება
I. შემოსავლები
გადასახადები

სოციალური შენატანები
გრანტები
სხვა შემოსავლები
II. ხარჯები
შრომის ანაზღაურება
საქონელი და მომსახურება
პროცენტი
სუბსიდიები
გრანტები
სოციალური უზრუნველყოფა
სხვა ხარჯები
III. საოპერაციო სალდო
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება
ზრდა
კლება
V. მთლიანი სალდო
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება
ზრდა
ვალუტა და დეპოზიტები
სესხები
აქციები და სხვა კაპიტალი
კლება
ვალუტა და დეპოზიტები
სესხები
აქციები და სხვა კაპიტალი
VII. ვალდებულებების ცვლილება
ზრდა
საგარეო
საშინაო
კლება
საგარეო
საშინაო
VIII. ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსის შედგენის მეთოდური განმარტებები

ბიუჯეტის ბალანსი შედგენილი უნდა იყოს ბიუჯეტის ბალანსის ფორმის შესაბამისად. ბალანსში მუხლები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს უფრო დაბალი თანრიგების მიხედვით, ხოლო ფინანსური აქტივები დაიყოს საშინაო და საგარეო

წყაროების მიხედვით. არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლება წარმოადგენილი უნდა იყოს დადებითი მაჩვენებლებით და შესაბამისად აღნიშნული მუხლების ცვლილების გაანგარიშება ხორციელდება ზრდის და კლების მაჩვენებლების სხვაობით.

ბიუჯეტის ბალანსში შემოსავლები წარმოადგენს გადასახადების, სოციალური შენატანების, გრანტებისა და სხვა შემოსავლების ჯამს.

ბიუჯეტის ბალანსში ხარჯები წარმოადგენს შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების, ძირითადი კაპიტალის მოხმარების (დარიცხვის მეთოდზე გადასვლის შემდგომ), პროცენტის, სუბსიდიების, გრანტების, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა ხარჯების ჯამს.

საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე. შესაბამისად, დადებითი მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში უფრო მეტი მიმდინარე შემოსავალია ვიდრე მიმდინარე დანიშნულების ხარჯები. უარყოფითი მაჩვენებელი კი პირიქით, გვიჩვენებს რომ საანგარიშო პერიოდის მიმდინარე შემოსავალი ნაკლებია მიმდინარე დანიშნულების ხარჯებზე და შესაბამისად, ვერ ხდება მიმდინარე დანაზოგის დაგროვება.

არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოადგენს ამ ბრძანების V თავით გათვალისწინებულ არაფინანსურ აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებს ზრდის და კლების მიმართულებით.

მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას.

ფინანსური აქტივების ცვლილება და ვალდებულებების ცვლილება წარმოადგენს ოპერაციებს ზრდის და კლების მიმართულებით.

ბიუჯეტის ბალანსის გაანგარიშებისას მთლიანი სალდოს მაჩვენებელს აკლდება ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი და ემატება ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი. ბალანსი, მისი პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია იყოს ნულის ტოლი.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	მათ შორის	
				საბიუჯეტო სახსრები	დონორების დაფინანსება
შემოსავლები	8,580,032.1	9,489,460.0	10,120,000.0	9,955,000.0	165,000.0
გადასახადები	7,986,750.3	8,820,000.0	9,470,000.0	9,470,000.0	0.0
გრანტები	296,827.0	284,460.0	265,000.0	100,000.0	165,000.0
სხვა შემოსავლები	296,454.8	385,000.0	385,000.0	385,000.0	0.0
ხარჯები	8,741,830.8	9,121,225.2	9,504,545.9	9,125,922.9	378,623.0
შრომის ანაზღაურება	1,452,292.5	1,393,505.1	1,397,524.1	1,396,939.1	585.0
საქონელი და მომსახურება	1,117,790.3	1,144,275.3	1,188,276.8	1,163,978.8	24,298.0
პროცენტი	397,707.3	503,040.0	550,038.0	550,038.0	0.0
სუბსიდიები	333,993.0	419,969.0	437,897.0	336,647.0	101,250.0
გრანტები	960,452.6	1,020,282.0	1,302,934.2	1,177,939.2	124,995.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,150,058.1	3,313,177.0	3,413,015.0	3,413,015.0	0.0
სხვა ხარჯები	1,329,537.0	1,326,976.8	1,214,860.9	1,087,365.9	127,495.0
საოპერაციო სალდო	-161,798.7	368,234.8	615,454.1	829,077.1	-213,623.0


საყურადღებოა, რომ ეკონომიკური ანალიზისას სავალუტო ფონდი აქტიურად იყენებს ფისკალურ ბალანსს, რომელიც უახლოვდება 1986 წლის კლასიფიკაციით დათვლილ ბალანსს.

აღნიშნული მაჩვენებლის სპეციფიკა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ GFSM 1986 მეთოდოლოგიაში დაფინანსების წყაროდ განხილულია პრივატიზაციაც.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დადგენილ ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელთან ერთად, რომელიც ეყრდნობა GFSM 2001 წლის მეთოდოლოგიას, ფისკალური გარემოს შეფასებისთვის მნიშვნელოვანი განვიხილოთ მთლიანი ფისკალური დეფიციტი. აღნიშნული საკითხი განსაზღვრულია IMF-თან გაფორმებული ტექნიკური მემორანდუმის ფარგლებშიც.

ამ ორი მეთოდოლოგიის შესაბამისად დათვლილი ბიუჯეტის ბალანსები შემდეგნაირად გამოიყურება:

ბიუჯეტის დეფიციტი (% მშპ)




2015 და 2016 წელს 2013 და 2014 წლებთან შედარებით დიდი განსხვავება GFSM 1986 და GFSM 2001-თ დათვლილ ბალანსებს შორის გამოწვეული იყო მშპ-თან მიმართებით პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდით. 2015 წელს პრივატიზებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მშპ-ს 1.1%, ხოლო 2016 წელს მშპ-ს 0.9% შეადგინა.

შეადგინა.

ფისკალური მდგრადობისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია ასევე საოპერაციო სალდო და პირველადი დეფიციტი, მთლიან ბალანსზე საპროცენტო ხარჯების დამატებით მიიღება. GFSM 2001-თ დათვლილი პირველადი ბალანსი ახლოსაა ნულთან და 2016 წელს პირველადმა დეფიციტმა მშპ-ს 0.2% შეადგინა.

საოპერაციო სალდო და პირველადი ბალანსი



ფისკალური მდგრადობის შესაფასებლად და ეკონომიკური ანალიზისთვის მნიშვნელოვანი ციკლურად კორექტირებული დეფიციტის შეფასება, რომელიც რომელიც შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობას აკორექტირებს ეკონომიკური ციკლის შესაბამისად. ციკლურად ბალანსის კორექტირებისას გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

$$R^S = R \left(\frac{Y^P}{Y} \right)^{\varepsilon_R} \quad E^S = E \left(\frac{Y^P}{Y} \right)^{\varepsilon_S}$$

სადაც:


- Y – ფაქტიური მშპ
- Y^P – პოტენციური მშპ,
- R – ფაქტიური შემოსავლები,
- E – ფაქტიური დანახარჯები,
- ε_R – შემოსავლების ელასტიკურობა მშპ-ს მიმართ,
- ε_S – დანახარჯების ელასტიკურობა მშპ-ს მიმართ

ამრიგად, იმისთვის რომ შევავსოთ ციკლურად შესწორებული ბალანსი საჭიროა ვიცოდეთ მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრა - მშპ გაპი და შემოსავლების და დანახარჯების ელასტიკურობები.

მიჩნეულია, რომ **დანახარჯების ელასტიკურობა** მშპ-ს მიმართ შეგვიძლია ავიღოთ ნულის ტოლად, რადგან დანახარჯები მშპ-ს ცვლილებაზე არ რეაგირებს, თუ ფისკალური პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ იცვლება.

შემოსავლების ელასტიკურობას ჩვეულებრივ მეტია 1-ზე. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს შეფასებული აქვს შემოსავლების ელასტიკურობა მშპ-ს მიმართ და იგი 1.3-ის ტოლია.

რაც შეეხება **მშპ-ს პოტენციური დონის** შეფასებას შეგვიძლია გამოვიყენოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეფასება მშპ გაპის შესახებ. აღნიშნული შეფასება ეფუძნება ფართოდ გავრცელებულ მეთოდოლოგიას და იყენებს კალმანის ფილტრს მშპ-ს პოტენციური დონის შესაფასებლად. აღნიშნული შეფასების თანახმად მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრამ 2.2% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაანგარიშებები

აღნიშნული კოეფიციენტების საშუალებით შეგვიძლია დავიანგარიშოთ ციკლურად კორექტირებული შემოსავლები და დანახარჯები.


$R^S = 9680 * (1.022)^{1.3} = 9958$ მლნ, რაც პოტენციური მშპ-ს 28.7%-ია.

$E^S = E = 10154.9$ მლნ, რაც პოტენციური მშპ-ს 29.3%-ია.

შესაბამისად 2016 წელს ციკლურად შესწორებული მთლიანი ბალანსი GFSM 2001-ის მეტოდოლოგიაზე დაყრდნობით პოტენციური მშპ-ს 0.6%-ს შეადგენს.


საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს 4 კატეგორიას: გადასახადები, სოციალური შენატანები, გრანტები და სხვა შემოსავლები. თუმცა, სოციალური შენატანები 2007 წლიდან აღარ არსებობს. აღნიშნული უკავშირდება მის ინტეგრირებას საშემოსავლო გადასახადთან. 2016 წელს შემოსავლების ნომინალური მნიშვნელობა გაიზარდა 8.0%-ით და მთლიანი შიდა პროდუქტის 28.5% შეადგინა. შემოსავლების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან საშუალოდ 28%-ს შეადგენს.




თავის მხრივ შემოსავლების ყველაზე დიდ ნაწილს საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს. 2016 წელს გადასახადების წილი მთლიან შემოსავლებში 90.8% შეადგინა.

შემოსავლების სტრუქტურა - 2016



2016 წელს გადასახადების მოცულობა 9.7%-ით გაიზარდა. საგადასახადო შემოსავლების მოცულობაზე გავლენას ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და ინფლაცია. 2016 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.7%, ხოლო დეფლატორის პროცენტულმა ცვლილებამ 4.0% შეადგინა. შესაბამისად მარტივი შეფასებით, 2016 წელს საგადასახადო შემოსავლების ელასტიკურობა ნომინალური მშპ-ს მიმართ 1.4 იყო.



საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა და თითოეული გადასახადის ანალიზი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესების მართვის გაუმჯობესების კუთხით. 2009

წლიდან საქართველოს კანონმდებლობით არსებობს 6 სახის გადასახადი, ესენია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი და ექონების გადასახადი.

ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნულ გადასახადებთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტების ანალიზი.


შემოსავლების ანალიზისათვის პირველისაკითხია საგადასახადო ტვირთის შეფასება და დანიშნულების ანალიზი.

საგადასახადო ტვირთის ყველაზე მიღებული ინტერპრეტაცია წარმოადგენს გადახდილი გადასახადების თანაფარდობა მთლიან შემოსავლებთან (მშპ-სთან), რომელიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენი შემოსავლის რანაწილის გადახდა უწევს მთლიან საზოგადოებას. საგადასახადო შემოსავლების ფარდობა მშპ-თან 2016 წელს 25.9% შეადგინა.

საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი ყოველთვის ეკავა დამატებული ირებ ულების გადასახადს, მეორე მნიშვნელოვანი პოზიცია კისარ შემოსავლო გადასახადს, ხოლო მოგების და აქციის გადასახადები შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების მე-3 დამე-4 მნიშვნელოვანი კომპონენტები იყვნენ. 2008


წლიდან სამოსავლო გადასახადის წილის ზრდა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ მოხდარო გადასახადის - სამოსავლო და სოციალური გადასახადების შერწყმა და 32%-იანი ჯამური განაკვეთიდან თანდათანობით მოხდამის იმეცირება 20%-მდე.

2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების წილი საგადასახადო შემოსავლებში



გადასახდელებისანალიზი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის GFSM 2001 კლასიფიკაციით გადასახდელები მოიცავს: მიმდინარე ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდას და ვალდებულებების კლებას. 2016 წელს ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელებმა 10 154.9 მლნ ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 9.1%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2016 წელს გადასახდელებმა მშპ-ს 29.9% შეაფგინა.



გადასახდელები თავის მხრივ შეიძლება დავეყოთ ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.

ეკონომიკური კლასიფიკაციით მიმდინარე ხარჯების კატეგორიებია:


- საქონელი და მომსახურება
- შრომის ანაზღაურება
- პროცენტი
- სუბსიდიები
- გრანტები

- ძირითადი კაპიტალის მოხმარება
- სოციალური უზრუნველყოფა
- სხვა ხარჯები

ეკონომიკური კლასიფიკაციით განსაზღვრულ ხარჯებზე არაფინანსური აქტივების ცვლილების დამატებით ვიღებთ მთლიან გადასახდელებს.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს სოციალური უზრუნველყოფა და შრომის ანაზღაურება წარმოადგენს.

გადასახდელების სტრუქტურა



გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
- თავდაცვა
- განათლება

- ჯანმრთელობის დაცვა
- გარემოს დაცვა
- საბინაო-კომუნალური მომსახურება
- ეკონომიკური საქმიანობა
- კულტურა
- სოციალური დაცვა

უკანასკნელისამიწლისგანმავლობაშიმნიშვნელოვანიზრდაგანიცადასოციალურდაცვასა დაჯანდაცვაზეგაწეულმახარჯებმა, 2015 წლისმონაცემებითსოციალურდაცვასადაჯანდაცვაზეგაწეულმახარჯებმამთლიანიხარჯების 34.9% შეადგინა. აღმოსავლეთევროპისქვეყნებთანშედარებითსოციალურდაცვასადაჯანდაცვაზეგაწეული ხარჯებისწილისაქართველოშიჯერკიდევდაბალია.

ფუნქციონალურად ბიუჯეტის გადანაწილების სწორი მოდელის შეფასება საკმაოდ რთულია, თუმცა შეგვიძლია ორიენტირად ავიღოთ აღმოსავლეთ ევროპის მედიანური მაჩვენებლები. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი მთლიანი ხარჯების თითქმის ნახევარი სოციალურ დაცვასა და ჯანდაცვაზე იხარჯება.

სოციალურ დაცვასა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილის მიხედვით ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი მთლიანი ხარჯების 55%-ს შეადგენს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი მედიანური მაჩვენებელი 47%-ია. სოციალურ დაცვასა და ჯანდაცვაზე გაწეულ ხარჯებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი წილი უჭირავს საქართველოში (35%). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო პროცენტულად ყველაზე მეტს ხარჯავს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე (ჯამურად 17%), მაშინ როცა აღმოსავლეთ ევროპის მედიანური მაჩვენებელი 7%-ია. განათლებაზე გაწეული ხარჯების ზრდის პარალელურად საქართველო თანდათან უახლოდება აღმოსავლეთ ევროპის მედიანურ მაჩვენებელს (12%-ს).

ფისკალური შეზღუდვები

საბიუჯეტო პროცესის ეფექტიანი მართვის თანამედროვე პრაქტიკაში ფისკალური შეზღუდვები ერთ-ერთ ფართოდ აპრობირებულ და გამოცდილ მექანიზმად ითვლება. აღნიშნულისაკითხიგანსაკუთრებითსაყურადღებოა 2008

წლისეკონომიკურიდაფინანსურიკრიზისისთანმდევიფისკალურიშედეგების, მათშორის, რიგისახელმწიფოებისათვისსახელმწიფოვალისკოეფიციენტებისმასშტაბურიზრდისგათვალისწინებით, რამაც, თავისმხრივ, წამოჭრაუმალლესიაუდიტორულიინსტიტუტებისროლისზრდისაუცილებლობაფისკალურიმდგრადობისადაფისკალურილიმიტებთანშესაბამისობისმონიტორინგისმიმართულებით.

ეფექტიანიფისკალურიშეზღუდვებიშესაძლოამიჩნეულიქნასფისკალურიკონსოლიდაციის, რესურსებისრაციონალურიგანაწილებისდაშესაბამისად, ფისკალურიმდგრადობისუზრუნველყოფისერთ-ერთმნიშვნელოვანინსტრუმენტად.

ფისკალურიშეზღუდვებისმიზანიარასწორადჩამოყალიბებულიფისკალურისტიმულებსკორექტირებადაშეზღუდვებისდაწესება, რაც, თავისმხრივ, ფისკალურიდისციპლინისადასაშუალოვადიანიმდგრადობისწინაპირობაა (fiscal responsibility and debt sustainability).

მიზნობრივისაბიუჯეტოაგრეგატისმიხედვითგანასხვავებენ 4 ძირითადიტიპისფისკალურშეზღუდვას.

თითოეულიტიპისათვისმახასიათებლებიგანსხვავებულიამათიმიზნების, ოპერაციულიასპექტებისადაგამჭვირვალობისხარისხისმიხედვით:

- ბიუჯეტისბალანსისშეზღუდვებიუზრუნველყოფენმშპ-სთანმიმართებაშიბიუჯეტისბალანსისკონტროლს.

აღნიშნულილიმიტებიძირითადადემყარებასამიტიპისბალანსს: მთლიან, სტრუქტურულანციკლურადშესწორებულბალანსს.ბალანსისშეზღუდვებისერთ-ერთმაგალითსწარმოადგენს "ოქროსწესის" ტიპისშეზღუდვები,

რაციონალური მიზნების მიხედვით დადგენილი ვალდებულებების მიზნობრიობის განსაზღვრას ინვესტირების და არამიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად დაროგორც წესი,

განსაზღვრავს წმინდა კაპიტალური ხარჯების მთლიანი ბალანსის მიზნობრივ მაჩვენებელს.

- ვალის შეზღუდვები განსაზღვრავს მაქსიმალურ დასაშვებ დონეს ან მიზნობრივ მაჩვენებელს მშპ-ს თანმიმართებაში, რაც ვალის მდგრადობის უზრუნველყოფას ემსახურება. თუმცა როდესაც ვალი მაქსიმალურ დასაშვებ დონეზე გაცილებით მცირეა, შეზღუდვების ეფექტი ანობამცირდება.
- ხარჯებზე განსაზღვრული შეზღუდვები, როგორც წესი, ადგენენ ლიმიტებს მთლიანი, პირველადი ან მიმდინარე ხარჯებისათვის. ასეთი შეზღუდვები, წარმოდგენილი არიან როგორც ბსოლუტურ, ისე პროცენტულ გამობატულებაში (მშპ-ს თანმიმართებაში) დამათიმოქმედების პერიოდი, როგორც წესი, გრძელდება 3-დან 5 წლამდე. აღნიშნული შეზღუდვები შეიძლება ეფექტიანად იქნას გამოყენებული ფისკალური კონსოლიდაციის განსახორციელებლად.
- შემოსავლების შეზღუდვები აწესებს შემოსავლების ქვედა ანზე დაზღვრებს. იგი მიზნად ისახავს გადაჭარბებული საგადასახადო ტვირთის თავიდან აცილებას ან შემოსავლების ადმინისტრირების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

თანამედროვე პრაქტიკაში შეზღუდვების უმეტესობა გამოიყენება დეფიციტის ან ვალის ლიმიტების დასაწესებლად.

ფისკალური შეზღუდვები მოქმედებს საქართველოშიც, კერძოდ, 2011 წლის ივლისში დამტკიცებული „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ საკანონმდებლო წესით ადგენს ბიუჯეტის დეფიციტის, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მოცულობის და მთლიანი სახელმწიფო ვალის შეზღუდვებს მშპ-ს თან მიმართებაში.

„ეკონომიკური თავისუფლების აქტი“-ს თანახმად დადგენილია შემდეგი ფისკალური შეზღუდვები:

- ნაერთიბიუჯეტის ხარჯების ადარაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არაუმეტეს 30% ;
- ნაერთიბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არაუმეტეს 3% ;
- სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არაუმეტეს 60% .

ამეტაპზე ფისკალური შეზღუდვების უმრავლესობა ნორმატიული ბაზით, ადგილობრივი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით არის გამყარებული. მასტრიხტის ხელშეკრულებას წორედ ერთი მათგანია. იგი შეთანხმებული იქნა 1990-91 წლებში და ხელი მოეწერა 1992 წლის 7 თებერვალს.

მასტრიხტის ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაცნობილი დებულებაა, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს უყენებს ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალის რაოდენობრივი ლიმიტებს.

ევროკავშირის მიერ დადგენილი აღნიშნული ფისკალური შეზღუდვები 1970-1980-იანი წლების წარუმატებელი ფისკალური პოლიტიკის გამომდინარეობაა, რომელსაც თავის დროზე თანახლდა: მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი, მზარდ სახელმწიფო ვალი; პროციკლური პოლიტიკური ტენდენცია; მზარდ საგადასახადო ტვირთი, რომელიც კიდევ უფრო ართულებდა სამუშაო ადგილების შექმნას (Butti, 2001).

მასტრიხტის ხელშეკრულებამ მოიტხოვს სტაბილურ ფისკალურ მდგრადობას მისი წევრისა ხელმწიფოებისაგან, რათა მოხდეს მათი ეკონომიკური დამონეტარულ კავშირში (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაერთიანება, რომელთაც აქვთ საერთო ვალუტა – ევრო) გაწევრიანება. ამ მოთხოვნასთან შესაბამისობა ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორცაა: ფასების სტაბილურობა, მთავრობის ფინანსური მდგრადობა,

გაცვლითი კურსის ადაგრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის სიმყარე.

ხელშეკრულებაწვერქვეყნებსავალდებულებსთავიდანაიცილონბიუჯეტისმაღალიდეფიციტები (Excess Budget Deficit).

საბიუჯეტოპოლიტიკისშესაბამისობახელშეკრულებისპირობებთანმიმართებაშიორიკრიტერიუმითფასდება:

- არისთუარადეფიციტიმშპ-ის 3%-ზენაკლები;
- შეადგენსთუარასახელმწიფოვალიმშპ-ის 60% -ზენაკლებს.

იმშემთხვევაშითუესპირობებიარსრულდება, მათუნდაჰქონდესკლებისტენდენციამაინცამასთანავე,

ხელშეკრულებაგამორიცხავსმთავრობისმიერხარჯებისდაფინანსებასმონეტარულიინსტრუმენტებითდაკრედიტზეპრივილეგიებულხელმისაწვდომობას.შეფასებისას,

ჭარბიდეფიციტისარსებობისშემთხვევაში, ევროკომისიამ,


რომელსაცბიუჯეტისზედამხედველობააკისრია,

საბჭოსთანერთადუნდაგანიხილოსაღმატებათუარადეფიციტისახელმწიფოინვესტიციებსდაასევე, სხვამასთანდაკავშირებულისაკითხები.

სამთავრობო დანაზოგები და სახელმწიფო ინვესტიციების საქართველოში

სამთავრობო დანაზოგები, რაც ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს წარმოადგენს მნიშვნელოვანი პარამეტრია ფისკალური მდგრადობისთვის. სამთავრობო დანაზოგები - საოპერაციო სალდო წარმოადგენს სხვაობას ბიუჯეტის შემოსავლებსა და მიმდინარე ხარჯებს შორის. სამთავრობო დანაზოგების უარყოფითი მნიშვნელობა აღიქმება, როგორც ცალსახად ნეგატიური ფისკალური მდგრადობისთვის. სამთავრობო დანაზოგების უარყოფითი მნიშვნელობა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს არ შესწევს უნარი შემოსავლებით დააფინანსოს მიმდინარე ხარჯები და ამისთვის იყენებს სავალ დაფინანსებას. თუ ვალის აღება კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად საჭირო, მაშინ ის არ აღიქმება სახიფათოდ არც ფისკალური და არც ვალის მდგრადობის თვალსაზრისით, რადგან სახელმწიფო ინვესტიციები საშუალოვადიან პერიოდში პოზიტიურ გავლენას ახდენს მშპ-ს ზრდაზე. მიმდინარე ხარჯებს კი ხასიათდება მულტიპლიკატორის დაბალი დონით.

საქართველოში სამთავრობო დანაზოგების უარყოფითი მნიშვნელობა მხოლოდ 2009 წელს ომის შემდგომ დააფიქსირდა. 2010 წლის შემდგომ საქართველოში სტაბილურად ფიქსირდება სამთავრობო დანაზოგების დადებითი მნიშვნელობა და შესაბამისად ვალის აღება სახელმწიფო ინვესტიციების დასაფინანსებლად ხორციელდება.




ამასთანავე, 2010-2016 წლებში სახელმწიფო ინვესტიციების 49.5% საშუალოდ სამთავრობო დანაზოგებით დაფინანსდა. სამთავრო დანაზოგების არასაკმარის დონე სახელმწიფო ინვესტიციების დასაფინანსებლად განაპირობებს ბიუჯეტის დეფიციტს, რაც თავის მხრივ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემადგენელი ნაწილია.

$$CA = (Sp - Ip) + (Sg - Ig)$$

2016 წელს დანაზოგები ინვესტიციების ბალანსმა - მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 13.3% შეადგინა, რომლის 30% საჯარო სექტორზე მოდის. შესაბამისად საქართველოში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ძირითადი წყარო კერძო სექტორია.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წყაროები



ფისკალური სფეროს რეფორმები საქართველოში.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა დაიწყო 2004 წლიდან, რომელიც გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას. საქართველომ შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღი საბიუჯეტო სისტემის არსებობას. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული ახალი რეგულაციების ასახვა მოხდა ახალ საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც დამტკიცდა 2009 წელს და 2010 წლიდან მოქმედებს. შედეგად, სახელმწიფო, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტირების სისტემის ყველა საკანონმდებლო აქტი ერთ კანონში გაერთიანდა, გაუმჯობესდა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD), დაინერგა პროგრამული ბიუჯეტი ცენტრალური მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვის, პარლამენტმა დაამტკიცა ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონი, რომელიც ძალაშია 2014 წლიდან. ის განსაზღვრავს ფისკალური დისციპლინის წესებს საჯარო ფინანსების მართვისთვის, ასევე - სავალდებულოდ აღსასრულებელ ფისკალურ წესებს და გამონაკლისებს. ზემოხსენებული კანონების საფუძველზე საქართველოს საჯარო ფინანსების მართვა ხორციელდება რამდენიმე კანონქვემდებარე აქტით, რომელთაგან აღსანიშნავია: ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკაცია, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო სექტორში ფინანსური სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს ეფუძნება, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტირების შედგენის მეთოდოლოგია და მთავრობისა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია და სხვა. განვითარდა ელექტრონული სისტემები (ePFMs) მთლიანად ჰარმონიზებული ელექტრონული ბიუჯეტებისა (eBudget) და სახაზინო (eTreasury) სისტემებთან. საჯარო ფინანსების მართვის

ინტეგრირებული, ინტერნეტზე დაფუძნებული, ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა ერთ-ერთი უდიდესი წარმატებაა ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში. ამჟამად მას დაახლოებით 4,500 შიდა მომხმარებელი ჰყავს. ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო პროცესის და პროცედურების პარალელურად განვითარდა ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი და პროცედურები და ჩამოყალიბდა სრულყოფილი და კარგად დანერგილი სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების eTreasury-ს სისტემაში ჩართვას.

გაუმჯობესდა ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა. გაძლიერდა კავშირები მთავრობის პროგრამის მომცველ დოკუმენტებს შორის, საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოს, დარგობრივი სამინისტროების ინდივიდუალურ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. 2012 წლიდან დაიწყო პროგრამული ბიუჯეტირება და შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება. შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვა საჭიროებს დამატებით სამუშაოს და მოიაზრება რეფორმის დღის წესრიგში. მნიშვნელოვანი წინსვლა იყო საბიუჯეტო პროცესის დახვეწის თვალსაზრისით, რაც აღიარებულია 2012 წლის PEFA-ს შეფასებაში, რომლის მიხედვითაც, პროგრამული ბიუჯეტის შემოღება და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიურ ბიუჯეტს შორის კავშირის გაუმჯობესება იმის საშუალებას იძლევა, რომ ბიუჯეტის ასიგნებები შეესაბამებოდეს სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამული ბიუჯეტის და საშუალოვადიანი დაგეგმვის მეთოდოლოგიის გაფართოების შედეგად, რომელმაც 2017 წლის კანონით ბიუჯეტის შესახებ ყველა დარგობრივი სამინისტრო მოიცვა, PEFA-ს შეფასებით საქართველომ შეძლო 2012 წელს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით მნიშვნელოვანი წინსვლისათვის მიეღწია. აღნიშნული შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. მათ შორის, 2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, რამაც ხელი შეუწყო დარგობრივი, სექტორული და სხვა ტიპის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას როგორც შინაარსობრივი, ისე პროცედურული საკითხების დარეგულირებას. შედეგად, გაძლიერდა კავშირი ქვეყნის ძირითად მიმართულებებსა და ბიუჯეტს შორის. ქვეყნის მასშტაბით მომზადებული დარგობრივი და სექტორული სამოქმედო გეგმები მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს და შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით 4 წლიან პერიოდში განსაზღვრულ პარამეტრებს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საქართველოს დიდი წინსვლა ჰქონდა. საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ამას ადასტურებს 2015 წლის ღია ბიუჯეტის გამოკითხვა. საქართველო 66 ქულით მოექცა „მნიშვნელოვნად გამჭვირვალე“ ქვეყნების ჯგუფში და წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიაღწია (55 ქულა), ხოლო 2006 წლის შეფასებით საქართველო შეფასდა 33 ქულით. 2015 წლის ღია ბიუჯეტის გამოკითხვით, საქართველომ მე-16 ადგილი დაიკავა 102 ქვეყანას შორის. 2015 წლის ანგარიშის თანახმად, 8 ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტიდან მომზადდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო 7 დოკუმენტი საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრულ ვადებში, მოთხოვნილი ინფორმაციიდან მხოლოდ შუალედური (6 თვის)

ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა არ იყო წარმოდგენილი. ვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო 6 თვის შუალედური მიმოხილვის მომზადება და პარლამენტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად წარდგენა. 2017 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველო არის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სრულყოფილი კვლევის პროცესისთვის ყველა დოკუმენტს ამზადებს, 6 თვის შუალედური მიმოხილვების ჩათვლით. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კაპიტალური ბიუჯეტირების გაუმჯობესების მიმართულებით. ძალისხმევა ხმარდება როგორც კაპიტალურ ხარჯებზე საბიუჯეტო დოკუმენტაციის შინაარსობრივ დახვეწას, ისე ერთიანი მიდგომის დანერგვას საჯარო სექტორში ინვესტიციების საერთო ეფექტიანობისა და ეფექტურობის გასაზრდელად. შემუშავა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც დაიწყო აღნიშნული რეფორმის ეტაპობრივი დანერგვის პროცესი. ქვეყანაში საჯარო სექტორში ინვესტიციების მართვის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი სისტემის სრულყოფილად დანერგვისთვის მთავრობის ძალისხმევა მიმართულია რეფორმის შემდგომი ეტაპების განხორციელებისკენ. მნიშვნელოვანი წინსვლაა საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების რეფორმის დანერგვის მიმართულებით. საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების სამოქმედო გეგმის თანხმად, განისაზღვრა დარიცხვის მეთოდით საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის ძირითადი ეტაპები 2020 წლისთვის. ხაზინის ერთიანი ანგარიშის არეალი გაფართოვდა და უკვე მოიცავს ადგილობრივ ხელისუფლებას და საჯარო უწყებებს, სკოლებისა და საბავშვო ბაღების გარდა. ამდენად, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, ისე საჯარო უწყებების ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშები და ინფორმაცია, ხელმისაწვდომია რეალურ დროში, დღეების, თვეებისა და წლების მიხედვით. სახელმწიფო ხაზინამ შეიმუშავა ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფულადი რესურსების მართვისათვის საჭირო რეგულაციები და დაიწყო თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსება კომერციულ ბანკებში, ბლუმბერგში ჩატარებული აუქციონების გზით. საგადასახადო პოლიტიკის რეფორმის განხორციელებით საქართველომ შთამბეჭდავ წინსვლას მიაღწია. მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2015-2016 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში მიიჩნია, რომ საგადასახადო განაკვეთები საქართველოში ბიზნესის საკეთებლად ყველაზე ნაკლებად პრობლემურ ფაქტორებს შორისაა. შედეგად, 140 ქვეყანას შორის საქართველოს პოზიცია შემდეგნაირია:

დაბეგვრის ეფექტი ინვესტიციების მასტიმულირებელ ფაქტორებზე - მე-13 ადგილი;

გადასახადის განაკვეთი მოგებაზე - მე-9 ადგილი;

სავაჭრო ტარიფები - მე-4 ადგილი;

დაბეგვრის ეფექტი მუშაობის მასტიმულირებელ ფაქტორებზე - მე-15 ადგილი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადდა და გამოიცა წიგნი „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“, რომელშიც აღწერილია

ევროკავშირთან 10 წლიანი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები და სამომავლო გეგმები. წიგნის მომზადებაში ჩართული იყო საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მონაწილე ყველა სახელმწიფო

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიზანია ფინანსური რესურსების მობილიზება და მისი გადანაწილება ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით.

ამ მიზნის მისაღწევად განისაზღვრება:

შემოულობების მიზნობრივი მაჩვენებელი და მისი მიღწევის ყველა რესურსის მოცულობები.

განისაზღვრება გადასახდელების მთლიანი მაჩვენებელი და მისი სტრუქტურა(ეკონომიკური, ფუნქციონალური, პრგრამული და სხვა)

შემოსავლების არასაკმარისი ზომით მობილიზების შემთხვევაში განისაზღვრება სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობები სახეების მიხედვით.

ბიუჯეტი ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტად განიხილება. შესაბამისად, გადასახადების პოლიტიკა ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დაბალანსებული, ზრდაზე ორიენტირებული.

ბიუჯეტი შემოსავლების გადანაწილების ინსტრუმენტია, რომლის ეფექტურობა ფასდება სოციალური სფეროს დარგების: განათლების, მეცნიერების, სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის დაფინანსების დონებით.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა

2018 წლის ბიუჯეტი მომზადებულია სამთავრობო პროგრამის „ თავისუფლება , სწრაფი განვითარება , კეთილდღეობა “ შესასრულებლად, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. რეფორმების 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და დასახული შედეგების მიღწევის მიზნით მნიშვნელოვანია არსებული ფისკალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება

სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა:

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;


მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);

მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;

მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა; მე-8 თავში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზების შესახებ, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობები და გადასახდელები აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაჯგუფდეს ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო კლასიფიკაცია, 2012 წლის მდგომარეობით შემოღებულ იქნა პროგრამული კლასიფიკაცია ბიუჯეტის პროცესის დაგეგმვის, შესრულებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშებისათვის.



წყარო: ბიუჯეტის გზამკვლევი.2018 წელი.

საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამინისტროები აყალიბებენ მათ პრიორიტეტებს;

მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს;

პარლამენტის შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს;

სამინისტროების პრიორიტეტების საფუძველზე მზადდება BDD დოკუმენტი, სადაც ასევე ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების სავარაუდო მოცულობები და სამინისტროების საბიუჯეტო ჭყრები;

BDD დოკუმენტის გათვალისწინებით მხარჯავი დაწესებულებები ავსებენ საბიუჯეტო განაცხადებს; საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;

საქართველოს მთავრობა წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვების შემდგომ ამტკიცების წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია. BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა. საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

რეფორმები საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში სხვა ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმების ანალიზი მოწმობს, რომ მისი დანერგვის გზით მიღებული შედეგები არ არის ერთგვაროვანი. წარმატებული ქვეყნების შემთხვევაში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა მოიცავს: 1. საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოს (MTFF), რომელიც ადგენს აგრეგირებულ ფისკალურ მიზნებს, აგრეგირებული ხარჯების ჭერებსა და მათ საშუალოვადიან პროგნოზებს; 2. საბიუჯეტო ჭერებსა და პროგნოზებს ცალკეული სამინისტროებისა და ორგანიზაციებისათვის; 3. რესურსებზე არსებული სერვისების გაწევისათვის საჭირო მოთხოვნების სიდიდესა (ღირებულებით გამოსახულებაში) და ახალი პოლიტიკის გასატარებლად საჭირო ხარჯებისა ან პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში საჭირო ხარჯების ბიუჯეტის მთლიან ხარჯებზე ზემოქმედების შეფასებებს.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის ძირითადი მიზნებია ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ბიუჯეტების მართვაში ფისკალური დისციპლინის გაძლიერება; საბიუჯეტო სახსრების განაწილების რეგულირების გაძლიერება ხარჯების მთავრობის პოლიტიკასა და პრიორიტეტებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების გზით, დარგობრივ სამინისტროებში საბიუჯეტო პროცესებისა და საბიუჯეტო რესურსების მართვის გაუმჯობესება, რათა მიღწეული იქნას მათ მიერ სახელმწიფო მომსახურებების მიწოდებისას სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი და ეფექტური გამოყენება.

ამ მიზნის მისაღწევად საშუალოვადიანი ბიუჯეტი აერთანებს ორ კომპონენტს; 1. სტრატეგიულ -ანუ “ზემოდან-ქვემოთ” კონპონენტს, რაც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების მართვის გაძლიერებას და საბიუჯეტო რესურსების განაწილებას დარგობრივი სამინისტროებისათვის სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების საფუძველზე და 2. საშუალოვადიანი დაგეგმვის “ქვემოდან-ზემოთ” კომპონენტს, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტის მართვის გაუმჯობესებას დარგობრივი სამინისტროების დონეზე.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის პოტენციური სარგებელი ევროპის ბევრ ქვეყანაში ცხადი სახითაა მიღებული. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის კარგად შედეგნიღმა და კარგად მართულმა ჩარჩომ ხელი უნდა შეუწყოს გაუმჯობესებულ ფისკალურ დისციპლინას და კონტროლს, მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის ზრდას, რაც მიიღწევა პოლიტიკის მიზნების ზუსტად განსაზღვრის, საბიუჯეტო სახსრების განაწილებაში პროგნოზირების უფრო მაღალი დონის, საბიუჯეტო ინფორმაციის საიმედოობის ზრდისა და რესურსების გამოყენებაში უფრო მაღალი ანგარიშვალდებულებებისა და გამჭვირვალობის დონის ამალღების გზით.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა მოწმობს, რომ ბევრ ქვეყანაში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვით ვერ იქნა მიღწეული სათანადო შედეგები. ამის მიზეზები ძირითადად იყო შემდეგი: ამ ქვეყნებში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა განიხილებოდა, როგორც რიტუალი, რომელსაც დაბალი პრაქტიკული ღირებულება გააჩნდა და ის სრულიად გამოყოფილი იყო ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადების პროცესისაგან. გარდა ამისა, საბიუჯეტო ორგანიზაციები აგრეგირებული ხარჯების მაჩვენებლებს ანუ “ჭერებს” არ განიხილავდნ როგორ შემზღუდავ ფაქტორს საბიუჯეტო მოლაპარაკებების დროს, რაც ამცირებდა ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესის “ზემოდან-ქვემოთ” ელემენტის შესაძლებლობებს-კერძოდ, რაც გამოიხატება საბიუჯეტო ორგანიზაციების წახალისებაში შეზღუდული რაოდენობის რესურსების პირობებში მათი ხარჯების მიმართულებების პრიორიტეტიზაციისა

და მათთვის გამოყოფილი რესურსების განაწილების ეფექტიანობის ამაღლებაში. შედეგად, ამ ორგანიზაციების ხარჯები ნაკლებად იყო ფოკუსირებული სახელმწიფოს პრიორიტეტების მიღწევაზე. ასევე, სხვა სახის საერთო პრობლემა ამ ქვეყნებში არის სუსტი კოორდინაცია ეროვნულ ან სექტორულ სტრატეგიებს შორის. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის წარუმატებლობის მიზეზი ხშირად იყო ისიც, რომ სათანადოდ არ ფასდებოდა წლიური ბიუჯეტის რეალისტურ დონეზე შედგენისა და დაგეგმვის შესაძლებლობები და ის, თუ რამდენად იძლეოდა ის ბიუჯეტის საშუალოვადიან დაგეგმვაზე გადასვლის შესაძლებლობებს. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში სხვა ქვეყნების ამ სუსტი მხარეების გათვალისწინება საქართველოს საბიუჯეტო პროცესის სრულყოფისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია.

განვიხილოთ ბიუჯეტის საშუალოვადიანი გეგმის -BDD დოკუმენტის- შედგენის პროცესი საქართველოში.

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია. BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა. საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

დოკუმენტის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველო სეროვნულ ბანკისა და სახელმწიფო ორგანოების განმცხადებელი ინფორმაციის საფუძველზე. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და BDD დოკუმენტის შემდგომ შესაბამისობას.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი გეგმაზე მუშაობა საქართველოში იწყება ყოველი წლის 1 მარტიდან და ის საბოლოო სახის მიღებამდე თითქმის ათთვიან პერიოდს გაივლის. კერძოდ, 1 ივნისამდე მთავრობა პარლამენტში წარადგენს -ის თავდაპირველ

დოკუმენტს, რომელშიც მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციაა

ასახულია. პარლამენტის კომიტეტები დარგების მიხედვით იხილავენ BDD დოკუმენტს და მომზადებულ შენიშვნებს 21 ივნისამდე უზავნიან მთავრობას. 1

ოქტომბერს ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა პარლამენტში წარადგენს გადამუშავებულ BDD დოკუმენტს; საქართველოს პარლამენტში კანონით დადგენილი პროცესის გაგლისა და წლის ბოლოს მომავალი წლის

სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს 1 თვის ვადაში BDD დოკუმენტის საბოლოო ვარიანტს წარუდგენს. საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის პარლამენტში მიიღება ერთი მოსმენით, თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტსა და მთავრობას შორის სამეტაპიანი იმეტანხმების პროცესს გადის.

BDD დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობენ: საქართველოს მთავრობა, რომელიც განსაზღვრავს წარსადგენ ინფორმაციის უსხას და ვადებს; ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ადგენს აღნიშნულ დოკუმენტს; ეროვნული ბანკი; დარგობრივი სამინისტროები; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები; სხვა მხარჯავი დაწესებულებები.

BDD დოკუმენტით განისაზღვრება: ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები საშუალო ვადიანი პერიოდისათვის (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და სხვა); სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები; მასში მოცემულია: გასულისა და ბიუჯეტის წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემსრულებლის საბოლოო შედეგების ანალიზი; მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები, პროგრამები და მათი დაფინანსების ოდენობები; თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობები.

BDD დოკუმენტის პარლამენტთან შეთანხმების შემდეგ დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობის განსაზღვრავს მთავრობა, ხოლო პარლამენტის და კონტროლის პალატისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობებს - საქართველოს პარლამენტი.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD დოკუმენტი) - წარმოადგენს საშუალო ვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს მთავრობის საშუალო ვადიან სტრატეგიას, ინფორმაციას საშუალო ვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების და საქართველო სცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ის, ერთი მხრივ, წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების ჩარჩო-საფუძველს და მეორე მხრივ, მოიცავს იმაზე უფრო ფართო სპექტრის ინფორმაციას ქვეყნის ხელისუფლების ზოგადი პრიორიტეტების შესახებ, ვიდრე ეს სახელმწიფო ბიუჯეტშია ასახული. აღნიშნულ დოკუმენტში ერთიან დება არამართოთი თო ეული მხარჯავი დაწესებულების მიერ მთავრობის პრიორიტეტების ფარგლებში და გემილი პროგრამები, არამედ ის ღონისძიებებიც, რაც ამ პრიორიტეტების ფარგლებში ხორციელდება კერძო სექტორის მონაწილეობითა და სახელმწიფო ოსხელმწიფობით. დოკუმენტი,

როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების საფუძველი, მოიცავს როგორც საშუალო ვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრულ საიგნებებისადამომუშავეთარი ცხოვრობის ზღვრული მოცულობების შესახებ ინფორმაციას, ასევე, მონაცემებს პრიორიტეტების ფარგლებში მათი იერგანსახორციელებლი პროგრამების დაფინანსების მოცულობისა და დაწყოების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყვანა 12 პრიორიტეტი. ესენია:

1. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ამ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
35 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,468,300.0	2,468,300.0	-	2,597,100.0	2,796,300.0	2,896,300.0
35 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	983,370.0	983,370.0	-	1,004,000.0	1,014,000.0	1,019,200.0
29 03	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	66,300.0	54,600.0	11,700.0	66,300.0	66,300.0	66,300.0
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	48,630.0	47,630.0	1,000.0	52,000.0	52,000.0	52,000.0
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	25,000.0	25,000.0	-	20,000.0	20,000.0	20,000.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	5,700.0	5,700.0	-	5,700.0	5,700.0	5,700.0
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	3,700.0	3,700.0	-	4,000.0	4,000.0	4,000.0
30 04	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	3,720.0	3,650.0	70.0	3,720.0	3,720.0	3,720.0
39 00	ა(ა)პ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0	260.0	-	260.0	260.0	260.0
	სულ	3,604,980.0	3,592,210.0	12,770.0	3,753,080.0	3,962,280.0	4,067,480.0

ამ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების შედეგად დაიხვეწება პირველადი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მექანიზმები და გაიზრდება ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა.

დაავადებაზე რეაგირების რეჟიმიდან აქცენტი გადატანილი იქნება როგორც დაავადების წარმოქმნის პრევენციაზე, ისე დაავადების დროულად აღმოჩენასა და მისი გართულების თავიდან აცილებაზე.

C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის საშუალება მომავალშიც ექნება ყველა პაციენტს;

გაუმჯობესდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ხარისხი როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ და თემზე დაფუძნებული სერვისების დონეზე

ქვეყნის მასშტაბით დაინერგება დედათა და ბავშვთა (პერინატალური) სამედიცინო ცენტრების რეგიონალიზაციის გეგმა; გაგრძელდება აცრების ეროვნული კალენდრით ბავშვთა იმუნიზაცია და ორსულებისა და ახალშობილების უზრუნველყოფა ჯანსაღი განვითარებისთვის აუცილებელი პრეპარატების მიწოდებით;

საფუძველი ჩაეყრება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტიან მეთოდებს.

მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის განხორციელდება სისტემური რეფორმა, რომლის შედეგადაც მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს გაეზრდებათ ხელმისაწვდომობა ამბულატორიული მოხმარების მედიკამენტებზე.

დაინერგება დაგროვებითი საპენსიო სისტემის ახალი მოდელი, რომელიც გახდება საპენსიო ასაკში ღირსეული არსებობის გარანტია.

განხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და უზრუნველყოფილი იქნება მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის.

2. თავდაცვა , საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ამ პრიორიტეტის ფარგლებში ძლიერი და ეფექტიანი თავდაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს და განახორციელებს 4-წლიან პროგრამას. შედეგად,

მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლება;

დაინერგება არასაკატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის;

გაგრძელდება პენიტენციური დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია;

შემუშავდება პროკურორთა საქმიანობის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შეფასების კრიტერიუმები. გაგრძელდება პროკურორთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპოლიციო საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობისთვის დაინერგება ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის სისტემა.

დაგეგმილ ვადებში დასრულდება საზღვრის მართვის სისტემის რეფორმა;

გაღრმავდება თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან, განსაკუთრებით კი ევროპოლთან.

უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დამოუკიდებელი და ქმედითი საქმიანობა.

3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

გაგრძელდება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება.

საფუძველი ჩაეყარა საუკუნის პროექტს - ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობას;

აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგება-კანალიზაციის და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში.

ნარჩენების მართვა განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მოხდება არსებული ნაგავსაყრელების ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა და ეტაპობრივი დახურვა;

ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში აშენდება 8000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც დამატებით 800 ათასი ადამიანი მიიღებს ინტერნეტს და ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნება ინტერნეტთან წვდომა.

გაგრძელდება ელექტრიფიკაციისა და გამრიცხველიანების პროცესი, სადაც განსაკუთრებული აქცენტი უშუქო სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებზე გაკეთდება.

გაგრძელდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობა;

გაგრძელდება მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერა, ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობა.

4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი დაწესებულებების დაფუძნება

წინასასკოლო ასაკის მოზარდებისთვის მხარდაჭერილი იქნება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება როგორც საბავშვო ბაღების, ისე სკოლების ბაზაზე.

ზოგადი განათლების ხარისხის მაღალი სტანდარტების მისაღწევად, დაინერგება ავტორიზაციის ახალი, სწავლისა და სწავლების მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სტანდარტები.

შეიქმნება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები;

განვითარდება ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა. გამოცდების ჩატარების პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მასწავლებლების კარიერული ზრდის ხელშეწყობას მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით.

შეიქმნება ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომლის საშუალებითაც დიასპორის წარმომადგენლებისათვის დაინერგება დისტანციური სწავლების გაკვეთილები ქართულ ენაში, საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიაში.

ამოქმედდება პროფესიული მომზადება- გადამზადების მრავალფეროვანი პროგრამები.

ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას;

საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით, განხორციელდება უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მასშტაბური პროექტი - „ისწავლე საქართველოში“.

5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის უწყვეტი პროცესი, რაც მიმართული იქნება სახსრების გამოთავისუფლებასა და მათ გადანაწილებაზე პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯები და მომავალში შეიზღუდება მათი ზრდა;

გაიზრდება ბიუჯეტის გამჭვირვალობა;

სახელმწიფო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით შენარჩუნდება იმ დონეზე, რომელიც ქვეყნის სტაბილურ საკრედიტო რეიტინგსა და დადებით საინვესტიციო იმიჯს უზრუნველყოფს;

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა იქნება ხელშეუხებელი;

ხელი შეეწყობა ლარით დაკრედიტების ზრდას.

გაუმჯობესდება საგადასახადო ადმინისტრირება.

გაგრძელდება მეწარმეობის ხელშეწყობის არსებული პროგრამები;

შეიქმნება ერთიანი სივრცე „ბიზნესსახლი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება კერძო ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება.

საქართველოში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გარდა, საქართველოს მთავრობა გეგმავს კაპიტალის ბაზრის, საპენსიო და მიწის რეფორმების განხორციელებას.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების გაფორმებით ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ექსპორტის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის კუთხით.

გაიზრდება ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებულობა.

მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერებისა და კომერციული ატაშეების სისტემის დანერგვისკენ.

6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

ეტაპობრივად ჩამოყალიბდება საჯარო სამსახურის კარიერული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოხელეთა სამსახურში აყვანასა და კარიერულ წინსვლას ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად.

გაგრძელდება პოლიტიკის დაგეგმვისა და მისი მონიტორინგის ერთიანი სისტემის რაც ეფუძნება გამჭვირვალე, შედეგზე ორიენტირებული, საზოგადოების ჩართულობის პრინციპსა და ანგარიშვალდებულებაზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების იდეას.

სახელმწიფოს მიერ კვლავაც უზრუნველყოფილი იქნება საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა.

გაგრძელდება შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარება;

განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

საქართველო, როგორც კორუფციასთან ბრძოლის კუთხით რეგიონის აღიარებული ლიდერი და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თანათავმჯდომარე ქვეყანა, გააგრძელებს მუშაობას იმისათვის, რომ კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადოს თავისი მიღწევები კორუფციასთან ბრძოლის საქმეში.

დაიხვეწება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები და შემუშავდება ახალი კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ;

მოწესრიგდება საჯარო ინფორმაციის გაცემის არსებული პრაქტიკა.

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

გაგრძელდება დევნილი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა;

გაგრძელდება კერძო მესაკუთრეებისგან იმ საცხოვრებელი ფართობების გამოსყიდვა, რომლებიც დევნილებს აქვთ დაკავებული.

მიმდინარეობს მუშაობა, ერთი მხრივ, დონორებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორებთან, რათა კერძო და საჯარო პარტნიორობის ფარგლებში აშენდეს ახალი საცხოვრებელი დევნილებისთვის როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

გაგრძელდება ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი.

პრობლემების მქონე ოჯახებთან მიმართებით გაიზრდება სოციალური მუშაკის როლი.

8. კულტურა , რელიგია , ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობამ დაამტკიცა „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სექტორში.

დაიხვეწება კულტურასა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; შემუშავდება კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი.

გაგრძელდება ალტერნატიული გზების ძიება კულტურის სფეროს დაფინანსების მოძიებისთვის და დივერსიფიკაციისთვის.

განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურისა და ძეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად;

გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით რეგიონების მოსახლეობისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისათვის;

გაგრძელდება სახელოვნებო განათლების განვითარების ხელშეწყობა, დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება.

შენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფეხბურთისა და რაგბის კომბინირებული მოედნები.

გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით.

9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

გაგრძელდება მუშაობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულად განხორციელების ხელშესაწყობად.

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილი მოსახლეობის შერიგებასა და ნდობის აღდგენას;

მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მეტი ჩართულობის ხელშეწყობისაკენ.

გაგრძელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ქალაქებსა და რეგიონებს შორის კონტაქტების დამყარებისა და გაღრმავების ხელშეწყობა.

გაგრძელდება გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO) აქტიური თანამშრომლობის გზით საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ციფრული დიპლომატიის მეშვეობით გაგრძელდება მოქალაქეებთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტის დამყარება;

გაგრძელდება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა, რაც ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელების, ქვეყანაში ევროინტეგრაციის საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შემდგომი კონსოლიდაციის, ასევე არსებული ცოდნისა და გამოცდილების მობილიზების შესაძლებლობას იძლევა.

10. სოფლის მეურნეობა

გაგრძელდება აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლის განვითარება.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დეგრადირებული ნიადაგების გამოკვლევას და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებებს.

შემუშავდება სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე.

გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები;

განვითარდება და გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები. ყურადღება დაეთმობა დარგში დასაქმებულთა ცოდნის ამაღლებას, აგრობიზნესზე

ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას და შესაბამისი ექსტენციის პაკეტების შემუშავებას.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროები დაუახლოვდება DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას, რაც განხორციელდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში.

განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები ქვეყანაში ბიოაგრომეურნეობების განვითარების და ასევე კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დამკვიდრების მიმართულებით;

დაიხვეწება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის საინფორმაციო სისტემა. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

11. სასამართლო სისტემა

გაგრძელდება და დასრულდება მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ტალღა;

განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა;

განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა.

სასამართლოში საპილოტე წესით დაინერგება საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა;

საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნება კომერციული კოლეგიები და პალატები, რომლებიც სპეციალიზებული იქნება კომერციული და საგადასახადო საქმეების განხილვაზე;

ხელი შეეწყობა მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, დამკვიდრებას და განვითარებას.

12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

გაგრძელდება თანამედროვე გარემოსდაცვითი პრინციპებისა და სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა

თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით გაუმჯობესდება გარემოსდაცვითი მმართველობა.

ჩამოყალიბდება გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა.

გარემოს დაზიანების პრევენციისა და აღმოფხვრის (კომპენსაციის) მიზნით ჩამოყალიბდება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა.

დაინერგება ახალი მარეგულირებელი ნორმები ბიომრავალფეროვნების დაცვა- შენარჩუნებისა და ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით.

დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება- გაუმჯობესებას;

გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი, გაძლიერდება მოდელირების შესაძლებლობები და დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა;

გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

გაგრძელდება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებს;

გაუმჯობესდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ხარისხი, შეიქმნება რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ახალი სისტემა;

გაგრძელდება და გაფართოვდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები.

თავი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომური მაჩვენებლები

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კლასიფიკაცია (სტრუქტურა)

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაცია (სტრუქტურა)

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების სტრუქტურა

ფინანსური და არაფინანსური აქტივების სტრუქტურა

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომური მაჩვენებლები

2018 წლის ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია სამთავრობო პროგრამის „ თავისუფლება , სწრაფი განვითარება , კეთილდღეობა “ შესასრულებლად, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის

ეკონომიკური განვითარება. რეფორმების 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და დასახული შედეგების მიღწევის მიზნით მნიშვნელოვანია არსებული ფისკალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება.

ბიუჯეტის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ყველა დონის ბიუჯეტს-სახელმწიფო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს, აქვთ ერთნაირი კლასიფიკაცია.


2018 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის (წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით წარმოებული მთლიანი საბოლოო პროდუქტის საბაზრო ღირებულება) რეალური ზრდის პროგნოზი 4.5%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი (ყველა საბოლოო პროდუქტის და მომსახურების საშუალო ფასები) 4.0%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5..2%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3.0%-ის ფარგლებში.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე 2018 წელს ნომინალური მშპ-ს მოცულობა 40.4 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2021 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 51.9 მლრდ ლარამდე.

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები 2016-2018 წწ-ში.

დასახელება	2016 ფაქტი	2017 მოსალოდნელი	2018 პროგნოზი
მშპ-ს რეალური ზრდა (ზრდის ტემპი)	2.7%	4.0%	4.5%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	33,921.6	36,689.60	40,448.8
საშუალო წლიური ინფლაცია	2.1%	4.00%	3.5%
ინფლაცია წლის ბოლოსთვის	1.8%	4.00%	3.5%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	44.6%	42.90%	44.8%


რეალური და ნომინალური მშპ-ს დინამიკა



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კლასიფიკაცია (სტრუქტურა)

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს: შემოსავლებს, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ სახსრებს, ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ სახსრებს, ვალდებულებების აღების შედეგად მიღებულ სახსრებს.


ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა.



2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა

მლნ ლარი



შემოსავლების კლასიფიკაცია

საქართველოში შემოსავლები იყოფა 3 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების 82.3%-ს წარმოადგენს შემოსავლები, რომელიც შეადგენს 10,120.0 მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 25.0%-ია.


ცხრილი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა

მლნ. ლარი

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	გადაზრა (2018-2017)
შემოსავლები	8,580.0	9,489.5	10,120.0	630.5
გადასახადები	7,986.8	8,820.0	9,470.0	650.0
გრანტები	296.8	284.5	265.0	-19.5
სხვა შემოსავლები	296.4	385.0	385.0	0.0

გრაფიკი. 2018 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა,



გადასახადები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 9,470.0 მლნ ლარს, რაც 2017 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 650.0 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 93.5%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 23.4%-ს შეადგენს.


გრანტები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 2017 წლის გეგმასთან შედარებით 19.5 მლნ ლარით ნაკლებია და 265.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 2.6%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%.

სხვა შემოსავლები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი უცვლელია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით და შეადგენს 385.0 მლნ ლარს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3.8%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.9%-ს შეადგენს. სხვა შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს შემოსავლებს საკუთრებიდან (სახელმწიფოს საკუთრებაში ან წილობრივ მფლობელობაში მყოფი საწარმოების დივიდენდები და პროცენტები, იჯარა), ადმინისტრაციულ მოსაკრებლებს (ლიცენზიები, ნებართვები, სარეგისტრაციო მოსაკრებლები) და ჯარიმებს.

გრაფიკი. სხვა შემოსავლების სტრუქტურა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.



არაფინანსური აქტივების კლება

2018 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 60.0 მლნ ლარს, რაც 30.0 მლნ ლარით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 80.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 5.0 მლნ ლარით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე და წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას.

ვალდებულების ზრდა

სახელმწიფოს მიერ სესხების აღებით 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მობილიზებული იქნა 2,038.0 მლნ ლარი, მათ შორის:


- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება - 400.0 მლნ ლარი.
- გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკიდან (KfW) მისაღები სახსრები – 146.0 მლნ ლარი.
- საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები – 146.0 მლნ ლარი.
- მაკროფინანსური დახმარების პროგრამიდან (MFA) (EU) მისაღები სახსრები - 58.0 მლნ ლარი.
- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაცემი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები - 1,288.0 მლნ ლარი.

ვალდებულებების ზრდა მთლიანი საბიუჯეტო რესურსის 16.6% და მთლიანი შიდა პროდუქტის 5.0%-ია.

საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა და თითოეული გადასახადის ანალიზი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესების მართვის გაუმჯობესების კუთხით. 2009 წლიდან საქართველოს კანონმდებლობით არსებობს 6 სახის გადასახადი, ესენია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი,

დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი და ქონების გადასახადი. ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნულ გადასახადებთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტების ანალიზი.


შემოსავლების ანალიზისათვის პირველი საკითხია საგადასახადო ტვირთის შეფასება და დინამიკის ანალიზი. საგადასახადო ტვირთის ყველაზე მიღებულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს გადახდილი გადასახადების თანაფარდობა მთლიან შემოსავლებთან (მშპ-სთან), რომელიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ ჯამური შემოსავლის რა ნაწილის გადახდა უწევს მთლიან საზოგადოებას.



დიაგრამა 1. საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-სთან

როგორც დიაგრამა 1-ზე ჩანს, 1996-2003 წლებში საგადასახადო ტვირთი საშუალოდ მშპ-ის 8.4%-12%-ის ინტერვალში მერყეობდა, 2004-2009 წლებში საგადასახადო შემოსავლების წილმა მშპ-სთან საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით გატარებული ღონისძიებების გავლენით 25%-ს მიაღწია. შესაბამისად, ამ ორი პერიოდის შედარების ეკონომიკური ინტერპრეტაციის გაკეთება უნდა მოხდეს ზემო აღნიშნული ღონისძიებების გავლენის გათვალისწინებით. 2009 წლიდან საგადასახადო ტვირთი სტაბილურ ტენდენციას ავლენს, რასაც ასევე ხელი შეუწყო ე.წ. ეკონომიკური თავისუფლების აქტის მიღებამაც, რომლის მიხედვით განისაზღვრა შეზღუდვა საგადასახადო განაკვეთების ზრდაზე.

გრაფიკი. გადასახადების სტრუქტურა საქართველოში 1996-2015 წწ-ში.



დიაგრამა 2. გადასახადების სტრუქტურა

წყარო: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევა „საგადასახადო შემოსავლების ანალიზი“. თბილისი, 2016

2009 წლიდან საქართველოს კანონმდებლობით არსებობს 6 სახის გადასახადი, მათ შორის 5 საერთო სახელმწიფოებრივი და 1 - ადგილობრივი. თუ დავაკვირდებით საგადასახადო შემოსავლების დეკომპოზიციას (დიაგრამა 2), დავინახავთ, რომ საანალიზო პერიოდში საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი ყოველთვის ეკავა დამატებული ღირებულების გადასახადს, მეორე მნიშვნელოვანი პოზიცია კი საშემოსავლო გადასახადს, ხოლო მოგების და აქციზის გადასახადები შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების 3-ე და 4-ე მნიშვნელოვანი კომპონენტები იყვნენ. 2008 წლიდან საშემოსავლო გადასახადის წილის ზრდა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ მოხდა ორი გადასახადის - საშემოსავლო და სოციალური გადასახადების შერწყმა და 32%-იანი ჯამური განაკვეთიდან თანდათანობით მოხდა მისი შემცირება 20%-მდე.

თავი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები და მისი კლასიფიკაციები

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი კლასიფიკაციები

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია


ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ხარჯების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობი გადასახდელების სტრუქტურა

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა.




გადასახდელები ოთხი მუხლისაგან შედგება.

გადასახდელები

=

ხარჯები

+



გადასახდელები, განსხვავებით ხარჯებისგან, არის ის მთლიანი სახსრები, რომელიც მთავრობას შეუძლია წლის განმავლობაში გამოიყენოს,

არაფინანსური აქტივების ზრდა გულისხმობს სახელმწიფოს მატერიალური ქონების (აქტივების) შექმნას.
 ფინანსური აქტივების ზრდა ნიშნავს სესხის გაცემას/ან ფასიანი ქაღალდების შექმნას.

გადასახდელების სტრუქტურა უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ხარჯები:
 - 1.1. შრომის ანაზღაურება
 - 1.2. საქონელი და მომსახურება
 - 1.3. პროცენტი
 - 1.4. სუბსიდიები
 - 1.5. გრანტები
 - 1.6. სოციალური უზრუნველყოფა
 - 1.7. სხვა ხარჯები
2. არაფინანსური აქტივების ზრდა
3. ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)
4. ვალდებულებების კლება (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვაზე მიმართული სახსრები).

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 12,364.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც 949.0 მლნ ლარით მეტია 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 33.7%-ს შეადგენს. მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 10,911.5 მლნ ლარს, გრანტები 165.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები 1,288.0 მლნ ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები. არ არის დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.


ცხრილი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა 2016-2018 წწ-ში.

მლნ ლარი

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი
გადასახდელები	10,292.2	11,415.5	12,364.5
ხარჯები	8,741.8	9,121.2	9,504.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	662.4	999.1	1,433.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	495.6	769.0	636.7
ვალდებულებების კლება	392.4	526.2	790.1

გრაფიკი. საქართველოს გადასახდელების სტრუქტურა 2018 წელს:

მლნ ლარი



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია -მეთოდური განმარტებები

ხარჯები წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით იყოფა 8 ძირითად ჯგუფად, კერძოდ, ესენია: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება გულისხმობს დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციებს. შრომის ანაზღაურება მოიცავს ხელფასებს (როგორც ფულადი, ისე სასაქონლო ფორმით) და სოციალურ შენატანებს.

ხელფასები

ხელფასი გულისხმობს შესრულებული სამუშაოს საზღაურს ფულადი ან სასაქონლო ფორმით, აგრეთვე კუთვნილი შვებულების საზღაურს.

ხელფასი ფულადი ფორმით

აღნიშნული კატეგორია მოიცავს შესრულებული სამუშაოს და კუთვნილი შვებულების ფულად ანაზღაურებას.

თანამდებობრივი სარგო

აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება ნომინალური თვიური ხელფასის ოდენობა, რომელიც დადგენილია მუშაკისათვის მისი დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. აგრეთვე, კუთვნილი შვებულების საზღაური. სარგო წესდება სამტატო განრიგის და თანამდებობრივი კატეგორიის შესაბამისად.

წოდებრივი სარგო

აღნიშნული კატეგორია მოიცავს მინიჭებული წოდებისათვის დადგენილ სარგოს.

პრემია

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა სახის ფულად წახალისებას, გარდა „სხვა ხარჯებში“ ასახულ სახელმწიფო ჯილდოებზე და შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა სახის ჯილდოებზე დაწესებული ფულადი პრემიებისა.

დანამატი

აღნიშნული კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს.

ჰონორარი

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ფულად ანაზღაურებას, რომელსაც უხდიან ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებების, მეცნიერული ნაშრომებისა და გამოგონებების ავტორებს ნაწარმოებების პუბლიკაციისა და გამოყენებისათვის და სხვა, გარდა „სხვა ხარჯებში“ და „სოციალურ უზრუნველყოფაში“ ასახული კომპენსაციებისა.

კომპენსაცია

აღნიშნული კატეგორია მოიცავს დაქირავებულისათვის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ყველა სახის ფულად კომპენსაციას, გარდა „სოციალური უზრუნველყოფის“ და „სხვა ხარჯების“ მუხლებით გათვალისწინებული კომპენსაციებისა.

ხელფასი სასაქონლო ფორმით

აღნიშნული კატეგორია მოიცავს „ხელფასი ფულადი ფორმით“ კატეგორიაში წარმოდგენილ ყველა გასაცემელსა და საზღაურს სასაქონლო ფორმით.

სოციალური შენატანები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სახელმწიფო სადაზღვევო სქემის არსებობისას განხორციელებულ სოციალურ შენატანებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

საქონელი და მომსახურება

შენიშვნა: *სხვა მატერიალური მარაგების შექმნაზე* გაწეული საკასო ხარჯი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მატერიალური მარაგების შექმნა ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებულ სხვა ხარჯვით კატეგორიებში ან არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შესაბამის კატეგორიებში აღირიცხება) საქონლისა და მომსახურების შესყიდვად განიხილება და აღრიცხვაში არაფინანსურ აქტივებში აისახება. სხვა მატერიალური მარაგების ფაქტობრივი გამოყენების შემთხვევაში ისინი ფაქტობრივ ხარჯებში ჩამოიწერება, რაც თავის მხრივ საქონლისა და მომსახურების გამოყენებად განიხილება.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთათვის ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციას.

მივლინება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის და მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯებს; მივლინების დროს წარმომადგენლობით ხარჯებს; ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის მივლინებული მუშაკის სავალდებულო დაზღვევის ხარჯებს, პასპორტის ღირებულებისა და სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან, აგრეთვე მივლინებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

ოფისის ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხარჯებს მცირეფასიან და მრავალჯერადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის, მცირეფასიან აქტივებზე, რომელთაც გააჩნიათ რეგულარული გამოყენების ხასიათი; ასევე ძირითადი აქტივების, ფასეულობების და არაწარმოებული აქტივების მოვლა-შენახვის (ექსპლუატაციის) და დაზიანების შემთხვევაში შეკეთების მიზნით გაწეულ ხარჯებს, რომელიც არ ზრდის მათ ღირებულებას. მიმდინარე შეკეთების, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი წარმოადგენს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა პერიოდული განხორციელებაც ევალებათ აქტივების მფლობელებს ან მომხმარებლებს, რათა შესაძლებელი იყოს ამ აქტივების გამოყენება მათთვის განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ისინი არ ცვლიან აქტივების საექსპლუატაციო თვისებებს, უბრალოდ ინახავენ მათ მუშა მდგომარეობაში ან დაზიანების შემთხვევაში აღადგენენ მათ საწყის მდგომარეობას.

ოფისის ხარჯები მოიცავს:

საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასაძლების შექმნას ;

კომპიუტერული პროგრამების შექმნის და განახლების ხარჯს, როგორცაა მცირეფასიანი და ხშირ შემთხვევაში ერთწლიანი გამოყენების კომპიუტერული პროგრამების შექმნის და განახლების ხარჯები;

ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შექმნისა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯს;

მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შექმნისა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯს: ტელევიზორი, მაცივარი, კომპიუტერული ტექნიკა (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები), ასლგადამღები, კარტრიჯების შექმნა და დატუმბვა, ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა (ფოტოაპარატი, ხმის ჩამწერი აპარატურა, აუდიო-ვიდეო აპარატურა), მობილური ტელეფონი, ტელეფონის, ფაქსის აპარატი, მუსიკალური ინსტრუმენტი, გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შექმნისა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი;

საოფისე ინვენტარის შექმნისა და დამონტაჟების ხარჯებს, როგორცაა საოფისე ავეჯი, რბილი ავეჯი, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის (სამზარეულოს ინვენტარი, ტანსაცმლის საკიდი, ბეჭედი/შტამპი, მაგიდის სანათი, სურათი და სურათის ჩარჩო, საათი, ცეცხლგამძლე კარადა (სეიფი) და სხვა საოფისე ინვენტარი) შექმნისა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი;

ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შექმნის ხარჯებს, რაც გულისხმობს ოფისის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამეურნეო დანიშნულების საგნების და მასალების შექმნის ხარჯს;

რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარიული საგნების ხარჯებს;

შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებს.

საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯებს;

კავშირგაბმულობის ხარჯებს,

საფოსტო მომსახურების ხარჯებს,

სამსახურებრივი ცხოველების მოვლა-შენახვასთან და აღკავშმულობასთან დაკავშირებულ ხარჯებს,

ოფისის ხარჯებს, რომელიც არ არის კლასიფიცირებული სხვა დანარჩენ კატეგორიებში;

წარმომადგენლობითი ხარჯები გულისხმობს როგორც საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიებების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც.

აღნიშნული კატეგორია მოიცავს მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების, სუვენირების შექმნის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, (VIP დარბაზის მომსახურება), სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების

ღირებულება და სხვა), საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება), მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს.

კვების ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ბაგა-ბაღებში, საბავშვო სახლებში, საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამხედრო მოსამსახურეთა და პოლიციელთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და წინასწარი დაკავების იზოლატორებში კვებასთან დაკავშირებული ხარჯებს, შრომის მავნე პირობებში სამუშაოებისათვის სპეციალურ კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაღალმთიან და ძნელადმისადგომ ადგილებში მომუშავეთა სპეციალურ კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სისხლის დონორების, სპორტული შეჯიბრებების და შეკრებების მონაწილეთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამსახურებრივი ძალების და ცხენების და საცდელი ცხოველების კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამედიცინო დაწესებულებებში და კვებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

სამედიცინო ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს მედიკამენტის და სხვა სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო ინსტრუმენტის, მათ შორის, ოპტიკური საშუალებების შეძენის ხარჯებს, სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯებს, საერთო ხასიათის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ლაბორატორიების/კაბინეტებისათვის სამედიცინო დანიშნულების მასალების შეძენის ხარჯებს, სისხლის და პლაზმის შეძენის და სხვა სამედიცინო ხარჯებს.

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტანსაცმლის, მათ შორის, პირადი ჰიგიენისთვის განკუთვნილი თეთრეულისა და ფეხსაცმლის შეძენისა და შენახვის ხარჯებს, ლოგინის თეთრეულის, ლეიბების, საბნების, ბალიშების შეძენისა და შენახვის ხარჯებს, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამხედრო და სხვა მოსამსახურეთა უნიფიცირებული ფორმის შეძენისა და შენახვის ხარჯებს, სპორტული უნიფორმის და შესაბამისი სპეციალურივილობის შეძენისა და შენახვის ხარჯებს, ხალიჩების, ფარდაგების, ფარდების, ფარდა-ჟალუზების და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენის, შენახვის, შეკერვისა და გადაკეთების და სხვა მსგავს ხარჯებს.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები
აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს,

სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამხედრო უწყებების მიერ იარაღის (მაგალითად, რაკეტები, ჭურვები და სხვა) და ამ იარაღის ამოქმედებისათვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის (მაგალითად რაკეტის გასაშვები საშუალება, საბრძოლო გემები, წყალქვეშა ნავები, ტანკები, თვითმფრინავები და სხვა), შეიარაღებული სატრანსპორტო საშუალებების, ტყვია-წამლის, მცირეფასიანი აქსესუარების შეძენისა და სხვა მსგავს ხარჯებს. ამასთან, სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები აგრეთვე მოიცავს ზემოაღნიშნული ტექნიკური საშუალებების კაპიტალური შეკეთების ხარჯებს.

პოლიციისა და შინაგანი უსაფრთხოების სამსახურების მიერ ზემოაღნიშნული ტიპის აღჭურვილობების (გარდა ტყვია-წამლისა და მცირეფასიანი აქსესუარებისა) შესაძენად გაწეული ხარჯები აღირიცხება როგორც ძირითადი აქტივების შეძენა.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს:

ბანკის მომსახურების ხარჯებს;

დიპლომატიური დაწესებულებების შენახვისა და ატაშატის ხარჯებს,

ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯებს;

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

რეკლამის ხარჯებს;

სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებს;

საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯებს,

აუდიტორიული მომსახურების ხარჯებს;

საარქივო მომსახურების ხარჯებს ;

შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯებს ;

ბინის ქირას;

კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები;

მაუწყებლობის ხარჯები, რაც გულისხმობს სხვადასხვა მოვლენების გაშუქების, პირდაპირი ჩართვების, და მათთან დაკავშირებული სამაუწყებლო ხარჯებს გარდა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვა მუხლებში გათვალისწინებული ხარჯებისა;

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯს.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება *

ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. მისი ღირებულებითი შეფასება ხორციელდება მოცემული პერიოდის საშუალო ფასებით. ძირითადი კაპიტალის მოხმარება პერსპექტიულ მაჩვენებელს წარმოადგენს და იგი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სახელმწიფოს ფინანსურ ჩანაწერებში ასახული

ცვეთის (ამორტიზაციის) სიდიდისაგან, რომელიც ჩვეულებრივ ძირითადი აქტივების საწყისი ღირებულების გამოყენებით დაანგარიშდება.

* შენიშვნა: აღნიშნული მუხლი მოქმედებს მხოლოდ დარიცხვის მეთოდის დროს

პროცენტი

პროცენტი წარმოადგენს გადასახდელს, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური მოთხოვნების გარკვეული სახეებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან (გარდა აქციებისა), სესხებიდან და კრედიტორული დავალიანებიდან. სასესხო ვალდებულებები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი ერთეული (დებიტორი) სესხს იღებს მეორე ერთეულისაგან (კრედიტორისაგან). პროცენტი წარმოადგენს გადასახდელს, რომელსაც უხდის დებიტორი კრედიტორს, კრედიტორის მიერ უზრუნველყოფილი ეკონომიკური ღირებულების გამოყენებისათვის.

თუ სახელმწიფო ერთეული მოქმედებს როგორც გარანტორი (შემდგომში – გარანტორი) სხვა ერთეულების სესხებსა და სხვა საპროცენტო ვალდებულებებზე და იგი ახორციელებს საპროცენტო გადახდებს, აღნიშნული გადახდები არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც პროცენტები, გარანტორის მიერ ვალდებულების აღიარებამდე. თუ გარანტორი არ აღიარებს ვალდებულებას, შესაძლებელია ორი სახის ოპერაცია:

- თუ გარანტორი არ მიიღებს მეორე მხარის (სესხის მიმღების) ფინანსურ ვალდებულებას, ან მოსალოდნელია, რომ ეს ვალდებულება მეორე მხარის მიერ შემდგომში რეალურად არ იქნება დაფარული, ეს ოპერაცია უნდა აისახოს:

- „სუბსიდიების“ მუხლში, თუკი მეორე მხარე საწარმო ან ორგანიზაციაა;
- „გრანტების“ მუხლში, თუკი მეორე მხარე სხვა სახელმწიფო ერთეულია;
- „სხვა ხარჯების“ მუხლში, თუკი მეორე მხარე საოჯახო მეურნეობაა, ან ასეთი მეურნეობის მომსახურე არამომგებიანი ორგანიზაცია.

- თუ გარანტორი მიიღებს მეორე მხარის (სესხის მიმღების) ფინანსურ ვალდებულებას და იგი მეორე მხარის მიერ შემდგომში რეალურად იქნება დაფარული, აღნიშნული ოპერაცია აღირიცხება ფინანსური აქტივების მუხლში.

სუბსიდიები

სუბსიდიები წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამ მუხლში არ აღირიცხება იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადასაცემი თანხები, რომელიც შემდგომ გამოიყენება მოსწავლეთა ვაუჩერული სისტემის დასაფინანსებლად, სტუდენტთა გრანტებისა და სტიპენდიების გასაცემად.

ამ მუხლით აღირიცხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები. საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემული კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც ზრდის აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის აქტივებს, აღირიცხება არაფინანსურ

აქტივებში, ხოლო თუ კაპიტალური ტრანსფერი არ ზრდის მის აქტივებს, მაშინ სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებში (2822). საწარმოებზე გადაცემული კაპიტალური ტრანსფერი აღირიცხება სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების (2822) მუხლში. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში გასაცემი სახსრები აგრეთვე აღირიცხება სუბსიდიის მუხლში, გარდა „სხვა ხარჯებში“, „არაფინანსურ აქტივებსა“ და „ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში“ ასახული სახსრებისა. ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მიმდინარე და საოპერაციო მიზნებისათვის გადასაცემი სახსრები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით შესაძლებელია გადანაწილდეს შესაბამის მუხლებში.

სუბსიდია შეიძლება გაიცეს გაწეული ხარჯების კომპენსაციისათვის, წარმოების დონესა და პროდუქციის სარეალიზაციო ფასზე ზემოქმედებისათვის. ამასთან, სუბსიდია ასევე ითვალისწინებს საწარმოების სახელით განხორციელებულ საპროცენტო გადახდებს. საწარმოებისათვის სესხად გაცემული სახსრები აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივები და არა როგორც სუბსიდია.

სუბსიდიების გადახდა ხდება მხოლოდ მწარმოებლებისათვის და არა საბოლოო მომხმარებლებისათვის. სუბსიდიები წარმოადგენს მხოლოდ მიმდინარე და არა კაპიტალურ ტრანსფერებს. სახელმწიფო ერთეულების მიერ საოჯახო მეურნეობებისათვის ან მათი მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციებისათვის გაწეული ტრანსფერები, მათი დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირდება როგორც „სოციალური უზრუნველყოფა“ ან „სხვადასხვა ხარჯები“. სხვა სახელმწიფო ერთეულებისათვის გადაცემული ტრანსფერების უმრავლესობა კლასიფიცირდება როგორც სხვადასხვა ხარჯები.

გრანტები *

* შენიშვნა: ამ კლასიფიკაციის მიზნებისთვის გრანტის შინაარსი არ ემთხვევა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ განმარტებას და ხარჯების კლასიფიკაციაში გამოყენებული ტერმინი „გრანტი“ გამოიყენება მხოლოდ ამ კლასიფიკაციის მიზნებისათვის.

გრანტები წარმოადგენს მიმდინარე ან კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერებს ერთი სახელმწიფო ერთეულიდან სხვა სახელმწიფო ერთეულზე, საერთაშორისო ორგანიზაციაზე ან სხვა ქვეყნის მთავრობაზე. გრანტი კლასიფიცირდება გრანტის მიმღები ერთეულის ტიპის მიხედვით. სხვა სახელმწიფო ერთეულზე გადასაცემი გრანტების მუხლით აღირიცხება ტერიტორიული ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერი. ამასთან, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერი შეიძლება აღირიცხულ იქნეს როგორც მიმდინარე გრანტების, ასევე კაპიტალური გრანტების მუხლში, ხოლო გათანაბრებითი ტრანსფერი მხოლოდ მიმდინარე გრანტების მუხლში, თუმცა აღნიშნულიდან შესაძლებელია კაპიტალური დანიშნულების ხარჯების გაწევაც. ამასთან, ერთი სახელმწიფო ერთეულიდან სხვა სახელმწიფო ერთეულზე სესხის სახით გადაცემული ტრანსფერი აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივები და არა როგორც გრანტები.

მიმდინარე დანიშნულებით გაცემულ გრანტებს განეკუთვნება ის გრანტები, რომლებიც გამოყოფილია მიმდინარე ხარჯების დასაფარად და არ არის დაკავშირებული გრანტის მიმღების მიერ აქტივის შექმნასთან. კაპიტალური დანიშნულებით გრანტების გაცემა ითვალისწინებს გრანტის მიმღების მიერ აქტივების შექმნას და შესაძლოა ფულადი სახსრების ტრანსფერსაც მოიცავდეს, რომელიც გრანტის მიმღებმა შეიძლება გამოიყენოს, ან მოეთხოვებოდეს, რომ გამოიყენოს აქტივისა თუ აქტივების შესაძენად (მატერიალური მარაგების გარდა), აქტივის ტრანსფერს (მატერიალური მარაგებისა და ფულადი სახსრების გარდა), დებიტორსა და კრედიტორს შორის მიღწეული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ვალდებულების გაუქმებას, ან სხვა ერთეულის ვალის აღიარებას. თუკი გრანტის მახასიათებელთან მიმართებაში არსებობს გარკვეული ეჭვი, მაშინ იგი უნდა კლასიფიცირდეს, როგორც მიმდინარე გრანტი.

სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური უზრუნველყოფა არის ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისგან დაცვის მიზნით.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლი მოიცავს:

სოციალურ დაზღვევას *, რომელიც გულისხმობს სოციალური დახმარებების კატეგორიაში გათვალისწინებულ იმ სოციალურ ტრანსფერებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სადაზღვევო სქემაში მონაწილეობით.

* შენიშვნა: აღნიშნული გამოიყენება მხოლოდ სადაზღვევო სქემის არსებობისას.

სოციალურ დახმარებას , რომელშიც შედის: სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები, ინვალიდთა პენსიები, დახმარება უმუშევრობის დროს, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები; ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა კომპენსაცია, უმწეო მდგომარეობაში მყოფი საოჯახო მეურნეობების სოციალური დახმარებები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარებები; მონეტიზაციის პროგრამით გათვალისწინებული დახმარებები, დახმარება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯები (გარდა სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციაზე გაწეული და „საქონლისა და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული სამედიცინო ხარჯებისა) და სხვა.

დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება , რომელშიც შედის: სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციები, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის ხელფასი, რაც გადახდილი იყო მოსამსახურის ავადმყოფობისა და შემთხვევითი დაზიანების გამო სამსახურში არყოფნის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის დაღუპვის ან დასახიჩრების შემთხვევაში გასაცემი თანხები, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო სახელმწიფოს მიერ გაცემული სოციალური დახმარების ზევით გაცემული სოციალური დახმარება (კომპენსაცია) და სხვა. აგრეთვე, სოციალური დახმარებების

კატეგორიაში გათვალისწინებული ის სოციალური ტრანსფერები, რომლებიც შეიძლება გადახდილ იქნეს დამქირავებლის მიერ.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ სოციალური ტრანსფერის მიმღებს წარმოადგენს დასაქმებული, რომელიც თავისი შემოსავლიდან ახორციელებს შენატანებს (სოციალური გადასახადის სახით) და, შესაბამისად, ავტომატურად ხდება სადაზღვევო სქემის მონაწილე, მაშინ აღნიშნული ტრანსფერი წარმოადგენს სოციალურ დაზღვევას. ხოლო ყველა ის სოციალური ტრანსფერი, რომელიც სადაზღვევო სქემაში მონაწილეობის გარეშე გაიცემა ბენეფიციარებზე, განიხილება როგორც სოციალური დახმარება.

სხვა ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს:

ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პროცენტისა, რომელიც თავის მხრივ 4 ძირითად ჯგუფად იყოფა: დივიდენდები, კვაზი-კორპორაციების შემოსავლიდან ამოღებული თანხები, ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება და რენტა. ამასთან, ქონებასთან დაკავშირებული ხარჯი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულის მიერ არაწარმოებული აქტივის გამოყენებისათვის აქტივების მფლობელისათვის გადასახდელ თანხას და იგი არ მოიცავს ქონებასთან დაკავშირებული ხარჯის ერთ-ერთ სახეობას – პროცენტს. ვინაიდან იგი ცალკე მუხლად არის კლასიფიცირებული (იხ. *პროცენტი*).

სხვადასხვა ხარჯებს, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მიზნით განხორციელებული ტრანსფერების რამდენიმე სახეს და აგრეთვე იმ ხარჯვით ოპერაციებს, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული. ამასთან, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში გაწეულ მიმდინარე ხარჯებს, იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სხვადასხვა ხარჯები თავის მხრივ იყოფა:

სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებად;

სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებად.


ხარჯები- სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	მათ შორის	
				საბიუჯეტო სახსრები	დონორების დაფინანსება

ხარჯები	8,741,830.8	9,121,225.2	9,504,545.9	9,125,922.9	378,623.0
შრომის ანაზღაურება	1,452,292.5	1,393,505.1	1,397,524.1	1,396,939.1	585.0
საქონელი და მომსახურება	1,117,790.3	1,144,275.3	1,188,276.8	1,163,978.8	24,298.0
პროცენტი	397,707.3	503,040.0	550,038.0	550,038.0	0.0
სუბსიდიები	333,993.0	419,969.0	437,897.0	336,647.0	101,250.0
გრანტები	960,452.6	1,020,282.0	1,302,934.2	1,177,939.2	124,995.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,150,058.1	3,313,177.0	3,413,015.0	3,413,015.0	0.0
სხვა ხარჯები	1,329,537.0	1,326,976.8	1,214,860.9	1,087,365.9	127,495.0

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია 2018 წლის მონაცემების მიხედვით:



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კლასიფიკაციის სისტემა გათვალისწინებულია სახელმწიფო ხარჯების საჩვენებლად, რომლებიც მიიმართება ფართო ეროვნულ მიზნების დასაფინანსებლად. ფუნქციონალური კლასიფიკაციის სისტემა მთავრობას საშუალებას აძლევს დაგეგმოს, გაანაწილოს და გაანალიზოს ხარჯები ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით (მაგ., განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.). ამ სისტემის საშუალებით ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიური მსხვილი კატეგორიების ხარჯების ერთმანეთთან შედარება.

საქართველოს ბიუჯეტების ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის პირველი დონე აერთიანებს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი სახელმწიფო

ფუნქციების შესრულებასთან, ხოლო მეორე დონეზე ხარჯები გაშლილია მიზნების მსგავსობის მიხედვით.

საქართველოს ბიუჯეტების ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია შედგება პირველი დონის 10 ძირითადი ჯგუფისაგან:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მლნ ლარი				
კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
7	მთლიანი ხარჯები	9,404.2	10,120.2	10,937.7
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,780.9	1,995.9	2,056.3
7.2	თავდაცვა	680.2	677.9	631.3
7.3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,010.8	1,028.4	1,061.9
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	1,111.0	1,349.3	1,866.5
7.5	გარემოს დაცვა	62.9	44.6	59.3
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	51.4	36.8	40.8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	1,024.7	999.5	1,086.2
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	248.2	235.3	302.1
7.9	განათლება	1,024.0	1,187.9	1,232.0
7.10	სოციალური დაცვა	2,410.1	2,564.6	2,601.3

ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია ერთიანია ყველა დონის ბიუჯეტის, მხარჯავი დაწესებულების და საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის.

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებია:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა;
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები;
- საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი;
- საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.

თავი 5

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის არსი და პრინციპები

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიური საფუძვლები

პროგრამის შესრულების შეფასების კრიტერიუმები

კაპიტალური ბიუჯეტი

(წყარო: საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, სახელმძღვანელო პარლამენტის წევრებისათვის. გვ. 27-35).

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ძირითადი არსი და პრინციპები

ძირითადი არსი და პრინციპები

ქვეყნის განვითარებისა და ხელისუფლების ფუნქციების შესრულების კუთხით საბიუჯეტო პროცესს ერთ-ერთი ძირითადი როლი აკისრია, ვინაიდან საბიუჯეტო პროცესი წარმოადგენს ბიუჯეტის მომზადების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების და ანგარიშგების ერთიან პროცესს, ხოლო თავად ბიუჯეტი არის წლის მთავარი ფისკალური დოკუმენტი, რომლიდანაც ფინანსდება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რასაც ხელისუფლება ახორციელებს კონკრეტული წლის განმავლობაში.

საქართველოს საბიუჯეტო პროცესს არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ განვლილ პერიოდში საბიუჯეტო პროცესი დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

პროგრამული ბიუჯეტი ნათლად აჩვენებს მიღწეული შედეგებს და არა მხოლოდ ათვისებულ ასიგნებებს, შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე.

პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებელზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად, პარარელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი, ამავე დროს ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაბამისობაში მოდის

ერთმანეთთან პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები.

მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, პროცედურები და ინფორმაცია რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები.

პროგრამული ბიუჯეტის მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები არ მტკიცდება შესაბამისი დონის წლიური ბიუჯეტით და წარმოდგენილია ბიუჯეტის თანდართულ დოკუმენტებში. მნიშვნელოვანია დაიხვეწოს შესრულების ინდიკატორების შემუშავების მეთოდები და წარმოდგენილი ინფორმაცია გახდეს მაქსიმალურად რეალური, ზუსტი და შესრულების ეფექტურად გაზომვის საშუალება.

წინამდებარე მეთოდოლოგია მოიცავს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდურ მითითებებს, ტერმინთა განმარტებას, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისთვის და შესაბამის მაგალითებს.

საშუალოვადიანი გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია

(წყარო: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება # 385, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე, 2011 წლის 8 ივლისი, ქ. თბილისი.)

1. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი წარმოადგენს ფისკალურ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს საშუალოვადიან პერიოდში ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტების ფარგლებში, მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების მოცულობას. წლის განმავლობაში, სამინისტროებისა და უწყებების მიერ თავიანთი სამოქმედო გეგმების/სექტორული სტრატეგიების, ახალი პოლიტიკის განსაზღვრისა თუ ახალი ვალდებულებების აღების შემთხვევაში, დოკუმენტი წარმოადგენს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ რესურსები მათ მიერ აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად.

საქართველო ს სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება ყოველი წლის პირველ მარტამდე, როდესაც საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს იმ მხარჯავი დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც უნდა ჩაერთონ დასაგეგმი წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადებაში.

მხარჯავი დაწესებულებების განსაზღვრასთან ერთად საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ ინფორმაციის ნუსხა და მისი წარდგენის ვადები, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა გამოიყენოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების პროცესში.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაცია:

- გასული ორი წლის განმავლობაში, პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე მიმართული სახსრები და მათი განხორციელებით მიღწეული შედეგები;
- მიმდინარე წლისთვის არსებული პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე გამოყოფილი სახსრები და მათი განხორციელება ს მოსალოდნელი შედეგები;
- დასაგეგმი წლებისათვის მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტების ჩამონათვალი, მათი მოკლე აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები;
- დასაგეგმი წლების პრიორიტეტების საშუალოვადიანი ბიუჯეტი, რომელიც ჩაშლილი უნდა იყოს პროგრამების მიხედვით;
- დასაგეგმი წლისათვის მხარჯავ დაწესებულებებში დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;
- დასაგეგმი წლებისათვის გამოსაყოფი ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები.

ა აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდგომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სამინისტროებთან კონსულტაციების საფუძველზე ამზადებს ინფორმაციას საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებებისა და ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების დასკვნების გათვალისწინებით საქართველოს სამინისტროები ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს და უგზავნიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების, მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და პროგნოზირებული საფინანსო რესურსის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არ მტკიცდება და არა აქვს კანონის ძალა. დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის პაკეტის მნიშვნელოვან ნაწილს და მისი საბოლოო ვარიანტი მზადდება საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 1 თვის ვადაში და წარედგინება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შემდგომი ეტაპია ბიუჯეტის პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლა. 2009 წელს მიღებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, საკანონმდებლო დონეზე მოხდა აღნიშნული ვალდებულების აღიარება, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მომზადების პირველი მცდელობა 2012 წელს განხორციელდა, ხოლო ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა მათი ბიუჯეტები პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით უნდა მოამზადონ 2013 წლისათვის.

პროგრამული ბიუჯეტების სამშობლოდ შეგვიძლია ამერიკის შეერთებული შტატები მივიჩნიოთ. 1950 წლით დათარიღებული „ბიუჯეტების და აღრიცხვიანობის აქტი“ ავალდებულებდა საბიუჯეტო დაწესებულებების ხელმძღვანელებს საბიუჯეტო განაცხადები გაემყარებინათ პროგრამების განხორციელებით მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციით. იმ დროს ამ მიდგომამ არ გაამართლა, ვინაიდან არ არსებობდა აღრიცხვიანობის, მათ შორის, შედეგების ინდიკატორების აღრიცხვის სათანადო სისტემა. ასევე პოლიტიკოსები არასაკმარისად იყვნენ დაინტერესებულნი მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოეყენებინათ პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში.

1965 წელს გაერომ შეიმუშავა სახელმძღვანელო პროგრამული და ეფექტიანობაზე ორიენტირებული ბიუჯეტებისთვის. 60-იანი წლების ბოლოს პროგრამული ბიუჯეტების ვარიანტები გავრცელებული იყო ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში.

პროგრამულმა ბიუჯეტებმა ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) სხვადასხვა ქვეყანაში: მათ შორის დიდ ბრიტანეთში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, კანადაში. ხაზგასასმელია, რომ პროგრამული ბიუჯეტებმა მოითხოვეს:

1. გამართულ საბიუჯეტო პროცედურებს;
2. ფინანსურ დისციპლინას;
3. ინფორმაციის მოპოვების და ანგარიშგების გამართულ სისტემას;
4. სამთავრობო უწყებების მჭიდრო კოორდინაციას, რაც განვითარებად ქვეყნებში დამატებით გამოწვევებს ქმნის.

ქვეყნის განვითარებისა და ხელისუფლების ფუნქციების შესრულების კუთხით საბიუჯეტო პროცესს ერთ-ერთი ძირითადი როლი აკისრია, ვინაიდან საბიუჯეტო პროცესი წარმოადგენს ბიუჯეტის მომზადების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების და ანგარიშგების ერთიან პროცესს, ხოლო თავად ბიუჯეტი არის წლის მთავარი ფისკალური დოკუმენტი, რომლიდანაც ფინანსდება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რასაც ხელისუფლება ახორციელებს კონკრეტული წლის განმავლობაში.

საქართველოს საბიუჯეტო პროცესს არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ განვლილ პერიოდში საბიუჯეტო პროცესი დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

პროგრამული ბიუჯეტი ნათლად აჩვენებს მიღწეული შედეგები ს და არა მხოლოდ ათვისებულ ასიგნებებს ს , შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე.

პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლობაზე გადამაწილებული რესურსები. შესაბამისად, პარარელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი , ამავე დროს ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები . ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები.

მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, პროცედურები და ინფორმაცია რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები.

პროგრამული ბიუჯეტის მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები არ მტკიცდება შესაბამისი დონის წლიური ბიუჯეტით და წარმოდგენილი ა ბიუჯეტის თანდართულ დოკუმენტებში. მნიშვნელოვანია დაიხვეწოს შესრულების ინდიკატორების შემუშავების მეთოდები და წარმოდგენილი ინფორმაცია გახდეს მაქსიმალურად რეალური, ზუსტი და შესრულების ეფექტურად გაზომვის საშუალება .

წინამდებარე მეთოდოლოგია მოიცავს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდურ მითითებებს , ტერმინთა განმარტებას, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას სახელმწიფო ბიუჯეტისთვის , ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისთვის და შესაბამის მაგალითებს.

პროგრამული ბიუჯეტების ფორმები და უპირატესობები

არსებული სირთულეების გათვალისწინებით განასხვავებენ პროგრამული ბიუჯეტის შემდეგ ფორმებს: სუსტი ფორმა, საშუალო ფორმა, პირდაპირი პროგრამული ბიუჯეტებზე.

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით ისაა, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების წინაპირობაა. ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში, არამედ გასატარებელი ძირითადი პროგრამებისა და მათი შედეგების თვალსაზრისით.

პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ ათვისებული ასიგნებები. შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე.

პროგრამული ბიუჯეტის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს საბოლოო მისაღები და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად, უნდა დაიგეგმოს ჯერ შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი, ხოლო შემდგომ შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები.

პროგრამული ბიუჯეტირება საქართველოში

საქართველოში პროგრამული ბიუჯეტირების რეფორმის კომპლექსურობის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე იწარმოება რეპრეზენტაციული (პირველი) ფორმა.

პროგრამების ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში, კერძოდ:

რას ემსახურება პროგრამა;

რა ძირითადი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებებისგან შედგება ის;

რა მიზნის მიღწევაა დაგეგმილი მისი განხორციელებით.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია დანერგვის საწყის ეტაპზე საქართველოს პარლამენტის მიერ მტკიცდება და არ მიეცემა კანონის იურიდიული ძალა. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკმაოდ რთულია მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების სწორად განსაზღვრა. ამასთან, მათი თავიდანვე კანონით დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს ზოგიერთი პროგრამის ან/და ქვეპროგრამის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის საკითხი. პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკანონმდებლო პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს შეუშლის პროგრამული ბიუჯეტის სისტემის შემდგომ განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების საკანონმდებლო დონეზე აყვანა ეტაპობრივად განხორციელდება, მაშინ როდესაც პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებლებს ექნებათ სათანადო გამოცდილება და პროგრამების მართვის პრაქტიკა

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ინფორმაცია წარმოდგენილია პრიორიტეტების მიხედვით და მოიცავს:

1. ყველა პროგრამის დაფინანსებას და შესაბამისად პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს;
 2. თითოეული პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს;
 3. პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს.
- პროგრამული ბიუჯეტის დანართი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:
პირველ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტული პროგრამებისა და მათზე მიმართული სახსრების შესახებ:

პროგრამის აღწერა;

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები;

ინფორმაცია მასში შემავალი ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ, მათ შორის:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი, დასახელება, განმახორციელებელი ორგანიზაცია;
- ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა, ქვეპროგრამის/ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგი, შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები.

მაგალითი: საქართველოს განათლების სამინისტროს ერთ-ერთი პროგრამის (32 02 03) მიზანს წარმოადგენს უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა. ამ პროგრამის განხორციელების საბოლოო შედეგი იქნება - საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; ხოლო მოსალოდნელი შუალედური შედეგი - საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისციპლინის გაუმჯობესება.

პროგრამის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	დასაგეგმი წელი		დასაგეგმს +1 წელი		დასაგეგმს +2 წელი		დასაგეგმს +3 წელი	
		მთლიანი დაფინანსება	ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა	მთლიანი დაფინანსება	ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა	მთლიანი დაფინანსება	ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა	მთლიანი დაფინანსება	ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა
	პროგრამა N1-ის დასახელება								
	პროგრამა N2-ის დასახელება								
	პროგრამა N3-ის დასახელება								
	პროგრამა N...-ის დასახელება								
	სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები								

- შემდგომ, თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილია:

პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;

პროგრამის დასახელება;

პროგრამის განმახორციელებელი;

პროგრამის აღწერა;

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები;

ინფორმაცია მასში შემავალი ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ, მათ შორის:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი, დასახელება, განმახორციელებელი ორგანიზაცია;
- ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა, ქვეპროგრამის/ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგი, შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის, ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი კონკრეტული შედეგი, რისთვისაც ესა თუ

ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს:

სრულად აღმოფხვრას;

არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას;

ახალი წესის დანერგვას;

მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პრიორიტეტებზე.

საბოლოო შედეგი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი და ხშირ შემთხვევაში, გამოისახება კონკრეტულ ციფრებში ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში.

შუალედური შედეგი წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და თავის მხრივ ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

მაგალითი: საქართველოს განათლების სამინისტროს ერთ-ერთი პროგრამის (32 02 03) მიზანს წარმოადგენს უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა. ამ პროგრამის განხორციელების საბოლოო შედეგი იქნება - საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; ხოლო მოსალოდნელი შუალედური შედეგი - საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისციპლინის გაუმჯობესება.

საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულების ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები თავის მხრივ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლად საბოლოო შედეგის მიღწევისკენ.

შესაბამისად, საბოლოო შედეგები განისაზღვრება პროგრამისთვის, ხოლო შუალედური შედეგები მისი ქვეპროგრამებისთვის (ღონისძიებებისათვის), ამიტომ განსხვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც.

საბოლოო შედეგი

პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს.

შუალედური შედეგი

პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამების და ღონისძიებების შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია მისი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი რომელიმე სტრუქტურული ერთეული, ვისაც უშუალოდ ევალება ქვეპროგრამის (ღონისძიების)

პროგრამული ბიუჯეტების შეფასების ინდიკატორები

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს.

შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის:

პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს;

ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორცაა მიღებული პროდუქტის რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია (საშუალოდ 4-5 წელი), ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას. წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, ვინაიდან შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 ინდიკატორი.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიზმიანი, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

კაპიტალური ბიუჯეტირება

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს 2012 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებას, რომელიც თავისი შინაარსით საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია. კაპიტალური ბიუჯეტი პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და ბიუჯეტის შესახებ კანონის ერთ-ერთ დანართად არის წარმოდგენილი.

კაპიტალურ ბიუჯეტში მოცემული ყველა პროექტი თავის მხრივ წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის კანონის რომელიმე პროგრამას, ან მის შემადგენელ ნაწილს, თუმცა კაპიტალურ დანართში თავს იყრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა კაპიტალური პროექტი და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. დანართში წარმოდგენილი პროექტები დაჯგუფებულია მათი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

კაპიტალური ბიუჯეტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა ის თანხა, რომელიც წლიური ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით არ

წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს. კაპიტალური პროექტის შემადგენელი ნაწილი შესაძლებელია იყოს ხარჯების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

წლიური ბიუჯეტის კანონში ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით წარმოდგენილი ასიგნებები ასევე შესაძლებელია იყოს კაპიტალური პროექტი, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მუხლიდან ხშირ შემთხვევაში ასიგნებები მიემართება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების დაკრედიტების ან/და კაპიტალის ზრდისთვის და სახელმწიფო საწარმოები ახორციელებენ მსხვილ კაპიტალურ პროექტებს.

გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა კაპიტალური პროექტი განხორციელდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივი დაფინანსებით. ამ შემთხვევაში ბიუჯეტსა და მის დანართებში წარმოდგენილია მხოლოდ ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება, თუმცა პროექტის აღწერაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რა თანხას შეადგენს კერძო სექტორის დაფინანსება და აღწერილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალდებულებები.

ისეთი კაპიტალური პროექტები, რომელთა დაფინანსება წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ბიუჯეტის დანართებშიც.

კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი, ან მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას.

ამასთან, შესაძლებელია იყოს ისეთი კაპიტალური პროექტები, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, მაგრამ მთავრობის რომელიმე პრიორიტეტის შემადგენელი ნაწილია (მაგ.: სკოლების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება და სხვა). ყველა კაპიტალური პროექტი, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია დაფინანსება, აუცილებელია დაკავშირებული იყოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ რომელიმე პრიორიტეტთან.

კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- 1 • მშენებლობა-რეაბილიტაციის შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50,0 ათას ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 5 წელზე ნაკლები
- 2 • მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის (გარდა სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობისა), ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შემენის შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 150,0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 3 წელზე ნაკლები
- 3 • პროექტის ღირებულება მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, პროექტირების, მოსამზადებელი სამუშაოების, ტრანპორტირების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ხარჯებს

წლიური საბიუჯეტო კანონის კაპიტალური დანართი დაყოფილია ორ ნაწილად:

1. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ყველა პროექტის დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობა უნდა მოიცავდეს პროექტის მთლიან ღირებულებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ და დაგეგმილ ხარჯს:

2. მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროექტის და ქვეპროექტის აღწერა და შემდეგი ინფორმაცია:

მთავრობის რომელი პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება პროექტი;
 პროექტის განმახორციელებელი;
 რა შედეგს უნდა ველოდოთ პროექტის დასრულების შემდგომ;
 პროექტის მთლიანი ღირებულება;
 პროექტის დაფინანსების წყაროები, მათ შორის ბიუჯეტიდან გამოყოფილი წყაროები
 დონორების, ასევე გრანტებისა და კრედიტების მიხედვით;
 დასაგეგმი წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები.

კაპიტალური პროექტის შუალედური შედეგი	კაპიტალური პროექტის საბოლოო შედეგი
<ul style="list-style-type: none"> • მსხვილი ინფრასტრუქტურული პროდუქტი, რომლის შესაქმნელადაც განხორციელდა პროექტი. 	<ul style="list-style-type: none"> • უფრო გლობალურია და წარმოადგენს იმ მდგომარეობას ან ეფექტს ქვეყნის ეკონომიკის ან რომელიმე სფეროს განვითარებაზე რისთვისაც განხორციელდა პროექტი.

მაგალითი: დიდი ელექტროსადგურების ქსელის მშენებლობის პროექტის შუალედურ შედეგად შეიძლება განვიხილოთ თავად ელექტროსადგურების ქსელი დასრულებული სახით, ხოლო საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდა ან ელექტროენერჯის ექსპორტის ზრდა. ვინაიდან კაპიტალური პროექტები თავის მხრივ პროგრამული ბიუჯეტის ნაწილია და, შესაბამისად, მათი შესრულების შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამების აღწერაში, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი შესრულების შეფასების ინდიკატორების ნაწილს აღარ ითვალისწინებს.


თავი 6. საქართველოს სახელმწიფო ვალი და ვალის მდგრადობის ანალიზი

სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი


სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო ვალი არის საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალების ჯამი. სახელმწიფო ვალი/მშპ-ში და საგარეო ვალი/მშპ-ში და საშინაო ვალი/მშპ-ში დინამიკა 2010-2016 წწ-ში შემდეგნაირად გამოიყურება:




სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 12,0 მილიონ ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 78%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 21.4 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 8.8 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 2.04%-ს.

სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით




2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 67% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 42% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

საპროცენტო განაკვეთის ტიპი



სავალუტო სტრუქტურა



2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1,236,750.0 ათასი ლარის ოდენობით და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მიღებას 350,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) 125,000.0 ათასი ლარი, საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) 180,000.0 ათასი ლარი და ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარების პროგრამიდან 45,000.0 ათასი ლარი. დაგეგმილი თანხების ათვისების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება სახელმწიფო საგარეო ვალის პარამეტრების მდგრადობა.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 1,015,000 ათასი ლარი, საიდანაც 725,000 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 290,000 ათასი ლარი - პროცენტის თანხას:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 6 თვიანი და 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 6 თვიანზე - 7.1%, 12 თვიანზე 7.2%, 2 წლიანზე - 7.5%, 5 წლიანზე - 8.0%, 10 წლიანზე - 9.4%. სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 2 764.0 მილიონ ლარს (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 2 800.3 მლნ ლარი), აქედან 2 278.1 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 485.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

შენიშვნა: სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. „ისტორიულ ვალს“. „ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

	<i>ათასი ლარი</i>
სულ	2,800,288
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	2,314,442
6 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები	120,000
12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები	588,000
2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	639,400
5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	734,522
10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	232,520
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	485,846
სახელმწიფო ობლიგაცია სებ-სთვის	320,846
სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	165,000

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საშინაო ვალდებულებების მოსალოდნელ კლებას 1 250,000 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას - 1,215,000 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) - 35,000 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად. 2018 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება

განხორციელდება იმ მოცულობით, რომელიც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე არსებული განაკვეთების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ბიუჯეტში შემოსულ და დაფარულ ძირითად თანხებს შორის სხვაობას არაუმეტეს 400,000 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრული საგარეო და საშინაო ვალის პარამეტრები უზრუნველყოფენ სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნებას საშუალო ვადიან პერიოდში .

ფისკალური მდგრადობა და მისი შეფასების ინდიკატორები

2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა და საფინანსო კრიზისმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბევრი ქვეყნის ფისკალურ მდგრადობაზე, რაც გამოიხატა ამ ქვეყნების ბიუჯეტის დეფიციტებისა და სახელმწიფო ვალის დონეების მასშტაბურ ზრდაში. ზემოაღნიშნულმა ტენდენციამ განაპირობა მზარდი საერთაშორისო ინტერესი სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის დამოუკიდებელი და ობიექტური ანალიზისადმი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსათვის სახელმწიფო ვალის არსებული დონე მისაღებ ინტერვალშია, 2012 წლიდან ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი სოციალური ორიენტაციის გათვალისწინებით, ფისკალური კონსოლიდაციის დაგეგმილი კურსისა და „ეკონომიკური თავისუფლების აქტით“ განსაზღვრული ფისკალური ლიმიტების გათვალისწინებით, ფისკალური მდგრადობის დამოუკიდებელი შეფასება და ანალიზი საშუალო და მოკლევადიანი პერიოდისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს (5).

ფისკალური, ანუ სახელმწიფო ფინანსების მდგრადობა არის სახელმწიფოს უნარი შეინარჩუნოს მისი მიმდინარე ხარჯები, საგადასახადო და სხვა ეკონომიკური პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში, სახელმწიფოს გადახდისუნარიანობისათვის საფრთხის წარმოქმნის, ან მისი ცალკეული სახის ვალდებულებებზე და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების (მ. შ. საპენსიო, ჯანდაცვისა და სხვა) გაწევაზე უარის თქმის გარეშე.

მდგრადობის საყოველთად მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. თუმცა, მაგალითად, ბლანშარდის განსაზღვრების მიხედვით (1990) მდგრადობა მიიღწევა მაშინ, როცა მიმდინარე პოლიტიკაზე დაყრდნობით, მთავრობა თავს არიდებს დიდი მოცულობის ვალის დაგროვებას, უფრო კონკრეტულად, მდგრადი ფისკალურ პოლიტიკა გულისხმობს ვალი/მშპ თანაფარდობის დაბრუნებას მის პირველად დონეზე.

მსგავსი განსაზღვრებაა მოცემული ბიუნტერის მიერაც (1985), რომლის მიხედვითაც, მდგრადი ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს წმინდა აქტივების მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის შენარჩუნებას წმინდა ღირებულების დონეზე.

ეს განსაზღვრებები არსებითად ერთმანეთს შეესაბამება. ისინი განსხვავდება მხოლოდ სტატისტიკური თვალსაზრისით. წმინდა ღირებულებაზე ფოკუსირებით, ბიუნტერი ცალსახად უსვამს ხაზს იმას, რომ სახელმწიფომ დეფიციტის დასაფინანსებლად მისი აქტივების გამოყენების გზით შესაძლოა დროებით თავიდან აიცილოს მთლიანი ვალის ზრდა, თუმცა, ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში მთლიანი ვალი არ იზრდება მაშინვე, არ

გულისხმობს ფისკალურ მდგრადობას, რამდენადაც დროის გარკვეულ ეტაპზე დეფიციტის დასაფინანსებლად აქტივების ამოწურვის შემდეგ, სახელმწიფო ვალი კვლავ დაიწყებს ზრდას.

უფრო ზოგადი განსაზღვრებით, „ფისკალური პოლიტიკა არის მდგრადი, თუ მომავალი პერიოდების პირველადი პროფიციტის მიმდინარე ღირებულება უტოლდება სახელმწიფო ვალის მიმდინარე ღირებულებას“. ეს განსაზღვრება გამომდინარეობს პერიოდთაშორისი (inter-temporal) საბიუჯეტო შეზღუდვის პირობიდან. აღნიშნული პირობის მიხედვით, სახელმწიფო შესაძლებელია შეფასდეს გადახდისუნარიანად (კრედიტუნარიანად) თუ მისი არსებული ფისკალური პოლიტიკა უზრუნველყოფს დროის გარკვეულ (ან უსასრულო) პერიოდში სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვას მომავალი პერიოდების ბიუჯეტის პროფიციტის ხარჯზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბლანშარდის განსაზღვრება არც ისე ზუსტია, სულ მცირე, ორი მიზეზის გამო. პირველი, არ არსებობს თეორიული მიზეზი, თუ რატომ უნდა დაუბრუნდეს ვალის მშპ-თან თანაფარდობა თავდაპირველ დონეს და არა სხვა რაიმე სტაბილურ დონეს, რომელიც საწყის დონესთან შედარებით უფრო დაბალი ან მაღალი იქნება. მეორე, შესაძლებელია არსებული პოლიტიკა პირველ ეტაპზე ითვალისწინებდეს ვალის თანაფარდობის იმ დონემდე ზრდას, რომელიც რეალურად შეიძლება შეფასებულ იქნას როგორც ზედმეტად მაღალი და მხოლოდ მოგვიანებით, შემდგომ ეტაპზე ვალის დონის შემცირებასა და მის დაბრუნებას „უსაფრთხო“ დონემდე.

უფრო ზოგადი განსაზღვრებით, ფისკალური პოლიტიკა შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც მდგრადი, თუ მომავალი პერიოდების პირველადი პროფიციტების (Primary Surpluses) მიმდინარე ღირებულება უტოლდება ვალის არსებულ დონეს. ეს განსაზღვრება გამოყვანილ იქნა პერიოდთაშორისი (inter-temporal) საბიუჯეტო შეზღუდვის პირობიდან (დეტალურად, იხ. ქვემოთ). აღნიშნული პირობის მიხედვით, სახელმწიფო გადახდისუნარიანია, თუ მისი არსებული პოლიტიკა უზრუნველყოფს დროის გარკვეულ (ან უსასრულო) პერიოდში სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვას მომავალი პერიოდების ბიუჯეტის პროფიციტების ხარჯზე. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო გადახდისუნარიანია, თუ დაცულია პერიოდთაშორისი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობა. ¹

ფისკალური მდგრადობის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტებს შორის არ არის კონსენსუსი ფისკალური მდგრადობის შეფასების კრიტერიუმებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა ფართოდ მიღებულ და ძირითად საფუძველს ფისკალური მდგრადობის ანალიზისას პერიოდთაშორისი(ინტერ-ტემპორალური) საბიუჯეტო შეზღუდვა ანუ პერიოდთაშორისი წონასწორობის პირობა წარმოადგენს, რომელიც ადგენს ტოლობას ვალის საწყის დონესა და მომავალი პერიოდების ბიუჯეტის პირველადი პროფიციტის მიმდინარე ღირებულებას შორის. აღნიშნული პირობა წარმოდგენილი ფორმულით (2):

$$B_t = \sum_{i=1}^{\infty} (1+r)^{-i} PB_{t+i}$$

სადაც,

(*). მ. მჭიაშვილი. ფისკალური მდგრადობა და მისი შეფასების ინდიკატორები .“საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციი „გლობალიზაცია და სტატისტიკა“ თბილისი, 2014. გვ.350-354.

B_t -სახელმწიფო ვალი /მშპ-თან.

r - რელური საპროცენტო განაკვეთი.

PB_{t+1} - პირველადი ბალანსი (Primary Balance), რომელიც წარმოადგენს სხვაობას სახელმწიფოს შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის (საპროცენტო ხარჯების გამოკლებით).

საერთაშორისო კვლევები ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის შესაფასებლად ძირითადად ემყარება მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფისკალურ პოლიტიკაში მაკროექტირებელი ღონისძიებების დონის (უფრო მარტივად, ბიუჯეტის დეფიციტის საჭირო შემცირების დონის) შეფასებას, ძირითადად ფისკალური გარღვევის (Fiscal Gap) მაჩვენებლის გაანგარიშებაზე დაყრდნობით. კერძოდ, აპრობირებულ ინდიკატორებს წარმოადგენს $S1$ და $S2$ ინდიკატორები, რომლებიც ზომავს ზემოაღნიშნული მაკროექტირებელი ღონისძიებების სიდიდეს (ანუ რა დონით უნდა შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი) შესაბამისად, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდში მდგრადობის უზრუნველსაყოფად. გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყენება $S0$ ინდიკატორი, რომელიც ზემოაღნიშნული ინდიკატორებისაგან განსხვავებით წარმოადგენს კომპოზიტიურ ინდექსს და იძლევა მდგრადობის გამოწვევების იდენტიფიცირების საშუალებას მოკლევადიან პერიოდში.

საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის $S1$ და $S2$ ინდიკატორების გაანგარიშებისას, რაც უფრო დიდია ინდიკატორის რიცხვითი მნიშვნელობა, პირველად ბალანსს ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად მით უფრო დიდი ზომის შესწორება ესაჭიროება. თუმცა, აღნიშნული ინდიკატორები არ იძლევიან იმის დადგენის საშუალებას, თუ როგორ განხორციელდეს ფისკალური პოლიტიკის ანუ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. ფისკალური მდგრადობის მისაღწევად საჭირო მაკროექტირებელი ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. კერძოდ, ან საგადასახადო შემოსავლების ზრდით (ჩვეულებრივ პირდაპირი ან ირიბი გადასახადების განაკვეთების გაზრდის საფუძველზე), ან სოციალური ან ინფრასტრუქტურული დანახარჯების შეკვეცის ხარჯზე. პოლიტიკის შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი პოტენციური ზემოქმედება ეკონომიკაზე ან ფისკალურ მდგრადობაზე. მაგალითად, ფისკალური გარღვევის დასაძლევად და დეფიციტის შესამცირებლად საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვანმა ზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება, რასაც საშუალო და გრძელვადიან მდგრადობაზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს.

როგორც უკვე აღინიშნა $S2$ მდგრადობის ინდიკატორი გამოიყენება გრძელვადიანი პერიოდისათვის (ტექნიკურად, დროის განუსაზღვრელ პერიოდში) ფისკალური მდგრადობის შესაფასებლად. აღნიშნული ინდიკატორით გაინგარიშება სხვაობა ბიუჯეტის დეფიციტის არსებულ მდგომარეობას (პირველადი სტრუქტურული ბალანსის სახით) და ვალის დონის სტაბილიზაციისათვის საჭირო ბიუჯეტის პირველად ბალანსს შორის რათა უზრუნველყოფილი იქნას ფისკალური მდგრადობა გრძელვადიან პერიოდში. ინდიკატორი განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით ⁽³⁾

1. Aleš Krejdl: Fiscal Sustainability - Definition, Indicators and Assessment of Czech Public Finance Sustainability. W/P3.

2. Bohn, H., 2005. The Sustainability of Fiscal Policy in the United States (CESifo Working Paper Series No. 1446). CESifo Group Munich.

3. European Commission, 2009. Sustainability report 2009.

$$ITGAP = \frac{(r - g)(b_t - \sum_{i=1}^{\infty} (\frac{1+g}{1+r})^i p b_{t+i})}{1 + g}$$

b_t - არის ვალი/მშპ ;

r- სახელმწიფო ვალის საპროცენტო განაკვეთი(რეალური);

g- ეკონომიკის(რეალური მშპ-ს) ზრდის ტემპი.

ევროკომისიის მიერ გამოყენებული პრაქტიკით (4) ფისკალური მდგრადობა S2 ინდიკატორის გამოთვლის საფუძველზე ფასდება შემდეგნაირად: 1). თუ ინდიკატორის მნიშვნელობა ნაკლებია 2-ზე, ქვეყანა ფასდება, როგორც დაბალი რისკის მქონე. 2). თუ ინდიკატორის მნიშვნელობა მოთავსებულია 2-სა და 6-ს შორის, ქვეყანა ფასდება, როგორც საშუალო რისკის მქონე. 3). თუ ინდიკატორის მნიშვნელობა მეტია 6-ზე, ქვეყანა ფასდება, როგორც მაღალი რისკის მქონე.

საშუალოვადიან პერიოდში არსებული ფისკალური გამოწვევების შესაფასებლად გამოიყენება S1 ინდიკატორი, რის საფუძველზეც გამოითვლება ბიუჯეტის არსებული დეფიციტის (სტრუქტურული პირველადი ბალანსის სახით) საჭირო კორექტირების დონე, რომელიც საჭიროა დროის გარკვეულ მომენტში სახელმწიფო ვალის სასურველი დონის მისაღწევად. მაგალითისათვის, ევროკომისია აღნიშნულ დონედ იყენებს ვალი/მშპ თანაფარდობას 60%-ის დონეზე 2030 წლისათვის. ევროკომისიის მიერ გამოყენებული პრაქტიკით, ფისკალური მდგრადობა S1 ინდიკატორის გამოთვლის საფუძველზე ფასდება შემდეგნაირად:

1).თუ ინდიკატორის მნიშვნელობა 0-ზე ნაკლებია, ასეთ შემთხვევაში ქვეყანა შეფასდა, როგორც დაბალი რისკის მქონე; 2).თუ პირველად ბალანსში საჭირო

საშუალოვადიან პერიოდში არსებული ფისკალური გამოწვევების შესაფასებლად გამოიყენება S1 ინდიკატორი, რის საფუძველზეც გამოითვლება ბიუჯეტის არსებული დეფიციტის(სტრუქტურული პირველადი ბალანსის სახით) საჭირო კორექტირების დონე, რომელიც საჭიროა დროის გარკვეულ მომენტში სახელმწიფო ვალის სასურველი დონის მისაღწევად.

S0 ინდიკატორის გაანგარიშება ეყრდნობა S1 და S2 ინდიკატორებისაგან განსხვავებულ მიდგომას. ის წარმოადგენს ცალკეულ ინდიკატორებზე დყრდნობით გაანგარიშებულ კომპოზიტურ ინდექსს და აფასებს მოღვევადან ფისკალურ გამოწვევებს (ე.წ. „სასიგნალ ინსტრუმენტი“). კერძოდ S0 ინდიკატორი მოცავს: ფისკალურ ფინანსურ და კონკურენტუნარიანობის ცვლადებს (ჯამურად, 28 ცვლადი), რაც ფისკალური წნეხის ადრეულ ეტაპზე განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

S0 ინდიკატორის გამოთვლის მეთოდოლოგია განსხვავდება S1 და S2 ინდიკატორების გამოთვლის მეთოდოლოგიისაგან. ის აფასებს მოკლევადიან ფისკალურ გამოწვევებს და

4European Commission, 2012. Sustainability report 2012.

არის ცალკეულ ინდიკატორებზე დაყრდნობით გაანგარიშებული კომპოზიტიური ინდექსი. კერძოდ, S0 ინდიკატორი მოიცავს: ფისკალურ, ფინანსურ და კონკურენტუნარიანობის ცვლადებს(ჯამურად, 28 ცვლადს), რაც ფისკალური წნეხის ადრეულ ეტაპზე განსაზღვრის საშუალებას იძლევა. S0 ინდიკატორის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც ე.წ. „სასიგნალო ინსტრუმენტი“ მოსალოდნელი ფისკალური რისკების შესახებ. მეთოდოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს S0 ინდიკატორის გამოთვლას, ითვალისწინებს ფისკალური „რისკების ჭერების“ ენდოგენურ განსაზღვრას. თუ S0 ინდიკატორის მნიშვნელობა აღემატება ე. წ. „ჭერების“ მნიშვნელობებს, ეს მიუთითებს პოტენციურ ფისკალურ რისკებზე მოკლევადიან პერიოდში. ამასთან, მისი შემადგენელი ორი ქვე-ინდექსით შეიძლება დადგინდეს რისკები, რომელიც მოდის სპეციფიკური სფეროებიდან. ევროკომისიის შეფასებით, ზოგადი S0 ინდექსის კრიტიკული ზღვარი 0.44-ს უტოლდება, კერძოდ, ის ქვეყნები, რომელთა ზოგადი S0 ინდექსი იყო აღნიშნულ ზღვარზე მეტი (0,43-ზე დიდი სიდიდე), მომდევნო წელს ექცეოდნენ ფისკალური წნეხის ქვეშ.

საქართველოში 2014 წლის შემდგომ პერიოდში ადგილი აქვს მთავრობის ვალის/მშპ-თან პერმანენტულ ზრდას. კერძოდ, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა 44,4%-ს მიაღწია. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულია მისი 41,1%-მდე შემცირება, რაც შენარჩუნდება 2021 წლის ბოლომდე. საგარეო ვალი /მშპ-თან 33,5%,საგარეო ვალი ექსპორტთან-65,4%-ს, საგარეო ვალის მომსახურება/ექსპორტთან-5%-ს აღწევს. ხოლო საგარეო ვალის მომსახურება/ ბიუჯეტის შემოსავლებში8.8%-ს მიაღწია. 2021 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი 16,4%-მდე იზრდება. ამ პერიოდში პერმანენტულად გაიზარდა საგარეო ვალი/ ბიუჯეტის შემოსავლებთან და მან -119% შეადგინა. ასევე, გაიზარდა საშინაო ვალი/მსპ-ში. მთლიანად მთავრობის ვალმა/მშპ-ში 153 %-ს მიაღწია. დაახლოებით იმავე დონეზე შენარჩუნდება 2021 წლისათვის.

ფისკალური რისკები- წყაროები, გამოვლენა (disclosure-გასაჯაროება) და მართვა

1. რას გულისხმობს ფისკალური რისკები

ფისკალური რისკები განისაზღვრება, როგორც ფისკალური შედეგების ბიუჯეტით ან სხვა სახის პროგნოზებით განსაზღვრული შედეგებიდან შესაძლო გადახრა, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს მაკრო-ეკონომიკური შოკების და პირობითი ვალდებულებების რეალიზაციის მოთხოვნიდან. ფისკალური რისკების წყარო შესაძლოა იყოს სხვადასხვა მაკროეკონომიკური ცვლადების წინასწარ გაუთვალისწინებელი ცვლილება. მაგალითად, ფისკალურ სტაბილურობაზე ხშირად ზეგავლენას ახდენს გაცვლითი კურსის დაცემა. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია პირობითი ვალდებულებების წარმოშობა ერთის მხრივ ბანკების მიმართ, საბანკო კრიზისების დროს, ასევე, მეორეს მხრივ სახელმწიფო სექტორის სხვა ნაწილების ან/ და კერძო სექტორის ზოგიერთი სააგენტოს მიმართ.

ფისკალური რისკის წყარო შეიძლება იყოს შოკები, რომლებიც ზემოქმედებენ ისეთი სახის მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, როგორცაა: ეკონომიკური ზრდის ტემპი, სასაქონლო ფასები, საპროცენტო განაკვეთი ან გაცვლითი კურსი. ასევე, სხვადასხვა სახის პირობითი ვალდებულებების შესრულებაზე წარმოშობილი მოთხოვნა, რომელიც თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ცხადი სახის ვალდებულებებად - რაც განსაზღვრულია კანონით ან კონტრაქტით (მაგალითად ვალის გარანტიები), ან არაცხად ვალდებულებებად, რომლებიც ეფუძნება საზოგადოების მოლოდინებს ან ზეწოლას (მაგალითად, ბანკების ან სახელმწიფო სექტორის საწარმოების გაკოტრების თავიდან აცილების მოთხოვნა).

ფისკალური რისკები განსხვავებული სახისაა და გამოვლენისა და შესაბამისად, მართვის თვალსაზრისითაც მოითხოვს სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ხანგრძლივობის ზემოქმედებას.

დროის მიხედვით რეაგირება შეიძლება იყოს დროებითი/ ან მუდმივი. მაგალითად, დიდი მოცულობის ფისკალური დეფიციტი, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებული სიდიდის დროებითი შემცირებით, მოითხოვს ავტომატური სტაბილიზატორების დროებით ამუშავებას, მაშინ, როდესაც ფისკალურ მდგრადობაზე ხანგრძლივად ზემომქმედ მუდმივ შოკებს უფრო მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ფისკალურ სტაბილურობაზე და შესაბამისად, ისინი საჭიროებენ გრძელვადიან რეგულირებას.

-ზემოქმედების ზომის დასადგენად მნიშვნელოვანია შოკებს შორის არსებული კავშირების დადგენა. თუ ფისკალურ მდგრადობაზე მოქმედი შოკები ერთმანეთს აბათილებენ, მაშინ მათზე მცირე ზომის რეაგირებაა საჭირო. ერთმანეთთან დაკავშირებული შოკების, ან ერთმანეთის გამაძლიერებელი შოკების შემთხვევაში კი (მაგალითად, ერთდროულად გაცვლითი კურსის ცვლილება, ვალის ცვლილება და საბანკო კრიზისი) უარყოფითი ფისკალური ზეგავლენის შესუსტება მოითხოვს მნიშვნელოვანი ზომის რეაგირებას.

-მნიშვნელოვანი ფაქტორია პროგნოზირების სიზუსტე. ფისკალური შედეგების გადახრამ მოსალოდნელი (პროგნოზირებული) სიდიდეებიდან, შეიძლება ასახოს პროგნოზირების სუსტი მხარეები (მაგალითად, ბიუჯეტის შედგენის დროს შეიძლება შეგნებულად იყოს შემუშავებული შემოსავლების ოპტიმისტური პროგნოზები, რათა ხელი შეეწყოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ამბიციური ხარჯვითი გეგმის დამტკიცებას). შესაბამისად, დიდია ზუსტი პროგნოზების შემუშავების როლი ფისკალური რისკების თავიდან აცილების საქმეში.

-მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების გამოსახვა რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ფისკალური რისკების შეფასების სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის მაჩვენებლებით არიან ისინი შეფასებული-რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი მაჩვენებლებით. რაოდენობრივი მაჩვენებლებით გამოსახვა ჩვეულებრივ უფრო იოლია მაკროეკონომიკური რისკებისათვის და და ცხადი გარანტიებისათვის(რომელიც მოიცავს საკონტრაქტო პირობებს და მოცულობებს), ვიდრე არაცხადი გარანტიებისათვის.

-რისკებზე რეაგირების დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების მგრძობიარობა. ძირითადი ფისკალური რისკები ხშირად უკავშირდება იმ სფეროებს, სადაც სახელმწიფო პოლიტიკის მოლოდინები საჭიროებს სიფრთხილით მართვას. მაგალითად, ძალიან მგრძობიარე თემაა რეაგირების თვალსაზრისით საბანკო სისტემის პრობლემები ან ზედმეტად გამყარებული გაცვლითი კურსები.

2. რატომ არის მნიშვნელოვანი ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, გასაჯაროება და მართვა

ფისკალური რისკის შემცირება იწყება კარგად გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ვალის მართვის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებით. კარგად გააზრებული პოლიტიკა საშუალებას იძლევა შეფასდეს ის კანონპროექტები, რომლებიც ახალ რისკებს იწვევენ. შესაბამისად, ხდება იმის დასაბუთება, თუ რამდენადაა გამართლებული მათი მიღება. ფისკალური რისკების შერბილება უნდა მოხდეს იმ შეფასებების საფუძველზე, თუ რომელ ეკონომიკურ აგენტს გააჩნია რისკის მართვის საუკეთესო უნარი და სტომულები და ვის უკავია რისკის ტარების ტვირთის სხვასთან გაზიარებისათვის საუკეთესო პოზიცია. რისკის შერბილების შესახებ გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, ურთიერთდაკავშირებულია რისკები, თუ ისინი ერთმანეთს აბათილებენ.

განხორციელებული კვლევები აჩვენებს, რომ ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ხელს უწყობს რისკების მართვას, ამაღებს ფინანსების ეფექტური გამოყენების დონეს და ამცირებს ფისკალური რისკების თავიდან ასაცილებლად საჭირო სესხების მოცულობას. ფისკალური რისკების გასაჯაროება რისკების კარგად შეფასებისა და გაცნობიერების საშუალებას იძლევა. ასევე, გამჭვირვალობა ხელს უწყობს პოლიტიკის ადრეულ ეტაპზე შემუშავებასა და პრობლემებზე დროულ და უმტკივნეულო რეაგირებასაც. ამასთან, ის ამლიერებს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას რისკის მართვაზე.

ფისკალურ რისკებზე ინფორმაციის გასაჯაროება ანალიზს დამატებით სიღრმეებს ანიჭებს და უზრუნველყოფს რისკების სრულად შეფასებასა და ოფიციალურად

აღიარებას. გამჭვირვალობა ასევე, ხელს უწყობს ადრეულ და თანმიმდევრულ პოლიტიკურ რეაგირებას. ის განამტკიცებს რისკის მართვაზე პასუხისმგებლობას და აუმჯობესებს სახელმწიფოს მიერ რისკის თავის თავზე აღების გადაწყვეტილების ხარისხს. მაშინაც კი, როცა წინასწარ განუსაზღვრელი ხარჯები მაკროეკონომიკური თვალსაზრისით გულისხმობს დაბალ რისკს - ან იმის გამო, რომ მცირე ზომისაა ან არ არის კორელაციაში-გასაჯაროება იწვევს დანახარჯების ეფექტიანობის უფრო ყურადღებით შეფასებას და არაცხადი სუბსიდიების შემოწმებასა და კონტროლს.

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფისკალური გამჭვირვალობა ასოცირდება უკეთეს საკრედიტო რეიტინგთან და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებთან უფრო უკეთეს მისაწვდომობასთან. უფრო მეტიც, დადგინდა, რომ ფისკალური გამჭვირვალობა სტიმულს აძლევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

მსოფლიოში შეინიშნება ფისკალური ინფორმაციის გასაჯაროების ტენდენციები, რაც გამოწვეულია საერთაშორისო საბუღალტრო და სტატისტიკური სტანდარტების მოთხოვნით რისკების გასაჯაროების შესახებ. ასევე, ფისკალური ვალდებულებებისა და საჯარო ფინანსების მართვის კანონმდებლობის დამტკიცებით, რაც აუმჯობესებს გასაჯაროებას ამ სტანდარტების მიხედვით; ასევე, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის ისეთი ახალი ინიციატივები, როგორებიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ფისკალური გამჭვირვალობის კარგი პრაქტიკის კოდი და წელიდწლეული“, (2001, 2007), და ეკონომიკური თანამშრომლობისა და კოოპერირების ორგანიზაციის- „საბიუჯეტო გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკა“ (2001). ეს ახალი ინიციატივების მოთხოვნების შესაბამისად ბიუჯეტის ნახევარწლიურ და წლიური ანგარიშებში უნდა მოცემული იყოს ძირითადი რისკები, და მასში მოცემული უნდა იყოს ანგარიშები, რომლებიც გვიჩვენებენ პირობითი ვალდებულებების ბუნებასა და შესაბამისი პოლიტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და გათვალისწინებულ ბენეფიციარებს, მიღებულ საგარანტიო შენატანებს, სახელმწიფოსთან შეხებას სრულად და სადაც შესაძლებელია, პოტენციური საბიუჯეტო დანახარჯების შეფასებას.

ფისკალური გამჭვირვალობის ინდიკატორები მუშავდება სტანდარტებისა და კოდების მოხსენების ფისკალური გამჭვირვალობის მოდულის მიხედვით. „ყოველწლიური ფისკალური გამჭვირვალობა“ ემყარება ფისკალური გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკის 20 მახასიათებელს. უფრო ვიწრო საზომი (ფისკალური რისკის საზომი) ემყარება შემდეგი ასპექტების-პირობითი ვალდებულებების, კვაზი-ფისკალური საქმიანობებისა და სხვა სახის ფისკალური რისკების- გასაჯაროებას საბიუჯეტო დოკუმენტაციაში. სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების საფუძველზე აგებული რეგრესიები გვიჩვენებს, რომ ფისკალური გამჭვირვალობის ეს ცვლადები პოზიტიურ კავშირშია სუვერენულ რეიტინგებთან (რომელზეც ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ერთ სულზე

შემოსავლი, ინფლაცია, დეფოლტის ისტორია და პოლიტიკური სტაბილურობა). აღია. ამ ორივე ცვლადზე ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის გათვალისწინებით და მათ შორის კავშირის შესწავლის შედეგად მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ქვეყანები, რომლებიც იცვლებიან პოზიციას მაკრო-ფისკალური რისკების, პირობითი ვალდებულებების ან კვაზი-ფისკალური ვალდებულებების გაუსაჯაროებიდან რაღაც დონით ინფორმაციის გასაჯაროების მიმართულებით, ყველა ამ კომპონენტის მიხედვით, იუმჯობესებენ საკრედიტო რეიტინგებს, საშუალოდ ერთი დონით მაინც (მაგალითად, გადავლენ Baa1-დან A3-ზე მუდის რეიტინგში).

ფისკალური რისკის მართვა ხორციელდება შემდეგი სამი გზით:

1. ეფექტური მეთოდით რისკის შემცირებით;
2. ფისკალური რისკის ეფექტური მენეჯმენტისათვის იურიდიული, მარეგულირებელი და ადმინისტრაციული ჩარჩოების შემუშავებით;
3. ფისკალურ ანალიზსა და საბიუჯეტო პროცესში ფისკალური მართვის ინტეგრაციით.

3. რისკების გამოვლენისა და მართვის საერთაშორისო პრაქტიკა

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისათვის ამოღებული შერჩევითი საფუძველზე ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით გამოვლინდა, რომ სხვადასხვა ქვეყანის ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებში მოულოდნელი ცვლილებები მნიშვნელოვანი ზომის ფისკალური რისკების გამომწვევი მიზეზი გახდა.

კერძოდ, მაკროეკონომიკური ცვლადებით გამოწვეული რისკების შეფასებებმა (რომელიც განხორციელდაგანვითარებული და მზარდი ეკონომიკის მქონე 19 ქვეყნის მაგალითზე სტანდარტიზებული ზღვრული ტესტების ფორმით, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალის მდგრადობის ნიმუშებში)¹ აჩვენა, რომ მშპ-ს რეალურ ზრდაზე 1.5 სტანდარტული გადახრის სიდიდის მქონე მუდმივი შოკის ზემოქმედება შოკის წარმოშობიდან მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ვალი/მშპ თანაფარდობის საშუალოდ 6,8 პროცენტით ზრდას, პირველად დეფიციტზე 1.5 სტანდარტული გადახრის სიდიდის მქონე შოკი ვალი/ მშპ თანაფარდობას 5,2 პროცენტული პუნქტით ზრდას და იგივე სიდიდის შოკის ზემოქმედება პროცენტულ განაკვეთზე საშუალოდ, ვალი/მშპ-ს შედარებით ნაკლებ ზრდას განაპირობებს. თუმცა, გამოვლინდა, რომ ამ ზომის შოკი გაცილებით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნებში, რომლებიც უპირატესად სესხის მცურავ საპროცენტო განაკვეთს

¹Fiscal Risks-Sources, Disclosure, and Management. IMF, May, 21, 2008. p.11.

იყენებენ. განვითარებად ქვეყნებში კი ვალის დინამიკაზე განსაკუთრებით შესამჩნევი ეფექტი აქვს ეკონომიკური ზრდის დაცემას.

გამოკვლევებმა აჩვენა², რომ გაცვლითი კურსის დაცემის ეფექტი მყისიერია და ძალიან მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ქვეყნის ვალის დიდი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში. განვითარებული, განვითარებადი და მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში რეალური გაცვლითი კურსის 30 პროცენტის გაუფასურება იწვევს ვალი/ მშპ თანაფარდობის 8 პროცენტით ზრდას შოკის მოქმედების წელს და 6,5 პროცენტით ზრდას -მომდევნო ხუთ წელიწადში. მზარდი ეკონომიკების მაგალითზე განხორციელებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 1990-იანი წლებისკრიზისების დროს ვალი/ მშპ თანაფარდობის გაზრდაში მნიშვნელოვანი წილი ეკავა გაცვლითი კურსის დაცემას.

მნიშვნელოვანი ფისკალური ზეგავლენა აქვს სასაქონლო ფასების ცვლილებებს, განსაკუთრებით სასაქონლო პროდუქციის მწარმოებლებისათვის. მაგალითად, ნავთობის ფასების დაცემა 20 დოლარით იწვევს ნავთობის მწარმებელ ქვეყნებში მთლიანი ფისკალური ბალანსის გაუარესებას მშპ-ის 10 პროცენტის შესაბამისი სიდიდით. სასაქონლო ფასების ცვლილებები ზეგავლენას ახდენს საქონლის იმპორტიორების ფისკალურ მდგრადობაზე ეკონომიკური ზრდის მეშვეობით. ასევე, მისი პირდაპირი ზეგავლენა მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ახდენენ ენერჯის სუბსიდირებას.

დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის, სხვა ქვეყნებიდან დახმარებების არათანაბარი რიტმით შემოდინება და ღარიბების გარე შოკებიდან დაცვის საჭიროება სპეციალურ გამოწვევას წარმოადგენს. ამ ტიპის დახმარებებზე დიდად დამოკიდებულ ქვეყნებში ამ ქვეყნის გარედან დახმარებების მიღება უფრო მაღალი მერყეობით ხასიატდება, ვიდრე ფისკალური შემოსავლებისა და ხშირ შემთხვევაში და დახმარებებისა და შემოსავლების უკმარისობა ერთმანეთს ემთხვა, რაც კიდევ უფრო ამწვავებს პრობლემას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ანალიზი მოწმობს, რომ **ფისკალური დანახარჯების ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება პირობითი ვალდებულებები.**

ანალიზის შედეგად გამოვლინდა დანახარჯების ზრდის შემდეგი ძირითადი მიზეზები:

1. **საბანკო კრიზისი.** სისტემური საბანკო კრიზისის ფისკალური დანახარჯების შესახებ ჩატარებულმა გამოკვლევების შედეგად (შერჩევა 117 საბანკო კრიზისის მიხედვით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 93 ქვეყანაში 1977-1998 წლებში) გამოვლენილი იქნა 24 ეპიზოდი, სადაც კომულაციური დანახარჯები

²იქვე, გვ. 12-13.

აღმატებოდა მშპ-ის 5 პროცენტს. ეს დანახარჯები არგენტინის, ჩილესა და ურუგვაიში (1980-იანი წლების დასაწყისში) ამ ქვეყნების მშპ-ის 35-55 პროცენტს, ინდონეზიის, კორეისა და ტაილანდში (1997-1998 წლებში) ამ ქვეყნების მშპ-ის 25-50 პროცენტს დაიაპონიის (1990-იან წლებში) მშპ-ის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენდა. ეს დანახარჯები პირდაპირი დეპოზიტორების ან დებიტორებისათვის დახმარების გაწვის საჭიროებას, ღია ლიკვიდურობის დახმარებისა და განმეორებადი რეკაპიტალიზაციის პროგრამები დაფინანსებას უკავშირდებოდა.

2. **ბუნებრივი კატაკლიზმები.** ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები განვითარებად ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში მშპ-ის 10%-ს აღმატებოდა, ხოლო ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მშპ-ის რამოდენიმე პროცენტულ პუნქტს შეადგენდა. ეს დანაკარგები ხშირად არათანაბრადაა განაწილებული ქვეყნებს შორის, რადგან ბუნებრივი კატაკლიზმები, როგორც წესი, ერთსა და იმავე ზონებში მეორდება. მათი ფისკალური ზეგავლენა მნიშვნელოვანია, თუმცა კვლევის შედეგად შეფასებები მიღებულია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ქვეყნების მაგალითზე. მაგალითად, ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნების მაგალითზე გამოვლინილია ბევრი შემთხვევა, როცა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ ქვეყნების ბიუჯეტების დეფიციტი.
3. **ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება.** ადგილობრივი ხელისუფლების დეფოლტის ან გაკოტრების საფრთხე ხშირად ცენტრალურ ხელისუფლებას აიძულებდა მათ დასახმარებლად ღონისძიებების პაკეტის გატარებას, რაც დიდი მოცულობის დანახარჯებს უკავშირდებოდა. მაგალითად: ამ მიზეზის გამო ჰქონდა ბრაზილიაში ბიუჯეტის დანახარჯები 1993 წელს მშპ-ის 7%-ით გაიზარდა, ხოლო 1997 წელს- მშპ-ის 12 %-ით;
4. **სამართლებრივი მოთხოვნები.** ამ სახის მოთხოვნების ზომის ზუსტი პროგნოზირება ძნელია. მაგალითები მოიცავს სამხედრო მოთხოვნებსა უცხოური ვალუტის გაყინულ დეპოზიტებს(ბოსნია ჰერცეგოვინა, მშპ-ს 12%); სასამართლოს მოთხოვნები შიდა ვალების დაფარვაზე (ჩადი- მშპ-ს 9%), პრივატიზაციასთან დაკავშირებული სარჩელების დაკმაყოფილება (ბრაზილია), დანახარჯები, დაკავშირებული პერსონალის მართვისთვის(ბრაზილია, საფრანგეთი), უძრავი ქონებისა და სხვა ქონების დანაკარგების კომპენსაცია(ლიტვა და პოლონეთი), გადასახადების უკან დაბრუნება(ინდონეზია), ბანკების რესტრუქტურის რეორგანიზაციის გარანტიები(ჩეხეთი), გარემოს გაჯანსაღება(მაგალითად, რაც უკავშირდება თავდაცვას და ატომურ სადგურებს-კანადა და აშშ).
5. **გარანტიები.** გარანტიებიდან გამომდინარე პოტენციური რისკები მნიშვნელოვანია. ეს გარანტიებია: ფასების გარანტიები, სესხების გარანტიები, ან

მოგების გარანტიები. 2002 წლის ბოლოს ეს თანხები იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც აპირებდნენ ევროკავშირის გაერთიანებას შეადგენდა საშუალოდ მშპ-ის 12%-ს(ევრო კომისია, 2004),

6. **საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა.** რისკის ეს წყარო მნიშვნელოვანი გახდა ბევრ განვითარებულ და ზრდად საბაზრო ეკონომიკებში- განსაკუთრებით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და ენერჯეტიკის სფეროში დიდი მოცულობის საინვესტიციო პროექტების გამო, რომლებიც ხშირად ხდება ისეთი ვალდებულებების წარმოსობის წყარო, რაც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშებში. მაგალითად, კონცესიური სესხებისათვის სახელმწიფო გარანტიები, მინიმალური შემოსავლები ან გაცვლითი კურსის დანაკარგები.
7. **პირობითი ვალდებულებები.** პირობითი ვალდებულებების სხვადასხვა ტიპების შეფარდებითი მნიშვნელობა გაიზრდება, რაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რისკის განსაჯაროებისა და მართვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების დროს.

ფისკალურ რისკებზე ინფორმაციის გასაჯაროება ანალიზს დამატებით სიღრმეებს ანიჭებს და უზრუნველყოფს რისკების სრულად შეფასებასა და ოფიციალურად აღიარებას. გამჭვირვალობა ასევე, ხელს უწყობს ადრეულ და თანმიმდევრულ პოლიტიკურ რეაგირებას. ის განამტკიცებს რისკის მართვაზე პასუხისმგებლობას და აუმჯობესებს სახელმწიფოს მიერ რისკის თავის თავზე აღების გადაწყვეტილების ხარისხს. მაშინაც კი, როცა წინასწარ განუსაზღვრელი ხარჯები მაკროეკონომიკური თვალსაზრისით გულისხმობს დაბალ რისკს -ან იმის გამო, რომ მცირე ზომისაა ან არ არის კორელაციაში-გასაჯაროება იწვევს დანახარჯების ეფექტიანობის უფრო ყურადღებით შეფასებას და არაცხადი სუბსიდიების შემოწმებასა და კონტროლს.

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფისკალური გამჭვირვალობა ასოცირდება უკეთეს საკრედიტო რეიტინგთან და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებთან უფრო უკეთეს მისაწვდომობასთან. უფრო მეტიც, დადგინდა, რომ ფისკალური გამჭვირვალობა სტიმულს აძლევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

მსოფლიოში შეინიშნება ფისკალური ინფორმაციის გასაჯაროების ტენდენციები, რაც გამოწვეულია საერთაშორისო საბუღალტრო და სტატისტიკური სტანდარტების მოთხოვნით რისკების გასაჯაროების შესახებ. ასევე, ფისკალური ვალდებულებებისა და საჯარო ფინანსების მართვის კანონმდებლობის დამტკიცებით, რაც აუმჯობესებს გასაჯაროებას ამ სტანდარტების მიხედვით; ასევე, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის ისეთი ახალი ინიციატივები, როგორებიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ფისკალური გამჭვირვალობის კარგი პრაქტიკის კოდი და წელიდწლეული“, (2001, 2007), და ეკონომიკური თანამშრომლობისა და კოოპერირების ორგანიზაციის-

„საბიუჯეტო გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკა“(2001). ეს ახალი ინიციატივების მოთხოვნების შესაბამისად ბიუჯეტის ნახევარწლიურ და წლიური ანგარიშებში უნდა მოცემული იყოს ძირითადი რისკები, და მასში მოცემული უნდა იყოს ანგარიშები, რომლებიც გვიჩვენებენ პირობითი ვალდებულებების ბუნებასა და შესაბამისი პოლიტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და გათვალისწინებულ ბენეფიციარებს, მიღებულ საგარანტიო შენატანებს, სახელმწიფოსთან შეხებას სრულად და სადაც შესაძლებელია, პოტენციური საბიუჯეტო დანახარჯების შეფასებას.

ფისკალური გამჭვირვალობის ინდიკატორები მუშავდება სტანდარტებისა და კოდების მოხსენების ფისკალური გამჭვირვალობის მოდულის მიხედვით. „ყოვლისმომცველი ფისკალური გამჭვირვალობა“ ემყარება ფისკალური გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკის 20 მახასიათებელს. უფრო ვიწრო საზომი (ფისკალური რისკის საზომი) ემყარება შემდეგი ასპექტების-პირობითი ვალდებულებების, კვაზი-ფისკალური საქმიანობებისა და სხვა სახის ფისკალური რისკების- გასაჯაროებას საბიუჯეტო დოკუმენტაციაში. სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების საფუძველზე აგებული რეგრესიები გვიჩვენებს, რომ ფისკალური გამჭვირვალობის ეს ცვლადები პოზიტიურ კავშირშია სუვერენულ რეიტინგებთან (რომელზეც ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლი, ინფლაცია, დეფოლტის ისტორია და პოლიტიკური სტაბილურობა). აღია. ამ ორივე ცვლადზე ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის გათვალისწინებით და მათ შორის კავშირის შესწავლის შედეგად მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ქვეყნები, რომლებიც იცვლებიან პოზიციას მაკრო-ფისკალური რისკების, პირობითი ვალდებულებების ან კვაზი-ფისკალური ვალდებულებების გაუსაჯაროებიდან რაღაც დონით ინფორმაციის გასაჯაროების მიმართულებით, ყველა ამ კომპონენტის მიხედვით, იუმჯობესებენ საკრედიტო რეიტინგებს, საშუალოდ ერთი დონით მაინც (მაგალითად, გადავლენ Baa1-დან A3-ზე მუდის რეიტინგში).

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი(*)

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარების მთავარი მიზანია, შეფასდეს მთავრობის შესაძლებლობა მოემსახუროს ვალდებულებებს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ვალის მდგრადობის ანალიზი მნიშვნელოვანია საბიუჯეტო გამჭვირვალობის და ეფექტური საჯარო ფინანსების მართვის თვალსაზრისით. ანალიზი ეფუძნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მეთოდოლოგიას და მოდიფიცირებულია ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

¹ მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი მოიცავს სხვადასხვა შესაძლო რისკ ფაქტორების შეფასებას და მათ გავლენას მთავრობის ვალის პორტფელზე, ეხმარება მთავრობას წინსწრებით მოახდინოს შესაძლებელი ნეგატიური ფაქტორებიდან გამოწვეული შედეგების იდენტიფიცირება და შეიმუშაოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზში გამოყენებულია საბაზისო და ალტერნატიული (ნეგატიური) სცენარები და ამ სცენარებისთვის დაშვებები სხვადასხვა მაკროეკონომიკურ და

ფისკალურ ცვლადებზე - რეალური მშპ-ს ზრდა, ინფლაცია, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთები, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სხვა.

მოცემულ ანალიზში, საბაზისო სცენარი წარმოადგენს, ეკონომიკური განვითარების იმ მოსალოდნელ ვარიანტს, რომლის მოხდენის ალბათობაც საშუალოვადიან პერიოდში ყველაზე მაღალია. შესაბამისად, აღნიშნული სცენარის საფუძველზე ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა.

ალტერნატიულ სცენარებში, ხდება სხვადასხვა სიდიდის მაკროეკონომიკური და ფისკალური შოკების (რეალური მშპ-ს ზრდის შოკი², რეალური საპროცენტო განაკვეთის შოკი³, სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის შოკი⁴, ნომინალური გაცვლითი კურსის შოკი⁵ და კომბინირებული შოკი⁶) გათვალისწინებით სტრეს ტესტების ჩატარება და მათი გავლენის შეფასება მთავრობის ვალის მდგრადობაზე.

1 მეთოდოლოგია მოცემული შემდეგ ბმულზე: <https://www.imf.org/external/np/pp/eng/2005/070105.pdf>

2 საბაზისო სცენარს გამოკლებული გასული 10 წლის მონაცემების 1 სტანდარტული გადახრა. შოკები გამოყენებულია 2018-2019 წლებისთვის, ხოლო 2020-2024 წლებისთვის აღებულია საბაზისო სცენარი. მოცემულ სცენარში არ არის გამოყენებული პერმანენტული შოკი, რადგან რეალური მშპ-ს ზრდის პერმანენტული შოკის პირობებში მთავრობის ვალი, მსგავსად თითქმის ყველა სხვა ქვეყნის მთავრობის ვალისა, არის არასტაბილური. ამასთანავე, გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკა იზრდება პოტენციური ზრდით. დღეის მდგომარეობით, არ არსებობს საფუძველი საქართველოს გრძელვადიანი პოტენციური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის შემცირების. ამას ისიც ემატება, რომ დღევანდელ საბაზისო სცენარში რეალური ეკონომიკური ზრდა არის პოტენციურ ზრდაზე ქვევით.

3 საბაზისო სცენარს დამატებული გასული 10 წლის მონაცემების 1/2 სტანდარტული გადახრა. შოკები გამოყენებულია 2018-2021 წლებისთვის.

4 საბაზისო სცენარს დამატებული გასული 10 წლის მონაცემების 1/2 სტანდარტული გადახრა. შოკები გამოყენებულია 2018-2021 წლებისთვის.

5 ლარის დოლართან ნომინალური გაცვლითი კურსის ერთჯერადი გაუფასურება 2018 წელს 30%-ით.

6 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის და რეალური საპროცენტო განაკვეთის საბაზისო სცენარიდან გადახრა 1 სტანდარტული გადახრით

გამოყენებული ცვლადების სიდიდეები საბაზისო სცენარისთვის

ცვლადები	10 წლის საშუალო	სტანდარტული გადახრა	2018	2019	2020	2021
საშუალო რეალური საპროცენტო განაკვეთი მთავრობის ვალზე (ნომინალურ განაკვეთს გამოკლებული მშპ დეფლატორი, %)	-2.4	4.2	-0,1	0,4	0,4	0,2
რეალური მშპ-ს ზრდა (%)	5.1	4.2	4,5	5,0	5,5	6,0
პირველადი დეფიციტი (%-ად მშპ-თან)	3.7	1.9	2,3	1,8	1,5	1,5
ლარის ნომინალური გამყარება პროცენტებში (აშშ დოლარი ერთ ლარში)			0,0	0,0	0,0	0,0

გამოყენებული ცვლადების სიდიდეები ალტერნატიული სცენარებისთვის


ცვლადები	10 წლის საშუალო	სტანდარტული გადახრა	2018	2019	2020	2021
საშუალო რეალური საპროცენტო განაკვეთი მთავრობის ვალზე (ნომინალურ განაკვეთს გამოკლებული მშპ დეფლატორი, %)	-2.4	4.2	2,0	2,5	2,5	2,3
რეალური მშპ-ს ზრდა (%)	5.1	4.2	0,3	0,8	5,5	6,0
პირველადი დეფიციტი (%-ად მშპ-თან)	3.7	1.9	3,3	2,8	2,5	2,4
ლარის ნომინალური გამყარება პროცენტებში (აშშ დოლარი ერთ ლარში)			-30,0	0,0	0,0	0,0

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის შეფასებისას გამოყენებული შოკების შედეგები (იხ. დიაგრამები) იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. ყველა სცენარის მიხედვით, მთავრობის ვალი მშპ-თან მიმართებაში იზრდება, მაგრამ სტაბილურად ინარჩუნებს კლებად ტენდენციას. აღსანიშნავია, რომ არცერთი სცენარის შემთხვევაში მთავრობის ვალი, მშპ-თან მიმართებაში, არ აღწევს კრიტიკულ ზღვარს⁷

⁷ ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრულ მაჩვენებელს (60% მშპ-თან მიმართებაში).

მთავრობის ვალის მდგრადობა-შოკ ტესტების მიხედვით (რეალისტური სცენარის მიხედვით).

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის დიაგრამები (მთავრობის ვალი %-ად მშპ-თან)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო: ვალის მდგრადობის ანალიზი.

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი, 2018-2024 (პროცენტულად მშპ-თან, თუ სხვა არ არის მითითებული)

	ფაქტი											პროგნოზი			
	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024		
საბაზისო სცენარი*															
1 მთავრობის ვალი1/ მათ შორის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული	34.8	34.7	35.7	41.4	44.6	42.9	44.8	44.5	43.7	42.5	41.6	40.4	39.0		
2 ცვლილება მთავრობის ვალში	-1.7	-0.1	1.0	5.8	3.1	-1.7	1.9	-0.3	-0.9	-1.2	-0.9	-1.2	-1.4		
3 ვალის ზრდის იდენტიფიცირებული კომპონენტები (4+7+12)	-0.5	1.3	2.6	7.4	3.1	-1.7	1.9	-0.3	-0.9	-1.2	-0.9	-1.2	-1.4		
4 პირველადი დეფიციტი	1.8	1.7	2.4	2.7	2.9	2.7	2.3	1.8	1.5	1.5	1.0	0.7	0.5		
5 მთლიანი შემოსავლები და გრანტები	28.9	27.7	27.9	28.2	28.5	28.7	27.9	27.6	27.2	26.8	26.8	26.8	26.8		
6 მთლიანი დანახარებები (საპროცენტო ხარჯის გარეშე)	30.7	29.4	30.2	30.9	31.4	31.4	30.2	29.5	28.7	28.3	27.8	27.6	27.3		
7 ვალის ავტომატური დინამიკა 2/	-1.8	1.3	0.0	5.4	1.1	-3.8	0.2	-2.0	-2.1	-2.4	-1.9	-1.9	-1.8		
8 რეალური საპროცენტო განაკვეთის/რეალური მშპ-ს ზრდის კონტრიბუცია 3/	-1.6	0.0	-1.9	-2.0	-1.5	-1.9	-1.9	-2.0	-2.1	-2.4	-1.9	-1.9	-1.8		
9 რეალური საპროცენტო განაკვეთის კონტრიბუცია	0.5	1.1	-0.4	-1.1	-0.4	-0.3	-0.1	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0		
10 რეალური მშპ-ს ზრდის კონტრიბუცია	-2.2	-1.1	-1.5	-0.9	-1.1	-1.6	-1.8	-2.1	-2.3	-2.4	-2.0	-1.9	-1.9		
11 გაცვლითი კურსის გაუფასურების კონტრიბუცია 4/ მნიშვნელი = 1+g+p+gp	-0.2	1.3	1.9	7.4	2.6	-1.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
12 ვალის ზრდის სხვა იდენტიფიცირებული კომპონენტები	1.1	1.0	1.1	1.1	1.1	1.1	1.1	1.1	1.1	1.1	1.1	1.1	1.1		
13 პრივატიზაცია (მისუს ნიშნით) და სხვა რესურსების გამოყენება	-0.5	-1.7	0.3	-0.7	-0.8	-0.5	-0.6	-0.2	-0.2	-0.2	0.0	0.0	0.0		
14 პირობითი ვალდებულებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
15 სხვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
16 გამსხვიება (2-3)	-1.2	-1.5	-1.7	-1.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		

	ფაქტი											პროგნოზი			
	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024		
საბაზისო სცენარი*															
სცენარი 1. რეალური საპროცენტო განაკვეთის შოკი	34.8	34.7	35.7	41.4	43.9	42.9	45.7	46.3	46.2	45.7	44.7	43.4	41.9		
სცენარი 2. რეალური მშპ-ს ზრდის შოკი	34.8	34.7	35.7	41.4	43.9	42.9	47.8	51.8	50.4	48.7	47.4	45.9	44.2		
სცენარი 3. პირველადი დეფიციტის შოკი	34.8	34.7	35.7	41.4	43.9	42.9	45.8	46.4	46.4	46.1	45.0	43.7	42.1		
სცენარი 4. ნომინალური გაცვლითი კურსის შოკი	34.8	34.7	35.7	41.4	43.9	42.9	56.3	55.5	54.1	52.3	50.9	49.4	47.6		
სცენარი 5. კომბინირებული შოკი	34.8	34.7	35.7	41.4	43.9	42.9	48.5	48.0	46.9	45.5	44.4	43.0	41.5		
ბირთვითი მაკროეკონომიკური და ფისკალური დაშვებები															
რეალური მშპ-ს ზრდა (%)	6.4	3.3	4.6	2.9	2.7	4.0	4.5	5.0	5.5	6.0	5.0	5.0	5.0		
სამუდამო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მთავრობის ვალზე (%) 5/	2.9	2.5	2.6	2.8	2.9	3.5	3.4	3.4	3.4	3.2	3.2	3.2	3.2		
სამუდამო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%) 5/	1.9	1.8	1.8	1.7	1.7	2.3	2.2	2.1	2.0	1.6	1.7	1.6	1.6		
საპროცენტო განაკვეთის გამოკლებული მშპ დეფლატორი, %	1.6	3.2	-1.2	-2.9	-1.0	-0.5	-0.1	0.4	0.4	0.2	0.2	0.2	0.2		
გაცვლითი კურსი (ლარი ერთ აშშ დოლარში)	1.7	1.7	1.9	2.4	2.6	2.5	2.5	2.5	2.5	2.5	2.5	2.5	2.5		
ლარის ნომინალური გაუმჯობესება (აშშ დოლარი ერთ ლარში)	-0.6	4.8	7.4	29.4	10.5	-6.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
გაცვლითი კურსი (აშშ დოლარი ერთ ლარში)	0.6	0.6	0.5	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4		
ლარის ნომინალური გაუმჯობესება (აშშ დოლარი ერთ ლარში)	0.6	-4.6	-6.9	-22.7	-9.5	6.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
ინფლაცია (მშპ დეფლატორი, %)	1.2	-0.7	3.8	5.9	4.0	4.0	3.5	3.0	3.0	3.0	3.0	3.0	3.0		
რეალური პირველადი დანახარების ზრდა (დეფლირებული მშპ-ს დეფლატორით, %)	6.4	-1.1	7.4	5.1	4.5	3.8	0.7	2.4	2.8	4.5	3.3	4.0	4.0		
პირველადი დეფიციტი	1.8	1.7	2.4	2.7	2.9	2.7	2.3	1.8	1.5	1.5	1.0	0.7	0.5		

1/ მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს


2/ მიღებულია, როგორც $[(r - p(1+g) - g + ae(1+r))/(1+g+p+gp)]$ -ჯერ გასული პერიოდის ვალის თანაფარდობა ნომინალურ მშპ-თან, სადაც r = რეალური საპროცენტო განაკვეთი; p = მშპ-ს დეფლატორის ზრდის განაკვეთი; g = რეალური მშპ-ს ზრდა; a = უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთავრობის ვალის წილი მთლიან მთავრობის ვალში; და e = ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურებას (დათვლილია როგორც ლარის ღირებულების ზრდა აშშ დოლართან მიმართებაში)

3/ რეალური საპროცენტო განაკვეთის წვლილი მიღებულია მე-2-ე სქოლიოდან, როგორც $r - \pi(1+g)$ და რეალური ზრდის წვლილი მიღებულია როგორც $-g$.

4/ გაცვლითი კურსის კონტრიბუცია მიღებულია ასევე მე-2-ე სქოლიოდან, როგორც $ae(1+r)$.

5/ მიღებულია მთავრობის ვალის ნომინალური საპროცენტო ხარჯის გაყოფით გასული პერიოდის ვალის ნაშთზე.

მთავრობის ვალის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები (%-ად მშპ-თან), საბაზისო სცენარი.



წყარო(**): ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ვალის მდგრადობის ანალიზის დანართი. თბილისი, 2017.

კითხვები

1.რა მიზნით გამოიყოფა სახსრები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ?

2. რა გზით შეიძლება ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაში ასიგნებების გადანაწილება?

3. მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების რამდენ პროცენტს არ უნდა რემატებოდეს მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება?

4. . საქართველოს საბიუჯეტო პროცესის რომელი ძირითადი პრინციპია:“ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა“

5. რომელი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას არ ექვემდებარებასაქართველოს ნაერთი ბიუჯეტი:

6.რა არის ნაშთი?

7. რა არის თავისუფალი ნაშთი?

8. რა არის ნაშთის ცვლილება?

9.რა არის პროგრამა?

პასუხი:

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია:მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება მხოლოდ ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისათვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება.

10. რა ეტაპებს მოიცავს საბიუჯეტო პროცესი?

11.რა არის პროგრამა?

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისათვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება, განმარტებულია როგორც:

12. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის ვინ არის პასუხისმგებელი?:

13. . საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ვინ ამტკიცებს საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა პროგრამულისა?

საქართველოს ფინანსთა მინისტრი საქართველოს აუდიტის სამსახურთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო- საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე

14 ვინ ამტკიცებს .პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას საქართველოს პარლამენტის საფინანსო- საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით?

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

15. ვინ ითანხმებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას?:

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

16.რა არ მიეკთვნება ბიუჯეტის შემოსულობებს?:

17. ბიუჯეტის გადასახდელებია:

18. ბიუჯეტის გადასახდელებს არ მიეკუთვნება:

19.რა არის ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა?

20.რა არის ბიუჯეტის მთლიანი სალდო?

21.რა არის ბიუჯეტის დეფიციტი?:

22. .რა არის ბიუჯეტის პროფიციტი ?

23. საბიუჯეტო წლის დაწყებამდე წლიური ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ბიუჯეტის დამტკიცებამდე მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად შეიძლება გაიცეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების არაუმეტეს რა სიდიდისა?(იხ საბიუჯეტო კოდექსი)

24. სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე, სსიპ და აიპ-ის ბიუჯეტები სრულდება:

საკასო მეთოდით

25. რა დოკუმენტი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის?

26. ვინ არის პასუხისმგებელი სახელმწიფო ვალის მართვაზე?

27. ვინ იღებს გადაწყვეტილებებს დადგენილი წესით წლიური ბიუჯეტითა და სხვა ნორმატიული ნაქტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ ?

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

28.საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახადებს მიეკუთვნება:

(იხ საბიუჯეტო კოდექსი)

29. რას არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების ჯამური მოცულობა?

(საბიუჯეტო კოდექსი)

30.თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 ათასს ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, თანხის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილია....

31. საქართველოს საბიუჯეტო პროცესის რომელი ძირითადი პრინციპია: “ ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში:

32. მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების რამდენ პროცენტს?

33.რა შემტხვევაში შეიძლება ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაში ასიგნებების გადანაწილება?

34. . ვისი თანხმობით შეიზლება მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება?

35. ვინ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად?

36. რა მიეკუთვნება სხვა შემოსავლებს?:

პასუხი:

პროცენტებიდან, დივიდენდებიდან , რენტიდან, სანქციებიდან, ჯარიმებიდან, საურავებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელიდან და მომსახურებიდან, ჰუმანიტარული დახმარებიდან და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებული სახსრები

37. საქართველოს საბიუჯეტო პროცესის რომელი ძირითადი პრინციპია:“ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა“?

38. საქართველოს საბიუჯეტო პროცესის რომელი ძირითადი პრინციპია:“ ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში“?:

39. მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების:რამდენ პროცენტს?

40. რომელი არ მიეკუთვნება საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითად პრინციპებს?

41 საქართველოს საბიუჯეტო პროცესის რომელი ძირითადი პრინციპია:“ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა“

42. რომელი არ მიეკუთვნება საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითად პრინციპებს?

ტესტების ნიმუშები:

1. ბიუჯეტის გამჭვირვალობა არის:

ა. ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში.

ბ. ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და წარდგენილ ინფორმაციაზე.

გ. ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა.

დ. წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

2. ყოვლისმომცველობა არის:

ა. ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში.

ბ. ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და წარდგენილ ინფორმაციაზე.

გ. ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა.

დ. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა.

3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება:

ა. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებას.

ბ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

გ. არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

დ. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ნაშთი, ესაა შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული

ა. ფულადი სახსრების ცვლილება.

ბ. ფულადი სახსრები.

გ. ფულადი სახსრების გამოყენება.

დ. ფულადი სახსრების დაგროვება.

5. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, თავისუფალი ნაშთი ნაშთის ის ნაწილია,

ა. რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნისათვის.

ბ. რომელიც ირიცხება სარეზერვო ფონდებში.

გ. რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის.

დ. რომელსაც დამოუკიდებლად განკარგავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

6. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ნაშთის ცვლილება ესაა:

ა. შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების მხოლოდ გამოყენება.

ბ. შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების მხოლოდ დაგროვება.

გ. შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება.

დ. ყველა პასუხი სწორია.

7. პროგრამა, ესაა ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია:

ა. მსგავსი შინაარსის მიხედვით, მაგრამ ხორციელდება სხვადასხვა საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ბ. მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

გ. განსხვავებული შინაარსის მიხედვით და მათი რეალიზაცია მიმართულია ერთი საბოლოო შედეგის მიღწევაზე.

დ. განსხვავებული შინაარსის მიხედვით და არაა გათვალისწინებული ერთი საბოლოო შედეგის მიღწევა.

8. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია:

ა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ბ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი.

გ. საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი.

დ. საქართველოს მთავრობა.

9. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს

ა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

ბ. სახელმწიფო ხაზინის უფროსი;

გ. საქართველოს პრეზიდენტი;

დ. საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

10. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებს არ მიეკუთვნება

1. შემოსავლები;

2. არაფინანსური აქტივების კლება;

3. **ფინანსური აქტივების ზრდა;**

4. ვალდებულებების ზრდა (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

11. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის გადასახდელებს არ მიეკუთვნება:

ა. ხარჯები;

ბ. არფინანსური აქტივების კლება.

გ. ფინანსური აქტივების ზრდა;

დ.

ვალდებულებების კლება (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისთვის მიმართული სახსრები).

12. ბიუჯეტის შემოსულობები არის:

ა. მთავრობის მთლიანი საფინანსო რესურსი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მას საბიუჯეტო წელს.

ბ. მთავრობის მთლიანი საფინანსო რესურსის ნაწილი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მას საბიუჯეტო წელს.

გ. არც ერთი პასუხი არაა სწორი.

13. ბიუჯეტის მთლიანი სალდო არის:

ა. ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა.

ბ. ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის სხვაობა.

გ. ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა.

დ. ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და ფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა.

14. სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამულ მეთოდზე საქართველო გადავიდა:

1. 2009 წლიდან;
2. 2010 წლიდან;
3. 2011 წლიდან;
4. **2012 წლიდან.**

15. ადგილობრივი თვითმმართველობები ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამულ მეთოდზე საქართველო გადავიდა:

1. 2015 წლიდან;
2. 2014 წლიდან;
3. **2013 წლიდან;**
4. 2016 წლიდან.

16. საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს მიეკუთვნება:

- ა. საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
- ბ. საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
- გ. პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები
- დ. **არცერთი პასუხი არაა სრული**

17. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახადებია:

- ა. საშემოსავლო და მოგების გადასახადები
- ბ. საშემოსავლო, მოგებისა და დღგ გადასახადები
- გ. საშემოსავლო, მოგების, დღგ გადასახადები და აქციზი
- დ. **საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი.**

18. შემოსავლების სტრუქტურაში გამოიყოფა:

- ა. გადასახადები
- ბ. გადასახადები და გრანტები
- გ. **გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები**
- დ. არცერთი პასუხი არაა სრული.

19. სხვა შემოსავლებს მიეკუთვნება:

- ა. პროცენტებიდან, დივიდენდებიდან და რენტებიდან მიღებული სახსრები
- ბ. პროცენტებიდან, დივიდენდებიდან, რენტებიდან, სანქციებიდან, ჯარიმებიდან, საურავებიდან და ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან მიღებული სახსრები
- გ. პროცენტებიდან, დივიდენდებიდან, რენტებიდან, სანქციებიდან, ჯარიმებიდან, საურავებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელიდან და მომსახურებიდან, ჰუმანიტარული დახმარებიდან და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებული სახსრები

დ. არცერთი პასუხი არაა სრული.

20. ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციის მუხლებია:

ა. შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი და სუბსიდიები.

ბ. შრომის ანაზღაურება და სოციალური უზრუნველყოფა

გ. შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოცუზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

დ. არც ერთი პასუხი არაა სრული.

21. ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მუხლებია:

ა. შრომის ანაზღაურების, საქონელისა და მომსახურებისა და პროცენტის მუხლები

ბ. სუბსიდიებისა და გრანტების მუხლები

გ. შრომის ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის მუხლები

დ. გარემოს დაცვის, თავდაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მუხლები.

22. ასიგნებები არის:

ა.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში იგადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

ბ. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები მხოლოდ;

გ. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთოსახელმწიფოებრივი გადასახდელები მხოლოდ;

დ. არცერთი პასუხი არაა სწორი.

23. გამოითვალეთ საოპერაციო სალდო შემდეგი მონაცემების მიხედვით: შემოსავლები- 9 489 460 ათასი ლარი, ხარჯები-9 121 225 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ცვლილება- 909 041 ათასი ლარი.

ა). მინუს 540 806 ათასი ლარი. ბ). 368 235 ათასი ლარი, გ) ნ. 0. დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

24. გამოითვალეთ ბიუჯეტის მთლიანი სალდო, შემდეგი მონაცემების მიხედვით: მიხედვით: შემოსავლები- 9 489 460 ათასი ლარი, ხარჯები-9 121 225 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ცვლილება- 909 041.

ა). მინუს 540 806 ათასი ლარი. ბ). 368 235 ათასი ლარი, გ) ნ. 0. დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

25. გამოითვალეთ ნაშთი, შემდეგი მონაცემების მიხედვით: შემოსულობები-11 457 175 ათასი ლარი, შემოსავლები-9 489 460 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება- 90 000 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლება- 85 000 ათასი ლარი, ვალდებულებების ზრდა-1 792 715 ათასი ლარი, გადასახდელები- 11 415 475 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა -

999 041 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების ზრდა-769 022 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება- 526 187 ათასი ლარი.

ა). 368 235 ათასი ლარი ბ). მინუს 540 806 ათასი ლარი გ). **41 700 ათასი ლარი**, დ) 0.

26. გადასახდელების წესი

ა. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს.

ბ. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს.

გ. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

დ. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

27. ბალანსის წესი

ა. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ში არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს.

ბ. ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ში არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს.

გ. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

დ. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

28. სახელმწიფო ვალის წესი:

ა. სახელმწიფო ვალი მშპ-ში არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

ბ. მთავრობის ვალი მშპ-ში არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

გ. მხოლოს სახელმწიფოს საგარეო ვალი მშპ-ში არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

დ. სახელმწიფო ვალი მშპ-სი არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს.

29. შემოსავლების წესი

ა. ორგანული კანონი“ ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კრძალავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის გაზრდას.

ბ. ორგანული კანონი“ ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კრძალავს მხოლოდ საშემოსავლო და მოგების გადასახადის გაზრდას.

გ. ორგანული კანონი“ ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კრძალავს გადასახადების გაზრდას, გარდა აქციზისა.

დ. ორგანული კანონი“ ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კრძალავს გადასახადების გაზრდას.

30. ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციაში პროცენტი არის:

ა. სახელმწიფოს მიერ გაცემულ სესხებზე მიღებული პროცენტი.

ბ. სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალზე პროცენტის გადახდა.

გ. სახელმწიფოს მიერ გაცემულ სესხებზე მიღებულ პროცენტსა და სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალზე გაცემულ პროცენტსა შორის სხვაობა.

დ. ა. და ბ. პასუხები სწორია.

1. ანგარიშვალდებულება არის:

ა. ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში.

ბ. ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და წარდგენილ ინფორმაციაზე.

გ. ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა.

დ. წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

2. საქართველოს სახელმწიფო ვალი არის:

ა. მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალი

ბ. სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების ჯამი

გ. მხოლოდ საქართველოს საგარეო ვალი

დ. ა) და ბ) პასუხები სწორია

3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავი დაწესებულებებისატვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების

ა. 5%-ს

ბ. 4%-ს

გ. 2%-ს

დ. 3%-ს.

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, თუ გამოსაყოფი თანხა არ აღემატება

1. 150 000 ლარს;

2. 250 000 ლარს;

3. 100 000 ლარს;

4. 200 000 ლარს.

5. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების

ა. 3%-ს

- ბ. 4%-ს
- გ. 5%-ს
- დ. 2%-ს.

1. დამოუკიდებლობა არის:

ა. ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში.

ბ. ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და წარდგენილ ინფორმაციაზე.

გ. ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა.

დ. წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

2. სახელმწიფო ერთეულის მიერ კერძო საწარმოზე გადაცემული მიმდინარე ტრანსფერი განიხილება, როგორც:

- ა. სუბსიდია
- ბ. სუბვენცია
- გ. გრანტი
- დ. სხვა მიმდინარე ხარჯები

3. საქართველოს სახელმწიფო ვალი არის:

- ა. მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალი
- ბ. სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების ჯამი
- გ. მხოლოდ საქართველოს საგარეო ვალი
- დ. ა) და ბ) პასუხები სწორია

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, თუ გამოსაყოფი თანხა არ აღემატება

- 1. 150 000 ლარს;
- 2. 250 000 ლარს;
- 3. 100 000 ლარს;
- 4. 200 000 ლარს.

5. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების

- ა. 3%-ს
- ბ. 4%-ს
- გ. 5%-ს
- დ. 2%-ს.

1. ერთიანობა არის:

ა. ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში.

ბ. ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და წარდგენილ ინფორმაციაზე.

გ. ერთიანი კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსების კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის

დ. წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

2. სახელმწიფო ერთეულის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციაზე გადაცემული ტრანსფერი განიხილება, როგორც:

ა. სუბსიდია

ბ. სუბვენცია

გ. გრანტი

დ. არც ერთი პასუხი არაა სწორი

3. საქართველოს სახელმწიფო ვალი არის:

ა. მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალი

ბ. სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების ჯამი

გ. მხოლოდ საქართველოს საგარეო ვალი

დ. ა) და ბ) პასუხები სწორია

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდ იდანთანხის გამოყოფის თაობაზე, თუ გამოსაყოფი თანხა არ აღემატება

1. 150 000 ლარს;

2. 250 000 ლარს;

3. 100 000 ლარს;

4. 200 000 ლარს.

5. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების

ა. 3%-ს

ბ. 4%-ს

გ. 5%-ს

დ. 2%-ს.

1. უნივერსალობა არის:

ა. ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში.

ბ. ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და წარდგენილ ინფორმაციაზე.

გ. ერთიანი კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსების კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის

დ. ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად.

2. სახელმწიფო ერთეულის მიერ კერძო საწარმოზე გადაცემული მიმდინარე ტრანსფერი განიხილება, როგორც:

ა. სუბსიდია

ბ. სუბვენცია

გ. გრანტი

დ. სხვა მიმდინარე ხარჯები

3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების

ა. 5%-ს

ბ. 4%-ს

გ. **2%-ს**

დ. 3%-ს.

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, თუ გამოსაყოფი თანხა არ აღემატება

1. 150 000 ლარს;

2. 250 000 ლარს;

3. **100 000 ლარს;**

4. 200 000 ლარს.

5. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების

ა. 3%-ს

ბ. 4%-ს

გ. 5%-ს

დ. **2%-ს.**

1. კონსოლიდირება არის:

ა. ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში.

ბ. ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და წარდგენილ ინფორმაციაზე.

გ. ერთიანი კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსების კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის

დ. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა

2. სახელმწიფო ერთეულის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციაზე გადაცემული ტრანსფერი განიხილება, როგორც:

ა. სუბსიდია

ბ. სუბვენცია

გ. გრანტი

დ. არც ერთი პასუხი არაა სწორი

3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების

ა. 5%-ს

ბ. 4%-ს

გ. 2%-ს

დ. 3%-ს.

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, თუ გამოსაყოფი თანხა არ აღემატება

1. 150 000 ლარს;

2. 250 000 ლარს;

3. 100 000 ლარს;

4. 200 000 ლარს.

5. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების

ა. 3%-ს

ბ. 4%-ს

გ. 5%-ს

დ. 2%-ს.

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, თუ გამოსაყოფი თანხა არ აღემატება

1. 150 000 ლარს;
2. 250 000 ლარს;
- 3. 100 000 ლარს;**
4. 200 000 ლარს.

2. საქართველოს სახელმწიფო ვალი არის:

- ა. მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალი
- ბ. სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების ჯამი
- გ. მხოლოდ საქართველოს საგარეო ვალი
- დ. ა) და ბ) პასუხები სწორია**

3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების

- ა. 5%-ს
- ბ. 4%-ს
- გ. 2%-ს**
- დ. 3%-ს.

4. სახელმწიფო ერთეულის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციაზე გადაცემული ტრანსფერი განიხილება, როგორც:

- ა. სუბსიდია
- ბ. სუბვენცია
- გ. გრანტი**
- დ. არც ერთი პასუხი არაა სწორი

5. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების

- ა. 3%-ს
- ბ. 4%-ს
- გ. 5%-ს
- დ. 2%-ს.**

1. კონსოლიდირება არის:

- ა. საბიუჯეტო სისტემის აგების წესი
- ბ. საბიუჯეტო სისტემის აგების კანონი
- გ. საბიუჯეტო სისტემის აგების პრინციპი**
- დ. არცერთი არაა სწორი.

2. საქართველოს სახელმწიფო ვალი არის:

- ა. მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალი
- ბ. სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების ჯამი
- გ. მხოლოდ საქართველოს საგარეო ვალი
- დ. ა) და ბ) პასუხები სწორია

3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების

- ა. 5%-ს
- ბ. 4%-ს
- გ. **2%-ს**
- დ. 3%-ს.

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, თუ გამოსყოფილი თანხა არ აღემატება

- 1. 150 000 ლარს;
- 2. 250 000 ლარს;
- 3. **100 000 ლარს;**
- 4. 200 000 ლარს.

5. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების

- ა. 3%-ს
- ბ. 4%-ს
- გ. 5%-ს
- დ. **2%-ს.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.თბილისი, 1995 წელი.
2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.2012 წელი.
3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. თბილისი, 2009 წელი.
4. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ქუთაისი, 2014.
5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2009-2017 წწ კანონები.
6. საქართველოს კანონი :“საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 2017 წელი.
7. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011 წელი
8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #672. „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, 2010 წელის 25 აგვისტო.
9. საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მოქალაქის გზამკვლევი, ფინანსთა სამინისტრო, 2017 წელი
10. საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მოქალაქის გზამკვლევი, ფინანსთა სამინისტრო, 2016 წელი
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება „პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“
12. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო, 2001, (ქართულ ენაზე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
13. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა. სახელმძღვანელო პარლამენტის წევრებისათვის. PMCG, თბილისი, 2013.
14. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, სახელმძღვანელო პარლამენტის წევრებისათვის. თბილისი, 2013.
15. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, „რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, ცნობარი მოქალაქეებისათვის, გამოცემულია: 1998,1999, 2000, 2002 წწ., გამომცემლობა ეტრეტი, თბილისი.
16. სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში.სახელმძღვანელო, მე-2 ნაწილი, თსუ.2016 წელი.
17. მარინა მუჩიაშვილი, სიმონ გელაშვილი, ირინე მაისურაძე. მაკროეკონომიკური სტატისტიკის სახელმძღვანელო, თბილისი, 2012 წელი
18. საბიუჯეტი კლასიფიკაციის სახელმძღვანელო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბილისი, 2007.
19. ნაირა ყირიმიშვილი, ფინანსები, თბილისი, 2005 წელი.
20. ლილი გვენეტაძე, ფინანსების ზოგადი თეორია, თბილისი, 2007 წელი.
21. საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პროცესი და ბიუჯეტის ხარჯების მონიტორინგი, გზამკვლევი, თბილისი, 2015 წელი.

22. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევა „საგადასახადო შემოსავლების ანალიზი“. თბილისი, 2016.
23. მარინა მუჩიაშვილი. ფისკალური მდგრადობა და მისი შეფასების ინდიკატორები. „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და სტატისტიკა“ თბილისი, 2014. გვ.350-354.
24. მ. მუჩიაშვილი (თანაავტორი) , „საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის სტატისტიკური ანალიზი“. უკრაინის მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. კიევი, 2018, 19-20 აპრილი(ინგლისურ ენაზე).
25. თამარ ჩაფიძე, „საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ანალიზი“ (სამაგისტრო ნაშრომი).2017
26. M. Muchiashvili (co-author). : “Fiscal fiscal sustainability Analysis (republic of Georgia). Journal “Economist”, Tbilisi, 2016.
27. Georgia Public Expenditure Review. Managing Expenditure Pressures for Sustainability and Growth, World Bank, Washington, D.C., November 2012.

დანართი. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია

1. შესავალი

საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შემდგომი ეტაპია ბიუჯეტის პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლა. 2009 წელს მიღებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საკანონმდებლო დონეზე მოხდა აღნიშნული ვალდებულების აღიარება, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით უნდა მომზადდეს 2012 წლისთვის, ხოლო ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა მათი ბიუჯეტები პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით უნდა მოამზადონ 2013 წლისათვის.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება მიზნად ისახავს, საბიუჯეტო პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის შეძლებისდაგვარად ნათელი წარმოდგენის შექმნას პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად პირველ რიგში აუცილებელია განიმარტოს თავად პროგრამული ბიუჯეტის არსი და მისი შემოღების მიზანშეწონილობა.

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-

შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ მისი დაფინანსებით გასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში.

პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ ათვისებული ასიგნებები, შესაბამისად პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე.

პროგრამული ბიუჯეტის უპირატესობა სწორედ ისაა, რაშიც მდგომარეობს მის დანერგვასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი პრობლემა. პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად უნდა დაიგეგმოს ჯერ შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი, შემდეგ ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები და ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები.

ბოლო წლების მანძილზე პილოტურ სამინისტროებთან პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის კონცეფციის შესამუშავებლად ჩატარებული სამუშაოებისა და საერთაშორისო გამოცდილების შედეგად გამოიკვეთა რა მიმართულებით უნდა განვითარდეს გარდამავალი ეტაპი, რა შესაძლო სირთულეები იქნება გადასალახი პროგრამული ბიუჯეტის ფორმატის მთელ ბიუჯეტზე გავრცელების შემდეგ და რა მეთოდებით შეიძლება გარდამავალი ეტაპი მაქსიმალურად მოქნილი იყოს სახელმწიფო სექტორისთვის.

წინამდებარე მეთოდოლოგიის შემუშავება მიზნად ისახავს უკვე ჩატარებული სამუშაოებიდან მიღებული გამოცდილებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე წარმოადგინოს პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური განმარტება, პროგრამული ბიუჯეტის კანონის ფორმატი და მეთოდური მითითებები მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რაც მათ გაუადვილებთ ტრადიციული ბიუჯეტის სტრუქტურიდან პროგრამული ბიუჯეტის ფორმატზე გადასვლას.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ეტაპი საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესი იქნება. საწყის ეტაპზე, რომელიც გულისხმობს 3 წლიან პერიოდს, განსაკუთრებით რთული იქნება ბიუჯეტის ახალი ფორმატით აწყობა და თავად ეს მეთოდოლოგიაც გახდება გადახედვის საგანი შემდგომი დახვეწის მიზნით. პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე შესრულების შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახის იქნება. შეფასების ინდიკატორები არ

დამტკიცდება წლიური საბიუჯეტო კანონით და ისინი წარმოდგენილი იქნება ბიუჯეტის დანართებში. პირველი ეტაპზე შეფასების შესრულების ინდიკატორების მსგავსი სახით წარმოდგენა საშუალებას მოგვცემს დაიხვეწოს მათი შემუშავების მეთოდები და ინდიკატორებით წარმოდგენილი ინფორმაცია გახდეს მაქსიმალურად რეალური, ზუსტი და შესრულების ეფექტურად გაზომვის საშუალება.

წინამდებარე მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი – დოკუმენტის, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის პირველი ეტაპის განხილვა, მისი შემადგენელი ნაწილები და მასში მოცემული ინფორმაციის დატვირთვა ზოგადად საბიუჯეტო პროცესთან მიმართებაში.

პროგრამული ბიუჯეტის სტრუქტურა – როგორ აიწყობა პროგრამული ფორმატის წლიური საბიუჯეტო კანონი, რა თავებისგან შედგება იგი და რას მოიცავს თითოეული მათგანი;

პროგრამა, როგორც პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კატეგორია – მეთოდოლოგიის დიდი ნაწილი ეთმობა თავად პროგრამის, როგორც პროგრამული კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიის განსაზღვრას, მის სახეებს და ტიპებს, ასევე პროგრამის შემადგენელი ელემენტების (ქვეპროგრამები/ლონისძიებები) დახასიათებას. აქვეა წარმოდგენილი პროგრამის საბოლოო შედეგების და მისი შესრულების შეფასების ინდიკატორების აღწერა;

- პროგრამული ბიუჯეტის დანართი და მისი შევსების ინსტრუქცია – პროგრამის, მისი ქვეპროგრამების, განმახორციელებლების, საბოლოო შედეგების, მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორების, დაფინანსების წყაროებისა და მოცულობის შესახებ რა ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი დანართში;

- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი და მისი შევსების ინსტრუქცია – რა ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი კაპიტალურ პროექტებთან მიმართებაში;

- პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში – როგორ უნდა აიწყოს პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც დაფუძნებული იქნება ინდიკატორების საშუალებით მიღწეული შედეგების გაანალიზებაზე და არა მხოლოდ ასიგნებების ათვისებაზე; ასევე წარმოდგენილია კაპიტალური ბიუჯეტის შესრულების შეფასების ანგარიშის ფორმატი;

- გარდამავალი ეტაპი – მეთოდური მითითებები მხარჯავი დაწესებულებებისათვის, როგორ შეიძლება განხორციელდეს ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტის გადაწყობა პროგრამულ ფორმატში.

2. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი

საქართველო სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება ყოველი წლის პირველ მარტამდე, როდესაც საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს იმ მხარჯავი დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც უნდა ჩაერთონ დასაგეგმი წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადებაში. მთავრობის მიერ ასევე განისაზღვრება იმ სხვა მხარჯავი დაწესებულებების ჩამონათვალი, რომლებიც სამინისტროებთან ერთად ვალდებულები იქნებიან თავიანთი ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინონ პროგრამული ფორმატით.

მხარჯავი დაწესებულებების განსაზღვრასთან ერთად მთავრობის დადგენილებით უნდა განისაზღვროს იმ ინფორმაციის ნუსხა და მისი მომზადების ვადები, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა გამოიყენოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების პროცესში.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაცია:

- გასული ორი წლის განმავლობაში, პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე მიმართული სახსრები და მათი განხორციელებით მიღწეული შედეგები;
- მიმდინარე წლისთვის არსებული პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე გამოყოფილი სახსრები და მათი განხორციელებით მოსალოდნელი შედეგები;
- დასაგეგმი წლებისათვის მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტების ჩამონათვალი, მათი მოკლე აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები;
- დასაგეგმი წლების პრიორიტეტების საშუალოვადიანი ბიუჯეტი, რომელიც ჩამოილილი უნდა იყოს პროგრამების მიხედვით;
- დასაგეგმი წლისათვის მხარჯავ დაწესებულებებში დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;
- დასაგეგმი წლებისათვის გამოსაყოფი ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები.

აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდგომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სამინისტროებთან კონსულტაციების საფუძველზე ამზადებს ინფორმაციას საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებებისა და ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების დასკვნების გათვალისწინებით საქართველოს სამინისტროები ამტკიცებენ მათ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს და უგზავნიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების, მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და პროგნოზირებული საფინანსო რესურსის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ დასახული მიზნები, რისი მიღწევა სურს საშუალოვადიან პერიოდში

და რა ძირითადი სამოქმედო გეგმები აქვს დასახული აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

- მეორე ნაწილში აღწერილი უნდა იყოს ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის მოკლე ანალიზი, ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლები და მათი აღწერა;

- მაკროეკონომიკური სიტუაციის აღწერის შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს გასული ორი წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგები, შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებლები და ბიუჯეტიდან დაფინანსებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები;

- შემდგომ ნაწილში მოცემული უნდა იყოს მიმდინარე საბიუჯეტო წლის და დასაგეგმი წლების ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლები და საფინანსო რესურსის პროგნოზების მოკლე აღწერა;

- დოკუმენტის მეხუთე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი წლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების რიცხოვნობის და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. ასიგნებების საორიენტაციო ზღვრულ მოცულობაში არ უნდა იყოს გათვალისწინებული დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები და მათ ფარგლებში სახელმწიფოს თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისთვის საჭირო ასიგნებები. ზღვრული მოცულობების გაანგარიშებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს პარლამენტის და საქართველოს კონტროლის პალატის ზღვრულ მოცულობებში საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული ასიგნებები;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთო სასამართლოების ასიგნებების განსაზღვრისას, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად არ უნდა შეამციროს აღნიშნული ორგანიზაციების ხარჯების მოცულობა მიმდინარე წლის მოცულობასთან შედარებით;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შეთხვევაში უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს პროკურატურისათვის გამოყოფილი ხარჯების მოცულობა არ უნდა იყოს წინა წლის შესაბამის მოცულობაზე ნაკლები;

- საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების ასიგნებების ზღვრული მოცულობების განსაზღვრისას საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 44-ე მუხლის მოთხოვნები;

- საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომელთა რაოდენობა და მათი თანამდებობრივი სარგოების წლიური მოცულობა გაითვალისწინოს მიმდინარე წელს მოქმედი საშტატო განრიგის მიხედვით;

- შტატგარეშე თანამშრომელთა სახელფასო ფონდი განსაზღვროს არა უმეტეს მიმდინარე წელს არსებული ოდენობისა;

- მივლინებების, ოფისის, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის (გარდა საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების) და საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე ხარჯები განსაზღვროს გასული და მიმდინარე წლების სტატისტიკური

მონაცემების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული ხარჯები არ უნდა იყოს მიმდინარე წლის გეგმიურ მაჩვენებელზე მეტი; პროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებებისათვის საჭირო თანხები განსაზღვროს მათი შესრულების გასული და მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის და საფინანსო რესურსის პროგნოზის გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრისას გაანალიზებული უნდა იქნეს გასულ წლებში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და ფაქტობრივად მიღწეული შედეგები;

პრემიერ-მინისტრის სიტყვიერი დავალებების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია შეამციროს ან გაზარდოს ზემოთაღნიშნული პრინციპებით გაანგარიშებული ზღვრული მოცულობები;

- დოკუმენტის მეექვსე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს მთავრობის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებები, თითოეული მათგანის მოკლე აღწერა, მათ ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები;

- დოკუმენტის ბოლო ნაწილში მოცემული უნდა იყოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი თითოეული პროგრამის დაფინანსების მოცულობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაზე მიმართული მთლიანი სახსრები და მათ შორის გამოყოფილი უნდა იყოს ბიუჯეტით გასათვალისწინებელი თანხის მოცულობა;

- დოკუმენტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დანართები, სადაც წარმოდგენილი იქნება განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები.

3. ბიუჯეტის სტრუქტურა

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის შემდგომ ბიუჯეტის კანონში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელ შედეგებზე და არა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ ასიგნებებზე, რისი გათვალისწინებითაც ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შემუშავდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

3.1 - სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები (პირველი თავი)

აღნიშნული თავში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გასული და მიმდინარე წლებისათვის, ხოლო დასაგეგმი წლის მონაცემები უნდა დაიყოს საბიუჯეტო და დონორების დაფინანსებად. ასევე აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

3.2 - სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (მეორე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემოსავლების ჩაშლა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის.

3.3 - სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მესამე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯების მთლიანი მოცულობა, არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა ჩაშლილი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, არაფინანსური აქტივების კლების მთლიანი მოცულობა ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით და ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

3.4 - სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (მეოთხე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა;
- ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მოცულობები ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;
- სახელმწიფო ვალდებულების ზრდის მოცულობა, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები ჩაშლილი პროექტების მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;
- ვალდებულებების კლების მაჩვენებელი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;
- შესაბამისი წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა ჩაშლილი კრედიტორების (გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების) მიხედვით;

3.5 - სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (მეხუთე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები, ამ პრიორიტეტების ფარგლებში, შესაბამისი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები (ქვეპროგრამები/ლონისძიებები), მათი აღწერა და მიზანი.

ძირითადად ყველა პროგრამა დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტებთან და განხორციელდეს ამ პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად, თუმცა ბიუჯეტში შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი რამდენიმე პროგრამა, რომელიც არ ემსახურება კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებას, მაგრამ მის ფარგლებში დაგეგმილ ქვეპროგრამებს და ლონისძიებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად და მათი განხორციელება ყველა პრიორიტეტისათვის აუცილებელია.

3.5.1 - პროგრამა

პროგრამა წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი.

პროგრამები უნდა ჩამოყალიბდეს მხარჯავი დაწესებულებების კომპეტენციიდან გამომდინარე. ერთი პროგრამის განმახორციელებელი უნდა იყოს ერთი მხარჯავი დაწესებულება.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამები უნდა იყოს გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომლებიც განხორციელდება კონკრეტული წლის განმავლობაში.

ბიუჯეტის მე-5 თავში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროგრამის აღწერა და მიზანი, ანუ უნდა გაიწეროს რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში და რას უნდა მივაღწიოთ პროგრამის განხორციელებით.

პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას, პრიორიტეტის მიზანს. პროგრამას უნდა ჰქონდეს მისი მიზანი და ბიუჯეტი.

პროგრამა შინაარსით ძირითადად შეიძლება იყოს:

- მართვის და რეგულირების

პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასთან და სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან. ამ ტიპის პროგრამა შესაძლოა იყოს წმინდა ადმინისტრირების და მართვის, როდესაც მოიცავს მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა აპარატის შენახვის ხარჯები, ხოლო თუ პროგრამაში ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების გარდა ასევე ერთიანდება პოლიტიკის დამგეგმავი სტრუქტურული დანაყოფების მიერ გასატარებელი ღონისძიებებიც, მაშინ პროგრამის ეს ტიპი უფრო რეგულირების ხასიათს იძენს.

სამინისტროების უმრავლესობაში არსებობს როგორც სამინისტროს ფუნქციონირების ტექნიკურ საკითხებზე მომუშავე, ასევე შესაბამის სფეროში პოლიტიკის შემუშავებელი დეპარტამენტები, რისი გათვალისწინებითაც სამინისტროების აპარატები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტული პროგრამის შემადგენელ ნაწილს, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს როგორც შესაბამისი სფეროს პოლიტიკის შემუშავების და პროგრამების მართვის პროგრამა, რომელიც შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების“ პროგრამის ტიპს, ხოლო თუ აპარატი მოიცავს მხოლოდ ადმინისტრაციულ და

ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ხარჯებს, ჩამოყალიბდეს როგორც „პროგრამების ადმინისტრირება და მართვა“, რომელიც ასევე „მართვისა და რეგულირების“ ტიპის პროგრამას განეკუთვნება.

- მომსახურების მიწოდების

ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგრამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლების ბენეფიციარიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია.

- სუბსიდირების

მსგავსი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, სახელმწიფო მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ ინდიკატორებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით.

- ინფრასტრუქტურული

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ ინდიკატორებში. ამ ტიპის პროგრამების უმრავლესობა თავის მხრივ მოხვდება კაპიტალური ბიუჯეტის დანართშიც.

პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს:

- **მიმდინარე (მუდმივი)** – როდესაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც მხარჯავი დაწესებულებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება;

- **მრავალწლიანი** – როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის უნდა ემსახუროდეს გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას, ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომელთა

საბოლოო შედეგი მალევე მიიღწევა (ერთი წლის მანძილზე) ძირითად შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამების სახით, რომელიც თავის მხრივ პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

- **ერთწლიანი (მოკლევადიანი)** – იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, პროგრამა შესაძლოა მოკლევადიანი იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა საბოლოოა და იგი, თავის მხრივ არ წამოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

გარდა პროგრამებისა, სახელმწიფო ბიუჯეტით შესაძლებელია დაფინანსდეს ისეთი მხარჯავი დაწესებულებები, რომლებსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის თანახმად, არ ევალებათ ბიუჯეტის პროექტის პროგრამული ფორმატით წარმოდგენა, მაგრამ, მათ არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნის ფუნქციონირებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მხარჯავი დაწესებულება ბიუჯეტში წარმოდგენილი არ არის პროგრამული სტრუქტურის მიხედვით, მე-5 თავში აუცილებელია გაიწეროს, თუ რას ემსახურება მისი ფუნქციონირება.

პროგრამების გამოვლენისას მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ქვეყნის რომელიმე პრიორიტეტს;
- თუ მხარჯავი დაწესებულების ძირითადი ფუნქციისა და ადმინისტრირების ხარჯების გამოყოფა შეუძლებელია, ადმინისტრირების ხარჯებიც გაერთიანდება იმ ძირითად პროგრამასთან, რომელსაც ემსახურება მხარჯავი დაწესებულება;
- პროგრამის განმახორციელებელი და საბოლოო შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ერთი მხარჯავი დაწესებულება, ხოლო პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამების განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს ამავე მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაცია. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ქვეპროგრამებს უმეტეს შემთხვევაში ერთი განმახორციელებელი ეყოლება.
- მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამა იქნება პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კატეგორია, რომელსაც ექნება წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული გეგმა.

3.5.2 - ქვეპროგრამები/ღონისძიებები

პროგრამების გამოკვეთის შემდეგ აუცილებელია მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ეყოლება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული ერთი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია და იქნება კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იგივე ტიპებად, როგორც პროგრამები.

ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

ბიუჯეტის კანონში აუცილებელია წარმოდგენილი იყოს თითოეული ქვეპროგრამის აღწერა, მიზანი და დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობის წარმოდგენა აუცილებელი არ არის იმ პროგრამების ქვეპროგრამებზე, რომლებიც თავისი შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების ტიპს“.

მისი შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე ქვეპროგრამა შესაძლოა თავის მხრივ მოიცავდეს ღონისძიებებს. ღონისძიებები და მათი დაფინანსება უმეტეს შემთხვევაში ვერ მოხვდება პროგრამული ბიუჯეტის კანონის ძირითად თავებში, მიუხედავად ამისა, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას აუცილებელია თითოეული პროგრამის და ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების ზუსტი ჩამონათვალის და აღწერის განსაზღვრა, ვინაიდან რეალურად სწორედ წარმატებულად განხორციელებული თითოეული ღონისძიების მოკლევადიან შედეგზე დამოკიდებული მთლიანი პროგრამის შესრულების ხარისხი.

სამინისტროებმა და სხვა მხარჯავმა დაწესებულებებმა მიზანშეწონილია ქვეპროგრამები ისე ჩაომაცალიბონ, რომ თითოეული მათგანის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყოს ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული), ამასთან, შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია ახორციელებდეს რამდენიმე ქვეპროგრამას.

ისეთი პროგრამები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან, შესაძლებელია დაიყოს არა ქვეპროგრამებად, არამედ სხვადასხვა კაპიტალურ პროექტებად, თუმცა თავისი შინაარსით აღნიშნული პროექტებიც ქვეპროგრამებს წარმოადგენს.

3.6 - საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება (მეექვსე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროგრამებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები და იმ მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობა, რომლებიც ბიუჯეტში არ არიან წარმოდგენილი პროგრამული სტრუქტურით. ასევე ამ თავში წარმოდგენილი იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული სხვადასხვა კატეგორიის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის გამოყოფილი ასიგნებები.

პროგრამები და მათი დაფინანსება დაჯგუფებული უნდა იყოს მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით. თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაფინანსების მთლიანი მოცულობა, აღნიშნულ თავში გათვალისწინებული ყველა პროგრამა, ქვეპროგრამა და ღონისძიება ჩაშლილი უნდა იყოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ პირველი თანრიგის მიხედვით, ხოლო „არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების“ და „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის“ მეორე თანრიგის

მიხედვით. ამასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯები“-ს კატეგორიაში აუცილებელია გამოყოფილი იყოს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. ამავე თავში უნდა იყოს წარმოდგენილი მხარჯავი დაწესებულების საშტატო რიცხოვნობა.

წლიურ საბიუჯეტო კანონში პროგრამის დაფინანსება წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის. ამასთან, დასაგეგმი წლის ასიგნებები გაყოფილი უნდა იყოს საბიუჯეტო სახსრებად და დონორების დაფინანსებად.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამულ ფორმატში ბიუჯეტი პირველად შემუშავდება 2012 წლისთვის, 2012 წლის ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ 2012 წლისთვის (დასაგეგმი წელი), ხოლო 2013 წლის ბიუჯეტი 2012-2013 წლებისთვის (მიმდინარე და დასაგეგმი წლები).

3.7 - ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (მეშვიდე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ტრანსფერების შესახებ.

წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკების და თითოეული თვითმმართველი ერთეულის მიხედვით ტრანსფერის მთლიანი მოცულობა და მათი ჩაშლა, თუ რამდენს შეადგენს გათანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერი.

მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შემთხვევაში აუცილებელია მიეთითოს თუ რომელი დელეგირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი აღნიშნული ტრანსფერი.

3.8 - მარეგულირებელი ნორმები (მერვე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ის ძირითადი მუხლები, რომლებმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში უნდა დაარეგულირონ ბიუჯეტის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

4. ბიუჯეტის თანდართული მასალები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს პარლამენტს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან და წლიურ საბიუჯეტო კანონის პროექტთან ერთად წარედგინება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები, რომლებიც მოიცავს:

- კანონის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზები და მათი აღწერა, ასევე უნდა მოიცავდეს ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებულ ძირითად პროგრამებსა და ღონისძიებებს და მათი დაფინანსების მოცულობას;

- მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პარალელურად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართულ მასალებს ასევე დაემატება ინფორმაციული დანართების ორი პაკეტი:

1. პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია;
2. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ბიუჯეტით დაფინანსებული ყველა კაპიტალური პროექტის შესახებ.

4.1 - პროგრამული ბიუჯეტის დანართი

პროგრამების შესახებ ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში, კერძოდ კანონის ძირითად ნაწილში მოცემული იქნება სრული ინფორმაცია თუ რას ემსახურება პროგრამა, რა ძირითადი ქვეპროგრამების და ღონისძიებებისგან შედგება ის და რა მიზნის მიღწევას დაგეგმილი მისი განხორციელებით.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება პროგრამასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საქართველოს პარლამენტის მიერ არ დამტკიცდება და არ მიეცემა კანონის იურიდიული ძალა. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკმაოდ რთული იქნება მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების სწორად განსაზღვრა და მათი თავიდანვე კანონით დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს ზოგიერთი პროგრამის ან/და ქვეპროგრამის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკად არ განიხილება, ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს შეუშლის პროგრამული ბიუჯეტის სისტემის შემდგომ განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების საკანონმდებლო დონეზე აყვანა ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, მაშინ როდესაც პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებლებს ექნებათ სათანადო გამოცდილება და პროგრამების მართვის პრაქტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემული ინფორმაცია არ დამტკიცდება და არ ექნება კანონის ძალა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ძირითადი აქცენტი სწორედ აღნიშნულ ინფორმაციაზე იქნება გადატანილი.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით და უნდა მოიცავდეს ყველა პროგრამის დაფინანსებას და შესაბამისად პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს. ასევე თითოეული პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს და პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი

ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს.

პროგრამული ბიუჯეტის დანართი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურით:

- პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტზე მიმართული სახსრების შესახებ, მასში შემავალი პროგრამების მიხედვით, კერძოდ:

პროგრამის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	დასაგეგმი წელი		დასაგეგმს + 1 წელი		დასაგეგმს + 2 წელი		დასაგეგმს + 3 წელი	
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა
	პროგრამა N1-ის დასახელება								
	პროგრამა N2-ის დასახელება								
	პროგრამა N3-ის დასახელება								
	პროგრამა N...-ის დასახელება								
	სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები								

- შემდგომ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
 - პროგრამის დასახელება;
 - პროგრამის განმახორციელებელი;
 - პროგრამის აღწერა;
 - პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
 - საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები;
 - ინფორმაცია მასში შემავალი ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ, კერძოდ:
 - პროგრამული კლასიფიკაციის კოდი (კანონის მე-5 თავის შესაბამისად);
 - ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება;
 - განმახორციელებელი ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული);
 - ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა;
 - ქვეპროგრამის/ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგი;
 - შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები.

4.2 - შუალედური და საბოლოო შედეგები

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პრიორიტეტებზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისგან გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

შესაბამისად საბოლოო შედეგები განისაზღვრება პროგრამისთვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის (ღონისძიებებისათვის). განსხვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც.

საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულებისთვის მისი დადგომის ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

თავად წლიურ საბიუჯეტო კანონში გაწერილი უნდა იყოს პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგები აღწერილი იქნება ბიუჯეტის თანდართულ მასალებში.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს, ხოლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამების და ღონისძიებების შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი რომელიმე სტრუქტურული ერთეული, ვისაც უშუალოდ ევალება ქვეპროგრამის (ღონისძიების) განხორციელება).

4.3 - შესრულების შეფასების ინდიკატორები

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არა უმეტეს 5 ინდიკატორი.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

- სასარგებლო – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;
- შედეგზე ორიენტირებული – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას;

- ნათელი და გაზომვადი – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;

- შესაბამისი და მიღწევადი – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;

- შედარებითი – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიბმული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

რაოდენობრივი ინდიკატორები აღწერს ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;

ხარისხობრივი ინდიკატორები აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;

ხარჯზე მიბმული ინდიკატორები აფასებს ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში;

ეფექტიანობის ინდიკატორები – ამ ტიპის ინდიკატორები გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში;

ეფექტურობის ინდიკატორები აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

4.4 - კაპიტალური ბიუჯეტის დანართი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს 2012 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებას, რომელიც თავისი შინაარსით საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია, შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და ბიუჯეტის კანონის ერთ-ერთ დანართად იქნება წარმოდგენილი.

კაპიტალურ ბიუჯეტში მოცემული ყველა პროექტი, თავის მხრივ, წარმოადგენს წლიური საბიუჯეტო კანონის რომელიმე პროგრამას ან მის შემადგენელ ნაწილს, თუმცა კაპიტალურ დანართში თავს მოიყრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა კაპიტალური პროექტი და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. დანართში წარმოდგენილი პროექტები დაჯგუფებული იქნება მათი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

კაპიტალური ბიუჯეტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა ის თანხა, რომელიც წლიურ საბიუჯეტო კანონში წარმოდგენილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით, არ წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს და პირიქით, შესაძლებელია კაპიტალური პროექტის შემადგენელი ნაწილი იყოს ხარჯების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. წლიურ საბიუჯეტო კანონში ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით წარმოდგენილი ასიგნებები ასევე შესაძლებელია იყოს კაპიტალური

პროექტი, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მუხლიდან ხშირ შემთხვევაში ასიგნებები მიემართება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების დაკრედიტების ან/და კაპიტალის ზრდისთვის და სახელმწიფო საწარმოები ახორციელებენ მსხვილ კაპიტალურ პროექტებს.

გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა კაპიტალური პროექტები განხორციელდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივი დაფინანსებით. ამ შემთხვევაში ბიუჯეტსა და მის დანართებში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება, თუმცა პროექტის აღწერაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რა თანხას შეადგენს კერძო სექტორის დაფინანსება და აღწერილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალდებულებები.

ისეთი კაპიტალური პროექტები, რომელთათვისაც წლიური საბიუჯეტო კანონით დაფინანსება გამოყოფილი არ არის, არ უნდა იყოს წარმოდგენილი არც ბიუჯეტის დანართებში.

კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას. ამასთან, შესაძლებელია იყოს ისეთი კაპიტალური პროექტები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, მაგრამ მთავრობის რომელიმე პრიორიტეტის შემადგენელი ნაწილია (მაგ., სკოლების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება და სხვა). ყველა კაპიტალური პროექტი, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია დაფინანსება, აუცილებელია დაკავშირებული იყოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ რომელიმე პრიორიტეტთან.

კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- მშენებლობა-რეაბილიტაციის შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50,0 ათას ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 5 წელზე ნაკლები;
- მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის (გარდა სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობისა), ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნის შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 150,0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 3 წელზე ნაკლები;
- პროექტის ღირებულება უნდა მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, პროექტირების, მოსამზადებელი სამუშაოების, ტრანპორტირების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ხარჯებს.

შესაძლებელია მხარჯავ დაწესებულებას ჰქონდეს მსგავსი შინაარსის რამდენიმე მცირე კაპიტალური პროექტი და თითოეული მათგანი არ აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ პირობებს, ამ შემთხვევაში აღნიშნული პროექტები შინაარსობრივად უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი პროექტის სახით და შედარებით მცირე პროექტები ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება მისი ქვეპროექტების სახით.

შესაძლებელია არსებობდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ პირობებს, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იყოს კაპიტალური პროექტის სახით.

წლიური საბიუჯეტო კანონის კაპიტალური დანართი დაყოფილი იქნება ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ყველა პროექტის დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობა უნდა მოიცავდეს პროექტის მთლიან ღირებულებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ და დაგეგმილ ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

პროექტის კოდი	დასახელება	ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება	გასული წლის ჩათვლით გაწეული ხარჯი	მიმდინარე წელი	დასაგეგმი წელი	დასაგეგმს + 1 წელი	დასაგეგმს + 2 წელი	დასაგეგმს + 3 წელი	შემდგომ წლებში გასაწევი ხარჯი
	პროექტი N1								
	ქვეპროექტი N1								
	ქვეპროექტი N2								
	ქვეპროექტი N...								
	პროექტი N2								
	ქვეპროექტი N1								
	ქვეპროექტი N2								
	ქვეპროექტი N...								
	პროექტი N...								
	ქვეპროექტი N1								
	ქვეპროექტი N2								
	ქვეპროექტი N...								
	სულ კაპიტალური ბიუჯეტი								

მოცემულ ცხრილში პროექტის ფარგლებში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი კაპიტალური პროექტები და ქვეპროექტების სახით იყოს წარმოდგენილი აღნიშნული პროექტის ფარგლებში თითოეული მხარჯავი დაწესებულების კაპიტალური პროექტები.

დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროექტის და ქვეპროექტის აღწერა და შემდეგი ინფორმაცია:

- მთავრობის რომელი პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- რა შედეგს უნდა ველოდოთ პროექტის დასრულების შემდგომ;
- პროექტის მთლიანი ღირებულება;
- პროექტის დაფინანსების წყაროები, მათ შორის, ბიუჯეტიდან გამოყოფილი წყაროები გაშლილი დონორების, ასევე გრანტების და კრედიტების მიხედვით;

- დასაგეგმი წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები.

კაპიტალური პროექტის შუალედურ შედეგად შეიძლება განვიხილოთ ის მსხვილი ინფასტრუქტურული პროდუქტი, რომლის შესაქმნელადაც განხორციელდა პროექტი, ხოლო საბოლოო შედეგი უფრო გლობალურია და წარმოადგენს იმ მდგომარეობას ან ეფექტს ქვეყნის ეკონომიკის ან რომელიმე სფეროს განვითარებაზე, რისთვისაც განხორციელდა პროექტი. მაგალითად, დიდი ელექტროსადგურების ქსელის მშენებლობის პროექტის შუალედურ შედეგად შეიძლება განვიხილოთ თავად ელექტროსადგურების ქსელი დასრულებული სახით, ხოლო საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდა ან ელექტროენერჯის ექსპორტის ზრდა.

ვინაიდან კაპიტალური პროექტები თავის მხრივ პროგრამული ბიუჯეტის ნაწილია და შესაბამისად მათი შესრულების შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამების აღწერაში, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი შესრულების შეფასების ინდიკატორების ნაწილს აღარ ითვალისწინებს.

5. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და კვარტალური მიმოხილვა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ყოველი კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვას, ხოლო წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარედგინება გასული წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ვინაიდან ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების უმეტესობა გრძელდება მთელი წლის განმავლობაში და ზოგიერთი მათგანის განხორციელება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა იწყებოდეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შეუძლებელი იქნება კვარტალური მიმოხილვების დროს გაანალიზდეს საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგები. ასევე შეუძლებელია იქნება იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც პროგრამებისთვის ძირითადად გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე, ხოლო ქვეპროგრამებისათვის ერთ საბიუჯეტო წელზე, შეფასდეს წლის გარკვეულ პერიოდში მიღწეული შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის შემდგომ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებით მიღწეულ შედეგებზე, კვარტალური შესრულების მიმოხილვაში მაინც ძირითადად წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია დაგეგმილი და ფაქტობრივი ფისკალური მონაცემების შესახებ. საბიუჯეტო პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმის ჩართვის მიზნით მხარჯავი დაწესებულებების შიდა აუდიტის სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამების შესრულების კვარტალური მონიტორინგი და აუდიტი შერჩევითი მეთოდით, რათა შეფასდეს საბოლოო და შუალედური შედეგისკენ წინსვლის პროგრესი.

ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვაში, გარდა ფისკალური მონაცემებისა, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

გარდა ამისა, ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვის ანგარიშს თან უნდა დაერთოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების ექვსი თვის შესრულების ფაქტობრივი მაჩვენებლები.

ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვებისგან განსხვავებით ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, ფისკალურ მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მომზადდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

1. თავი პირველი

- პირველ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ; ასევე, აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

2. თავი მეორე

- პირველ ნაწილში მოცემული უნდა იყოს გასული წლის მაკროეკონომიკური ანალიზი და ინფორმაცია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის და ნომინალური მაჩვენებლების, ინფლაციის, განხორციელებული ინვესტიციების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესახებ;

- მეორე ნაწილში უნდა იყოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) მიმოხილვა და ძირითადი კატეგორიების მიხედვით გეგმიური და ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები;

- მესამე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) მიმოხილვა, მათი გეგმიური და ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები. აღნიშნული მაჩვენებლები ჩაშლილი უნდა იყოს არანაკლებ იმავე დონეზე, როგორც ისინი წარმოდგენილი იქნებიან წლიურ საბიუჯეტო კანონში. ამასთან, ინფორმაცია გრანტების შესახებ, გარდა წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისა, მოცემული უნდა იყოს დონორებისა და პროექტების მიხედვით.

3. თავი მესამე

- მესამე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
 - სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების აგრეგირებული მაჩვენებლები;

- ბიუჯეტიდან დაფინანსებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები;
- გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით;
- საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელებით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისების მდგომარეობა;
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული ტრანსფერების შესახებ, თოთოეული ტერიტორიული ერთეული მიხედვით.

4. თავი მეოთხე

- მეოთხე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
 - მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მაჩვენებელი;
 - ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მაჩვენებლები;
 - სახელმწიფო ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის მოცულობა წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის;
 - სახელმწიფო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი;
 - წლის განმავლობაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობა;
 - საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები ჩაშლილი დონორებისა და პროექტების მიხედვით;
 - ვალდებულებების კლების მაჩვენებელი;
- საშინაო სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული სახსრები და საშინაო სახელმწიფო ვალის მოცულობა;
- საგარეო სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული სახსრები და საგარეო სახელმწიფო ვალის მოცულობა, ჩაშლილი კრედიტორების მიხედვით.

5. თავი მეხუთე

- მეხუთე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებების და მიღწეული შედეგების შესახებ.

6. თავი მეექვსე

- აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების და მათი ფაქტობრივი შესრულების შესახებ.

ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს დანართების სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების წლიური შესრულების ფაქტობრივი მაჩვენებლების, ასევე პროგრამებისა და კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ.

1. ინფორმაცია პროგრამის შესრულების შესახებ

პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით

პროგრამის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	გეგმა		საკასო შესრულება	
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა
	პროგრამა N1-ის დასახელება				
	პროგრამა N2-ის დასახელება				
	პროგრამა N3-ის დასახელება				
	პროგრამა N4-ის დასახელება				
	პროგრამა N5-ის დასახელება				
	პროგრამა N...-ის დასახელება				
	სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები				

- მეორე ნაწილში წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ყველა პროგრამაზე, ქვეპროგრამაზე და ღონისძიებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
 - დასახელება;
 - განმახორციელებელი;
 - წლიური საბიუჯეტო კანონის დანართით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგი;
 - წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგი;
 - შედეგის შეფასების ინდიკატორები;
 - განმარტება დაგეგმილთან შედარებით განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში.

2. ინფორმაცია კაპიტალური პროექტის შესრულების შესახებ

• პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით:

პროექტის კოდი	დასახელება	ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება	გასული წლის ჩათვლით გაწეული ხარჯი (საანგარიშო პერიოდის გარდა)	საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი თანხა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	შემდგომ წლებში დარჩენილი თანხა
	პროექტი N1					

	ქვეპროექტი N1					
	ქვეპროექტი N2					
	ქვეპროექტი N...					
	პროექტი N2					
	ქვეპროექტი N1					
	ქვეპროექტი N2					
	ქვეპროექტი N...					
	პროექტი N...					
	ქვეპროექტი N1					
	ქვეპროექტი N2					
	ქვეპროექტი N...					
	სულ კაპიტალური ბიუჯეტი					

● დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია თითოეული პროექტის და ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

6. ორგანიზაციული სტრუქტურიდან პროგრამულ ბიუჯეტზე გარდამავალი ეტაპი

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასასვლელად აუცილებელია რამდენიმე ეტაპის გავლა, რათა მხარჯავმა დაწესებულებამ შეძლოს მისთვის დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურიდან ძირითადი ღონისძიებების გამოტანა და მათი პროგრამებად გადაჯგუფება. პროგრამების დაგეგმვის დროს მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაიროს რამდენიმე ეტაპი:

- დებულებიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბოს მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები;
- განიხილოს მისი მიზნები და ამოცანები ქვეყნის პრიორიტეტებთან მიმართებაში და, პირიქით, ქვეყნის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გამოავლინოს მის მიერ განსახორციელებელი შესაძლო ამოცანები;
- ორგანიზაციული სტრუქტურიდან უნდა გამოიტანოს ის ძირითადი ღონისძიებები, რასაც მის კონტროლს დამქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ;
- მოახდინოს განსახორციელებელი ღონისძიებების და დაწესებულების ძირითადი ფუნქციების და ამოცანების ერთმანეთთან დაკავშირება;
- მსგავსი ფუნქციის ან მიზნების მიხედვით დააჯგუფოს ღონისძიებები, მათი განმახორციელებლების მიუხედავად;
- დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთება, თუ რამდენი პროგრამა უნდა ქონდეს კონკრეტულ მხარჯავ დაწესებულებას;
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამის მიმართება ქვეყნის პრიორიტეტებთან;
- უნდა განისაზღვროს პროგრამის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევითაც პროგრამა პრიორიტეტით დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება;
- პროგრამების გამოვლენის შემდეგ მხარჯავი დაწესებულება იწყებს უკუპროცესს, მის დაშლას ქვეპროგრამებად და ღონისძიებად;

- უნდა მოხდეს თითოეული ქვეპროგრამის მიერ მისაღწევი შუალედური შედეგების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების დადგენა, დაფინანსების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის გათვალისწინებით;
- უნდა გამოიკვეთოს არსებული მდგომარეობის ამსახველი მონაცემების ბაზა და დადგინდეს ის ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც მოხდება შედეგების შესრულების შეფასება;
- თითოეული ქვეპროგრამისთვის/ღონისძიებისთვის უნდა დაითვალოს შედეგების მისაღწევად საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა (საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა);
- მხარჯავი დაწესებულებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში განახორციელოს ასიგნებების პროგრამებზე გადანაწილება.